ბესარიონ ტაბიძე

ლოქსანდრე ნოინსკვილი

მონოგრაფია

თბილისი
1962

რედაქტორი ბ. გორდეზიანი

შესავალი

როდესაც შევდივართ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ვრცელ დარბაზებში და გულდასმით ვათვალიერებთ იქ მოთავსებულ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ ამ ნივთების შემქმნელთა დიდი ოსტატობით, მათი მხატვრული გემოვნებითა და იმ შრომით, რომელსაც ეწეოდნენ ისინი საკუთარი სახის და ხელის უკვდავსაყოფად, კარგად ვგრძნობთ ამ ნივთებში ჩაქსოვილ ჩვენი ხალხის წარსულს, მის ისტორიასა და სულისკვეთებას.

ვაკვირდებით ამ უხსოვარ დროიდან შემორჩენილ ნივთებს და ვფიქრობთ: ვინ დაიცვა ეს ფასდაუდებელი საუნჯე, ვინ შემოუნახა მომავალ თაობებს ეს ძვირფასი განძი ჩვენი კულტურის ისტორიისა? უსიტყვოდ ვისმენთ პასუხს,— მრავალმა, და ამ მრავალთა შორის იყო ის ადამიანი, რომელმაც უარყო პირადი განცხრომა, ოჯახური ბედნიერება და მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი შრომა და ენერგია შეალია ამ ნივთების ერთი ნაწილის შეგროვებას, მათ მოვლა პატრონობასა და უვნებლად დაცვას.

როგორც დიდ პატრიოტს, მას კარგად ესმოდა ამ ნივთების ფასი და მნიშვნელობა, კარგად იცოდა ისიც, რომ თუ თავის დროზე არ უპატრონებდა მათ, არ გადაარჩენდა მიტაცებისა ან განადგურებიდან,—მისი საყვარელი სამშობლოს კულტურა დიდად დაზიანდებოდა, დაკნინდებოდა და ისტორიის წინაშე ვეღარ ამეტყველდებოდა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა მის ღირსებას.

მან არ იკმარა სიძველეთა შეგროვება მარტო საქართველოში. შემოიარა საქართველოს მეზობელი ქვეყნები, კერძოდ დაღესტანი, სადაც მრავლად მოიპოვებოდა საქართველოდან გატანილი ღირს-

შესანიშნავი ნივთები, გაეცნო, აღწერა და გადაიღო ადგილობრივ ხალხთა ცხოვრება და მათი ზნე-ჩვეულება.

ამ ადამიანის მოღვაწეობა მარტო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვებით და მოვლა-პატრონობით არ ამოიწურება. ის იყო პირველი ქართველი ფოტოგრაფი, მხატვარი-რომელმაც უნიკალურ ნივთებთან ერთად დაგვიცვა ფოტოსურათების უძვირფასესი კოლექცია, სადაც ასახულია არა მარტო სა. ქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ბუნება, ხალხი და ცხოვრება.

ამ ძვირფას ნივთებიდან და ფოტოებიდან შექმნა მოძრავი ეროვნული მუზეუმი, რომლითაც იმოგზაურა რუსეთში. რუსეთის ყველა დიდ ქალაქების მცხოვრებლებს გააცნო ქართული კულტურის სიდიადე და მისი მნიშვნელობა საკაცობრიო კულტურისათვის,

მან პირველმა გადაიღო ჩვენი დიდი მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეების ფოტოსურათები; მის მადლიან ხელს უნდა ვუმადლოდეთ უკვდავი შოთას პორტრეტის დამუშავებასა და გავრცელებას.

ამასთანავე, მის კალამს ეკუთვნის ფრიად საინტერესო დღიურები, ჩაწერილი თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს და მკვეთრი პუბლიცისტური წერილები.

ეს ადამიანი იყო დუშელი გლეხი ალექსანდრე როინაშვილი, რომელმაც ორი ათეული წლის მანძილზე დიდი შრომითა და საფასურით შეძენილი თავისი მოძრავი და უძრავი ქონება იმხანად ახლად დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. ეს საზოგადოება საუკეთესო გამტარებელი იყო ილია ჭავჭავაძის ეპოქის აზრებისა და მიზნების, რომელთანაც მთელი თავისი სულითა და ხორცით იყო დაკავშირებული ეს ღირსეული მამულიშვილი.

აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომ დაიტირა ეს უანგარო მოღვაწე ასე გულთბილად დიდმა ილიამ: „ალექსანდრე როინაშვილი თავისთავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია. როგორც ეხლა ჩანს და როგორც განსვენებულმა დაამტკიცა მთელის თავისის ანდერძით... თვითეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა, და

ბწვრთნელია ყველასი, ვისაც-კი ქაცობრიობისათვის გული ერჩის, საცა ამისთანა გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი, სულითაც და ხორცითაც. არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჰიდილი".*

ვინც კი მე-19 საუკუნის ქართველი ერის ცხოვრებას იცნობს, მისთვის ნათელი იქნება, რომ ილიას სიტყვები შემთხვევით არ იყო ნათქვამი. მთელ მაშინდელ მოწინავე ქართველობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ალექსანდრე როინაშვილი მართლაც „ციხესიმაგრე" იყო იმ მოძალეთა წინააღმდეგ, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ საქართველოს აოხრება და მისი კულტურული ღირებულების განიავება. ასეთი პიროვნების დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა იმდროინდელ საქართველოსათვის.

ქართველი გლეხობის ფიქრები და გულის წუხილი მარტო ხალხურ ზღაპრებში, ანდაზებსა და ზეპირსიტყვიერებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ შემოქმედებაშიაც, რომელიც დაგვიტოვეს გასული საუკუნის, გლეხობის წრიდან გამოსულმა მოღვაწეებმა. მათ ისეთი ღრმა კვალი გაავლეს ჩვენი კულტურის ისტორიაში, რომ მისი დავიწყება ყოვლად შეუძლებელია.

ამ წრეს ეკუთვნოდა ღარიბი გლეხის შვილი ალექსანდრე როინაშვილი, რომელმაც გაბედულად აიმაღლა ხმა ქართული კულტურული ძეგლებისა და მიწა-წყლის დასაცავად. ამ საქმეს შეალია მან თავისი სიცოცხლე და ქონება.

დღევანდელი საბჭოთა საზოგადოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, მოვალეა იცნობდეს ამ ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, „მის მიერ ღვაწლით დაქნილ გზას". ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ ამოცანის განხორციელება. შევეცადეთ რაც შეიძლება სრულყოფილად გადმოგვეცა ახალი თაობისათვის მისი ნათელი სახე, მისი უანგარო ღვაწლი მშობლიური კულტურის სასახელოდ. თუ რამდენად შევძელით ჩვენი სურვილის განხორციელება, ეს მკითხველმა განსაჯოს.

---

* იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. IV. სახელგამი, 1955 წ.—ალექსანდრე როინაშვილი (ნეკროლოგი).

სიყრმის წლები და ფოტოგრაფიული სახელოსნოს გახსნა

ალექსანდრე როინაშვილი დაიბადა 1846 წელს ქ. დუშეთში ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა მისი სოლომონი ყოფილა ხელოსანი, უნაგირების მკეთებელი. ალექსანდრეს მამა მალე გარდაცვლია და მისი აღზრდა მთლიანად დასწოლია კისერზე მის დედას მარინეს, ძალზე გულკეთილსა და მშრომელ ქალს, რომელიც თავისი ხელსაქმით—ჩიხტა-კოპის, დაბასმული ლეჩაქების და ქალთა სხვა საჩაუ-ლების კეთებით არჩენდა ოჯახს.

პატარა ალექსანდრე დედამ სასწავლებელში პირველად ქ. დუ-შეთში მიაბარა, შემდეგ კი ანანურის სკოლაში, სადაც ილია ჭავჭა-ვაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „შესაძლებელი იყო ბავშვს გონება უფრო დახშოდა, ვიდრე გახსნოდა და გაძლიერებოდა“.

ანანურის სკოლას მეტსახელად ,,კაზარმების სკოლას“ ეძახდ-ნენ, რადგან იქ მოხვედრილ ბავშვებს ადმინისტრაცია არუსებდა, უკრძალავდა ქართულად ლაპარაკს, ამ სკოლაში როინაშვილი დიდ-ხანს არ გაჩერებულა. იქ შექმნილი მძიმე პირობების გამო იძულე-ბული გამხდარა გასცლოდა იქაურობას.

ხელმოკლეობით შევიწროებულ დედას ბავშვი ქ. კავკავში (ამ-ჟამად ორჯონიკიძე) წაუყვანია და ერთ მეწვრიმალესთან მიუბარე-ბია, რომელიც ამავე დროს ღვინითაც ვაჭრობდა. დედა ფიქრობ-და იქნებ რაიმე ხელობა შეისწავლოს ჩემმა შვილმაო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში უნდა ჩავარდნილიყო ჭკვიანი და მგრძნობიარე ბავშვი ამ ჩარჩ-ვაჭრის ხელში, ამიტომაც მას მა-ლე თავი მიუნებებია სამიკიტნოსათვის და სხვა ხელობის შესწავ-ლის მიზნით გადაუწყვეტია თბილისში წამოსვლა.

მისი თბილისში წამოსვლის შესახებ ორი ცნობა არსებობს:

პირველი ცნობის მიხედვით, რომელსაც გვაწვდის ვასილ როინაშ-ვილი თავის მოგონებაში, ახალგაზრდა ალექსანდრე ვიღაც მეფურ-გუნის დახმარებით კავკავიდან გაპარულა თბილისში. დედას რომ არ შეეტყო მისი გაპარვა, თავის მშობლიურ დუშეთში არც კი შეუვლია.

დიდ ქალაქში უპატრონოდ მოხვედრილ ბავშვს დაუწყია სა-მუშაოს ძებნა. რასაკვირველია, მისთვის სულ ერთი იქნებოდა თუ ვისთან მოეწყობოდა შეგირდად—დერციკთან თუ ხარაზთან ოღონდ კი სამუშაო ეშოვნა და რაიმე ხელობა შეესწავლა. სამუშაო ვერსად ვერ უშოვნია. ბოლოს ოქრომჭედლების ქუჩაზე ერთ მკერავთან შესულა, იქაც რომ უარი მიუღია, გულდაწყვეტილი და სასომიხდილი გამობრუნებულა. ამ დროს ის შეუჩერებია მკე-რავთან მისულ მუშტარს და ვინაობა გამოუკითხავს. უცნობს წი-ნადადება მიუცია მისთვის წაყოლოდა მას და აღუთქვამს მისთვის როგორც შენახვა, ისე ხელობის შესწავლა. ალექსანდრე უყოყმანოდ დათანხმებულა.

შემდეგში უცნობი გამომდგარა ვინმე ხლამოვი, ხელობით ფოტოგრაფი და იმავე დროს ფერმწერალი მხატვარი. მას დიდძა-ლი დაკვეთები ჰქონია ეკლესიის ხატებზე ჩრდილოეთ კავკასიიდან.

მეორე ცნობის მიხედვით, კავკავიდან წამოყვანილი 14 წლის ახალგაზრდა თბილისში მოუყვანიათ ნათესავ მღვდელთან ცამციევ-თან, რომელსაც ის მოუწყვია იმ დროს კარგად ცნობილ ფოტოგ-რაფ ხლამოვთან*. ჩვენი ფიქრით გაზ. „კავკაზის“ ცნობა უფრო უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, მით უფრო, რომ, როგორც ვი-ცით, ფოტოგრაფი ხლამოვი იმავე დროს იყო ხატების მხატვარი და არ შეიძლება ნაცნობობა არ ქონოდა ეკლესიის მსახურ ცამ-ციევთან.

ასე იყო თუ ისე, როინაშვილი ისეთი ხალისით შესდგომია მხატვრობისა და ფოტოგრაფიის საქმის შესწავლას, რომ მალე ხლამოვის მარჯვენა ხელი გამხდარა.

რაიმე ხელობის შესწავლა იმ დროს არ იყო ადვილი საქმე, მით უმეტეს ფოტოგრაფიისა. ყოველი ფოტოგრაფი ცდილობდა სხვისთვის არ გადაეცა თავისი „საიდუმლო“.

არა თუ თბილისში, ევროპის დიდ ქალაქებშიაც არ იყო

---

* იხ. დამატება № 1 გაზ. „კავკაზის“ ნეკროლოგი ა. როინაშვილის შესახებ. 1898 წ. № 125

აღმავალი ფოტოგრაფის ხელობის შესწავლა. შეგირდობის დროს მიღებული ტანჯვა-წამება დაღს ასვამდა ბევრ ადამიანს და როდესაც თვითონ ხდებოდა ოსტატი და სხვისი მასწავლებელი, შეგირდებზე გადაჰქონდა ის, რაც მას განეცადა. როინაშვილი ასე არ მოქცეულა. როდესაც ის გახდა ცნობილი ფოტოგრაფი, მამაშვილურ მზრუნველობას უწევდა თავის მრავალრიცხოვან შეგირდებს.

მხატვარმა და ფოტოგრაფმა ხლამოვმა პირნათლად შეუსრულა პირობა როინაშვილს. ოთხი-ხუთი წლის მუშაობის შემდეგ როინაშვილს მისცა ფოტოაპარატი და იარაღები, მასალები და ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო დამოუკიდებელი მუშაობისათვის. როინაშვილმა გახსნა თავის საკუთარი ფოტოგრაფია ქ. თბილისში სასახლის ქუჩაზე. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1860-65 წლებში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როდესაც ა. როინაშვილი საქართველოში იწყებდა დამოუკიდებელ მუშაობას; როგორც პირველი ქართველი ფოტოგრაფი-მხატვარი, რა მდგომარეობაში იყო იმ დროს რუსეთში ფოტოხელოვნება.

გასული საუკუნის ორმოციან წლებიდან მოყოლებული რუსეთის დიდ ქალაქებში, ბევრი გამოჩენილი მხატვარი და ბევრიც მხატვრობით დაინტერესებული, გატაცებით შეუდგა ფოტოგრაფიის შესწავლას.

ზოგიერთმა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილმა პირმა მიატოვა თავისი სპეციალობა და დაიწყო ფოტოგრაფობა. რუსეთის ფოტოგრაფიის მამამთავარი ს. ლ. ლეევიცკი განათლებით იურისტი იყო. ფოტოგრაფიის შესწავლის შემდეგ ის წავიდა საზღვარგარეთ და ექვსი წელიწადი მოანდომა თავისი ცოდნის გაღრმავებას ფოტოგრაფიის დარგში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე ფოტოგრაფიას შესწირა. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში კურსდამთავრებული ა. ი. დენიერი და მხატვარი ოჟე, თავიანთ პროფესიად თვლიდნენ ფოტოგრაფობას. პირველ ხანებში ფერწერაში მომუშავე ა. ი. დენიერმა გარს შემოიკრიბა სხვა მხატვრებიც. ფოტოგრაფიაში მასთან მუშაობდნენ ისეთი მხატვრები, როგორიცაა, მაგალითად: კრამსკოი, რადლოვი, სოკოლოვი, გრინფი, რუსი აკადემიკოსი მხატვრები ფოტოგრაფიას არ უყურებდნენ როგორც დაბალს, მათთვის მიუღებელ ხელობას.

გამოჩენილი მხატვარი ი. ნ კრამსკოი როგორც სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს, ისე მის შემდეგაც, როცა ის უკვე სა-

ხელმოხვეჭილი მხატვარი გახდა, ფოტოგრაფიაში სამუშაოების შესრულებას არ თაკილობდა.

განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა რუს ფოტოგრაფებზე „პერედვიჟნიკების“ გამოფენები. ისინი დიდი ინტერესით და სიყვარულით იღებდნენ რუსი ხალხის ცხოვრებას. ხალხის სიხარული და მწუხარება, გლეხობის მწარე ბედი, ქალის უნუგეშო მდგომარეობა და სხვა ასახული იყო ა. ო. კარელინის, მ. პ. დიმიტრიევის ს. ა. ლობოვიკოვის და სხვათა ფოტოსურათებში.

ფოტოგრაფმა მ. პ. დიმიტრიევმა გააკეთა ხელით სატარებელი ურემი, ზედ დააწყო ფოტოაპარატის მოწყობილობა, თითონ შიგ შეება და დაჰყვა ვოლგის სანაპიროებს რიბინსკიდან ასტრახანამდე. მან გადაიღო მრავალი ტიპი, ისტორიული ძეგლი, ხალხური ზნე-ჩვეულება, ლამაზი პეიზაჟები, მონასტრები და მშრომელი ხალხი სხვადასხვა სამუშაოების შესრულების დროს. ამ ფოტოსურათებმა მ. პ. დიმიტრიევს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. მისი ფოტოსურათები დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველებზე როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

მ. პ. დიმიტრიევის აღმზრდელი ა. ო. კარელინიც მეტად საინტერესო პიროვნება იყო. მან დაასრულა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. მხატვარი კარელინი გაიტაცა ფოტოგრაფიამ და საფუძვლიანად შეისწავლა იგი. პეტერბურგიდან კარელინი გადავიდა ნიჟნი-ნოვგოროდში და იქ 1869 წელს გახსნა თავისი ფოტოგრაფია. მან თავი მოუყარა მრავალ ნივთს, შეიძინა დიდძალი ძველი საოჯახო ნივთები, ქსოვილები, ტანისამოსი, ჭურჭლეულობა, სურათები და სხვა. ის სწავლობდა უკვე დავიწყებულ ხალხურ ზნეჩვეულებებს, ყოფაცხოვრებას, ისტორიული სინამდვილით და სიზუსტით აღადგენდა მას და იღებდა ფოტოსურათებს. თავის ფოტოგრაფიასთან მას ჰქონდა გახსნილი სამხატვრო სკოლა, სადაც უფასოდ ასწავლიდა ნიჭიერ ღარიბ მოსწავლეებს. მან აღზარდა მთელი რიგი გამოჩენილი ფოტოგრაფი, მისი მდიდარი კოლექცია ანდერძის თანახმად დარჩა ერმიტაჟს. რუსეთის ფოტოხელოვნება რომ თვალსაჩინო როლს ასრულებდა კულტურის განვითარების დარგში, ამას კარგად გრძნობდნენ დიდი რუსი მხატვრები და მწერლები, ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ როგორც კარელინის, ისე დიმიტრიევისა.

არ შეიძლება ყველაფერი ეს არ სცოდნოდა როინაშვილს, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იმდროინდელ ქართულსა და რუსულ პრესას. მან გადაჭრით მოკიდა ხელი ამ სასარ-

გებლოსა და საჭირო საქმეს, დაადგა მისი რუსი კოლეგების პროგრესულ გზას.*

თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ფოტოხელოვნებაში მრავალი ღირსშესანიშნავი ფოტოგრაფი მოღვაწეობდა, მაგრამ მკითხველის ყურადღება უმთავრესად ა. კარელინზე და დიმიტრიევზე შევაჩერეთ იმიტომ, რომ მათი ცხოვრების მომენტები ძალიან ჰგავს პირველი ქართველი ფოტოგრაფი-მხატვრის როინაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ფოტოგრაფიას მისი აღმოჩენის შემდეგ დიდი ადგილი დაეთმო მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ხელნაწერების აღდგენა, ისტორიული ძეგლების გადაღება, არქეოლოგიური ნაშთების გამომზეურება, ყველა ეს მოითხოვდა სხვადასხვა კვალიფიციური ფოტოგრაფების ყოლას.

თვით მეცნიერებიც დიდად იყვნენ დაინტერესებული ფოტოგრაფიით. დიდ მეცნიერს კ. ა. ტიმირიაზევს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის რუსული ფოტოხელოვნების განვითარებაში. კ. ა. ტიმირიაზევი არა მარტო თეორიულად იცნობდა ფოტოგრაფიას, თვითონაც კარგი ფოტოგრაფი იყო. მხატვრულად შესრულებულ ფოტოსურათებისათვის მას ხშირად მიუღია ჯილდო ფოტოგამოფენაზე. მან სპეციალური შრომა მიუძღვნა ფოტოგრაფიას. კითხულობდა ლექციებს ფოტოგრაფიის სამეცნიერო მიზნით გამოყენების შესახებ.

ასევე გატაცებული იყო ფოტოგრაფიით ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი. მას დიდი სურვილი ჰქონდა დაეარსებინა ფოტოგრაფიული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა მასობრივად გავრცელება საუკეთესო მხატვრული სურათებისა.

ფოტოგრაფიული ხელოვნების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებში გამოფენების მოწყობა და ფოტოილუსტრირებული ჟურნალების გამოცემა. ბევრი გამოჩენილი რუსი მხატვრის ნამუშევრები, განსაკუთრებით პორტრეტულ ჟანრში, შექმნილია ფოტოს დახმარებით.

ბეჭდვით საქმეში ლითოგრაფიის, ცინკოგრაფიის, ფოტოტიპიის გამოყენებამ კიდევ უფრო განავითარა ფოტოხელოვნება.

---

* ფოტოგრაფიის შესახებ რუსულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს. ამ ლიტერატურიდან უფრო ვრცლად ვისარგებლეთ გ. მ. ბოლტიანსკის „Очерки по истории фотографии в СССР; Москва, Госкиноиздат, გვ. 85 და ა. დონდეს ნაშრომებით: „Сто лет фотографии" Госкиноиздат. 1934 г.

მაღალი კულტურის მქონე ფოტოგრაფები იქ ჩნდებოდნენ თავის ფოტოაპარატით, სადაც ამას მოითხოვდა ხალხის ინტერესი. ისინი დაინტერესებული იყვნენ ხალხის ყოფა-ცხოვრებით, ისტორიით და იმით, რათა ვრცლად და სრულყოფილად გაეცნოთ თავისი ერის ცხოვრება სხვა ხალხებისათვის.

თუ რუსეთის საზოგადოება მომზადებულად შეხვდა იმ დიდ ტექნიკურ აღმოჩენას, რომელსაც ფოტოგრაფია ეწოდება და იქ ამ აღმოჩენის განვითარებისათვის სათანადო ფონიც იყო შექმნილი ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველ დარგში,— საქართველო მოკლებული იყო ასეთ ფონს.

1. როინაშვილის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის დროს ქართველ ერს არ გააჩნდა თავისი მუზეუმები, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები იმ სახით, როგორც ეს რუსეთში იყო. არ არსებობდა არავითარი ეროვნული სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც მას ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების, ისტორიული ძეგლების, ტიპებისა და სხვათა ფოტოგადაღებას დაავალებდა.

როინაშვილი არ ტრიალებდა ისეთ საზოგადოებაში, როგორიც გარს ერტყა რუსეთში ფოტოგრაფებს: ა. ო. კარელინს, მ. პ. დიმიტრიევს, ს. ა. ლობოვიკოვს და სხვებს. როინაშვილის მხატვრული ფოტონამუშევრების სანახავად არ მიდიოდნენ ისეთი დამფასებლები, როგორიც იყო მაგალითად: ი. ე. რეპინი, ვ. ვ. სტასოვი, კ. ტიმირიაზევი, ლევიტანი, კრამსკოი, ლ. ტოლსტოი და სხვები.

ისტორიული უკუღმართობით გადაგვარებული ქართველი მაღალი წრის ოჯახები არ ითხოვდნენ ქართულ საყოფაცხოვრებო ფოტონახატებს, ისტორიული ძეგლების ფოტო-დოკუმენტებით აღდგენას და სხვას.

საკმარისია გავეცნოთ თუნდაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ წიგნებს, ჟურნალებს, საზოგადო ორგანიზაციებს, ქართველ მოღვაწეთა ოჯახებს, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართველი ფოტოგრაფები და მხატვრები.

აი ასეთ დროს საჭირო იყო ისეთი სულით ძლიერი ადამიანი, რომელიც თავის ხასიათსა და თვისებებს გაწვრთნიდა, გარდაქმნიდა და სამშობლოს მომავალს დაუკავშირებდა. ასეც მოხდა: სპეციალურ ცოდნას მოკლებულმა როინაშვილმა ძლიერი ნებისყოფა და სიყვარული გამოიჩინა თავის ერისადმი; მალე მან ისე აიმაღლა

თავისი ცოდნა და ისეთი საქმეები შეასრულა, რომ სამაგალითო გახდა ჩვენი ინტელიგენციისათვის. სულ მოკლე დროში როინაშვილი შეუცვლელ ადამიანად გადაიქცა ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იშვიათად თუ წამოიწყებოდა რაიმე ღონისძიება ჩვენი კულტურის ასპარეზზე მისი ინტელექტუალური თუ ქონებრივი დახმარების გარეშე. დუშელი ღარიბი გლეხის შვილს-კი რა ქონება უნდა ჰქონოდა, გარდა თავისი პირადი მოხერხების, ინიციატივისა და საქმის სიყვარულისა. ამიტომ იყო, რომ თავის ფოტოგრაფიას მან თავიდანვე მისცა გარკვეული მიზანდასახულება. მისთვის ფოტოგრაფია იყო შემოსავლის წყარო იმ დიდი იდეური და მეცნიერული საქმიანობისათვის, რომლის შესრულებაც მან დაისახა მიზნად და ბრწყინვალედაც შეასრულა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ.

როგორც თბილისის გუბერნატორის კანცელარიის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელის აღწერილობიდან ჩანს (რომელსაც დავალებული ქონდა სტამბების, წიგნის მაღაზიების, ბიბლიოთეკების, ფოტოგრაფიების და სხვათა აღრიცხვა), თბილისში მრავალი უცხო ტომის ფოტოგრაფი ყოფილა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (დუბელინი, ვერსტლი, ფილიპოვი, კლარი, მიზჩენკო, დ. ერმაკოვი და სხვ.) ხოლო ქართველთაგან პირველ ფოტოგრაფად, რომელსაც თავისი საკუთარი სახელოსნო ქონია ა. როინაშვილია მოხსენებული.

ახლა გავეცნოთ პირველი ქართველი ფოტოგრაფის შესახებ როინაშვილის თანამედროვის, ცნობილი ქართველი მოღვაწის, მოსე ჯანაშვილის აზრს, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზ. „ივერიაში“ (1898 წ. № 101).

„ა. როინაშვილი მიებარა ერთ კეთილ „მესურათხატეს“, ისწავლა მისგან ხატვა. მასწავლებელმა გაგზავნა ის „სურათხატების“ გადასაღებად კახეთს, ნუხას, ბაქოს, დაღესტანს, კავკავს, ოსეთს, იმერეთს, სამცხეს, ქართლს და სხვ. „მესურათხატემ“ მადლობა უთხრა მას და მან შეისყიდა მისგან სასურათხატო.

შემდეგ განაახლა „სასურათხატო“ და მის კარიბჭეზე ეწერა: ა. როინაშვილი. მოაწყდა ქალი და კაცი, ვისაც სურდა ეხილა მხატვრობა თავისი სახისა, მხატვრობა კოხტად, ლამაზად და ღირსეულის ხელოვნებით გადაღებული.

გაძლიერდა მუშაობა მთიული გლეხის შვილებისავე თანამონაწილეობით. ,,სასურათხატომ'' გადიღო სახეები საქართველოს

წარჩინებულ მეფეებისა, მწერლებისა, მღვდელ-მთავრებისა სურათები შესანიშნავ ადგილებისა, ტაძრებისა, ციხეებისა, მხატვრობანი ხატთა, სამკაულთა, ქანდაკებათა, ფულთა; გადაიღო ყოველივე ეს და თვის „სასურათხატოს“ შესთვისა ნაციონალური იერი“.

ამ მოტანილ მოგონებიდან ნათლად ჩანს როინაშვილის წინდახედულება: ის ადრე მიმხვდარა, რომ ფოტოგრაფია არის ძვირფასი საშუალება ყოფაცხოვრების აღსაბეჭდად, ნაციონალური კულტურის ნიმუშების გადასაღებად.

სამშობლოს სიყვარულმა, ქართული ისტორიული ძეგლების განადგურებამ, სამუზეუმო ნივთების აღვირახსნილმა მიტაცებამ, რის მოწმეც თვით როინაშვილი იყო, ის იმ დასკვნამდე მიიყვანა რომ მხოლოდ ფოტოგრაფიით შეიძლებოდა უტყუარი დოკუმენტური მასალის შემონახვა და დაცვა, უცხოეთში გატანა და ჩვენება იმისა, რისი პატრონი და შემქმნელი იყო ქართველი ერი თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე.

„ისტორიულ ნივთებს გვპარავენ, ძეგლები ინგრევა, ცხოვრება წინ მიდის, ადამიანის ყოფა-ცხოვრება იცვლება, ფოტოსურათები მაინც დარჩეს წარსულის საბუთადო“—ამბობდა ხოლმე როინაშვილი.

წინასწარ გრძნობდა დიდი მამულიშვილი თუ რაოდენ მიმზიდველი და სასიყვარულო იქნებოდა მომავალ თაობებისათვის ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ფოტოპორტრეტები. დღეს ჩვენთვის სასიამოვნოა, როდესაც ვხედავთ როინაშვილის მიერ გადაღებულ ვაჟასა და ყაზბეგის ერთობლივ სურათს: ეს ორი ბუმბერაზი მწერალი ხელიხელ გადადებულნი, მომღიმარი სახით, შეჰყურებენ მომავალს. ჩვენი ერის ამ ორი საამაყო შვილის ეს ფოტოდოკუმენტი ხომ უძვირფასეს განძს წარმოადგენს ჩვენთვის.

ა. როინაშვილს არ გამორჩენია თითქმის არც ერთი თანამედროვე საზოგადო მოღვაწე (მწერალი, პოეტი, არტისტი, ისტორიკოსი და სხვ.), რომელთა ფოტოსურათი არ გადაეღოს. მის მიერ არის გადაღებული ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დ. ყიფიანი, ლ. მესხიშვილი, ილია ხონელი, პ. კარბელაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, თ. რაზიკაშვილი, დუტუ მეგრელი, დ. ჩუბინაშვილი, ან. ფურცელაძე, ვ. გუნია, ია ეკალაძე, ნინო ორბელიანი, მამია გურიელი და სხვები. ეს ფოტოპორტრეტები მუდამ დარჩება ჩვენი მხატვრებისათვის როგორც საუ-



ვაჟა და ყაზბეგი

კეთესო მასალა მაღალი მხატვრული პორტრეტების შესაქმნელად.*

ა. როინაშვილი არა მარტო მის თანამედროვე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სურათებს იღებდა და ნეგატივებს უნახავდა მომავალ თაობებს, არამედ თავგამოდებით ეძებდა ძველ, შესანიშნავი პირების სურათებს, რათა ფოტორეპროდუქციის საშუალებით დაღუპვისაგან გადაერჩინა და, ამავე დროს, საზოგადოებაში გაევრცელებინა. ამ საქმეში ის პრესასაც იყენებდა. გაზეთ „დროებაში" ვკითხულობთ: „უფ. ფოტოგრაფი როინოვი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმას ჰსურს ფოტოგრაფიით გადაიღოს ძველი ქართველი შესანიშნავი პირების სურათები, როგორც მწერლებისა, აგრეთვე მამულისათვის მოღვაწე გმირებისაო, და ამის გამო ის უმორჩილესად სთხოვს საზოგადოებას, ვისაც კი ამისთანა პირის სურათი აქვს, გამოუგზავნოს იმას, დროებით ფოტოგრაფიით გადასაღებად, რომლის შემდეგაც დიდის მადლობით დავაბრუნებთ ისევაო."

„ჩვენ შევიტყვეთ აგრეთვე, როინაშვილს უკვე გადაუღია რამდენისამე ქართველ მწერლის სურათი, რომელთაც ერთს კარდონზე უპირებს გამოცემასო" (გაზ. „დროება", 1879 წ. № 6, გვ. 3).

ალ. როინაშვილის ასეთ მოღვაწეობას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ იგი ფერმწერელი მხატვარიც იყო, ჰქონდა უნარი კომპოზიციისა, მას შეეძლო უშუალოდ გადაეღო ან შეექმნა სურათი. მის ასეთ მრავალმხრივ შესაძლებლობას ხაზს უსვამს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ერთი საყურადღებო წერილი, პ. ცხვილოელისა (იხ. გაზ. „ივერია" 1891 წ. № 177), მიმართული ქართველ მხატვრებისადმი, სადაც ავტორი ამბობს, რომ „როდესაც ქართველი ერი ეკონომიურად ძლიერი იყო, ხუროთმოძღვრებაც და მხატვრობაც მაღალ დონეზე იდგა. ხოლო როდესაც საქართველო დაუძლურდა, ხელოვნებაც დაეცაო". ამის საილუსტრაციოდ ახსენებს მეფე ერეკლეს, რომელიც იძულებული იყო იტალიაში მოეხატვინებინა თელავის კარის ეკლესიის კანკელი, რადგან შესაფერი მხატვარი საქართველოში არ მოიძებნებოდაო და განაგრძობს: „დღეს საქართველოში მხატვარნი ხელოვანნი, მადლობა ღმერთსა, საკმაოდ

* ქ. შ. წ. კ. გ. ს. -ება დიდ მნიშვნელობას აძლევდა როინაშვილის ფოტოსურათებს. ამ საზოგადოებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჰყავდა რწმუნებულები, რომლებიც ქართულ ლიტერატურასთან ერთად ავრცელებდნენ ა. როინაშვილის სურათებსაც. (იხ. ცსსა ფონდი № 431, საქ. № 200. ფურც. 5—10.)

გვყვანან და მზად არიან თავის ქვეყანას ემსახურონენ (მაგ. ბ-ნი ა. როინაშვილი), მაგრამ იგინი უნებლიედ ერთს მეტად შავნებელს გზას ადგიან ნემსით თუ უნებლიეთ: მათ შეისწავლეს თავისი ხელობა უცხო ერის ხელოვნების გავლენის ქვეშ და ამიტომ ნამდვილი წარმომადგენელი კერ არიან სამშობლო ხელოვნებისა". ცხვილოელი თავის მიმართვაში მოუწოდებს ქართველ მხატვრებს: სამშობლო ქვეყნის და ხელოვნების სახელით ვსთხოვთ ჩვენს მხატვრებს (მეტადრე ბ-ნს ა. როინაშვილს) შემდეგს: „ინახულეთ უთუოდ შესანიშნავი ხატი 12 საუკუნისა ცხრა დასთა ანგელოზთა თელავის კარის ეკლესიაში... მიაქციეთ ყურადღება ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ქუდს, გაშლილ სუფრას და მის სამკაულებს, დახატეთ და დაიცავით დაღუპვისაგან, ამით დაავალებთ სამშობლოს".

ამ მოწოდებაში ორი რამ არის საინტერესო: ერთი ის, რომ კორესპოდენტი როინაშვილს მიმართავს არა როგორც ფოტოგრაფს, არამედ როგორც მხატვარს; მეორე: ის ურჩევს როინაშვილს მთავარი ყურადღება მიაქციოს ჩაცმულობას, გაშლილ სუფრას, სამკაულებს ე. ი. ისეთ ელემენტებს, რომლებიც მიუთითებდნენ ხატის ნაციონალურ წარმოშობაზე და მის თავისებურებაზე.

ყველა კარგად გრძნობდა, რომ როინაშვილი, რომელიც ჩვენი კლასიკური ფერმწერალის გიგო გაბაშვილის მოწაფე და მხატვრობის დიდი თაყვანისმცემელი იყო, მკვეთრად გამოირჩეოდა იმ მყვირალა ცრუ პატრიოტებიდან, რომლებსაც სამშობლო და მისი კულტურა მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდათ, როდესაც სავსე სუფრას მოუსხდებოდნენ.

იმ დროს, როდესაც სკოლა და სხვა დაწესებულებები საქართველოში ქართველი ერის გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა, საჭირო იყო მთელი ძალით ბრძოლა დამოუკიდებელი სახის შენარჩუნებისათვის. ერთ-ერთი შეუდრეკელი მებრძოლი იყო როინაშვილი, რომლის დაუღალავი მეცადინეობით ქართულ ოჯახებში გაჩნდა მწერლების და საზოგადო მოღვაწეების სურათები, ეს სურათები, მნახველს უნერგავდა ქართული კულტურის სიყვარულს, მის პატივისცემას.

ადვილი წარმოსადგენია ცარიზმის მძიმე პირობებში, თუ რა სიამოვნებას მოგვრიდა ქართველ ოჯახებს შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ილიასი, აკაკის, ყაზბეგის, ვაჟასი, დ. ყიფიანის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის და სხვათა სურათების გამოჩენა.

ილია ჭავჭავაძე

კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ერთ თავის ადრინდელ წერილში მწუხარებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ქართულ ოჯახებში არ იგრძნობა მხატვრობისადმი სიყვარული, იქ ვერ ნახავთ ფერწერილ ტილოებს, ქანდაკებას, მოღვაწეთა პორტრეტებს და ხელოვნების სხვა ნიმუშებს, რაც, საერთოდ, ესთეტიკურ სიამოვნებას ბადებს მაყურებელშიო.

კ. აბაშიძის გულის წუხილი ყველაზე მწვავედ როინაშვილმა იგრძნო და ღირსეულადაც გამოეხმაურა მას.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეხებით ყველა იმ ამაგს, რომელიც მას მიუძღვის დიდ ქართველ მოღვაწეთა სურათების გადაღების და აღდგენის საქმეში, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ შოთა რუსთაველის გავრცელებულ სურათზე, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და დღესაც ვრცელდება ავტორის მოუხსენებლად.

ამ სურათის აღდგენაში ა. როინაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის.

გაბუდმებული თავდასხმების და ქვეყნის არაერთგზის აოხრების გამო ცეცხლმა და მახვილმა შთანთქა ქართული კულტურის ძეგლების უდიდესი ნაწილი. უკვალოდ დაიკარგა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ხელნაწერი ეგზემპლიარები, ისე ამ უკვდავი პოემის შემქმნელის პორტრეტი. ყველა გადასული თაობების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა დიდებული შოთას პორტრეტის აღმოჩენა. ამ მიმართულებით მრავალი ღონისძიება იქნა გატარებული გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ამაოდ.

1875 წ. გაზ. „დროებაში“ ქრონიკაში გამოქვეყნებული იყო შემდეგი ცნობა: „უფალი როინოვის ფოტოგრაფიაში ჩვენ ვნახეთ ახლად გადაღებული სურათი შოთა რუსთველისა. სურათი ფრანცუზულ გამოცემიდან „Gaucase Puttore due“-დან არის გადმოხატული“. რუსთველი ფეხმოკეცით ზის და ხელში რეული აქვს, რომელზედაც თავის უკვდავ პოემას წერს. თვით სურათი ჩინებულად არის გადაღებული; ნამდვილი ქართველის აღტაცებული სახეა, თუ რამდენად აღტაცებული სახეა, ამაზე კამათს არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს იყო ერთადერთი დოკუმენტური სურათი, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.

ამ ცნობამ დიდად დააინტერესა ქართული საზოგადოება. მისი გამოქვეყნების რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გაზეთი აცხადებდა: „მას აქეთ, რაც ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რ

რუსთველის ფოტოგრაფიული სურათი დაიბეჭდაო, რამდენიმე სხვადასხვა ადგილიდან მოგვივიდა ჩვენ თხოვნა, რომ ეს სურათი გაშოგვიგზავნეთო. ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამგვარ მინდობილობას ჩვენ ვერ ვიკისრებთ. მსურველს შეუძლია პირდაპირ როინოვის ფოტოგრაფიაში გამოგზავნოს თავისი მოთხოვნილება, ერთი აბაზი და მიიღებს" (იხ. „დროება" 1875 წ. № 128).

1875 წლიდან შოთას სურათი „ვეფხისტყაოსნის" გამოცემაშიც გვხვდება.

ის ფრანგული წყარო, საიდანაც ისარგებლა როინაშვილმა, იყო გაგარინის მიერ გამოცემული ალბომი, სადაც შოთა რუსთველის და თამარ მეფის სურათები იყო მოთავსებული გადმოღებული ძველი მინიატურებიდან. ალბომის რაოდენობრივი სიმცირისა და სიძვირის გამო ამ სურათების შეძენა ქართველი ხალხისათვის მიუწვდომელი იყო. როინაშვილმა გამონახა საშუალება იმისათვის, რომ შოთას სურათი მასობრივად გავრცელებულიყო. მან, როგორც სჩანს, ფრანგული გამოცემიდან გადმოღებული შოთას სურათი მხატვრულად დაამუშავა, მისცა მას თანამედროვე პორტრეტის სახე, შექმნა ფოტორეპროდუქცია, შემდეგ ფოტოტიპიის საშუალებით გაავრცელა, თან ასეთი წარწერა გაუკეთა: „შოთა რუსთაველი დამწერი ვეფხისტყაოსნისა".

ალ. როინაშვილი ამ სურათის გამოქვეყნებით არ დაკმაყოფილებულა. მას განზრახვა ჰქონია რაც შეიძლება სრულყოფილი სახე მიეცა ამ პორტრეტისათვის. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ სჩანს იმ სურათზე, რომელიც შესრულებულია როინაშვილის მიერ და დაცულია თბილისის საისტორიო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

როინაშვილი, როგორც ფერმწერალი მხატვარი დიდ ყურადღებას აქცევდა პორტრეტის კომპოზიციურ მხარეს. ეს კარგად სჩანს მის მიერ გადაღებულ ყაზბეგის ფოტოსურათში, სადაც ქართველი ერის ეს საყვარელი მწერალი წარმოდგენილია ჩოხაში ცალხელგაყრილი, კალამით ხელში, მაგიდაზე მკლავდაყრდნობილი. შესაძლებელია ეს კომპოზიცია შოთა რუსთაველის გავრცელებული პორტრეტის გავლენით იყოს შექმნილი.

ოთხმოცდახუთიან წლებში ჩნდება შოთა რუსთაველის სხვა სურათებიც (მაგ. მხატვარ გოლოვნიასი), რომლებიც როინაშვილის გავრცელებული სურათის წაბაძვას წარმოადგენენ. ზოგ სურათში



მოთა რუსთაველი
(ალ. როინაშვილის მიერ დამუშავებული)

ზოთას, წიგნის მაგივრად, გრაგნილი აქვს ხელში, ზოგან კი ოდნავ სახეშეცვლილია.

როგორც იმ დროინდელი პრესის მიმოხილვა გვიჩვენებს, რუსთაველის პორტრეტის შექმნას დიდად გაუთქვამს სახელი ა. როინაშვილისათვის.

ვინმე „კოტოჩი“ (ფსევდონიმია) გაზ. „დროების“ მკითხველებს ამცნობს, რომ პ. წერეთლის ოჯახში ძვირფას პერგამენტზე ნაწერი ვეფხისტყაოსანი ინახება, რომელიც მრავალი სურათებით არის შეკაზმულიო. თუმცა სურათები სუსტად არის შესრულებული, მაგრამ „სურათებს შეაკეთებს და გაამშვენიერებს მხატვარი ა. როინაშვილი, რომელიც დღისით სანთლით ეძებს ჩვენ ძველთაგან დანაშთენ სურათებს და მხატვრობას“.

თვით ა. როინაშვილიც ეხმაურებოდა ხოლმე პროვინციიდან მოსულ წერილებს და პრესის საშუალებით თხოვდა მოქალაქეებს დაეთმოთ მისთვის ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ სურათების გადასაღებად. ის წერს: „წარსულ კვირას „დროების“ ნომერში მე წავიკითხე იმერეთიდან გამოგზავნილი კორესპოდენცია, შესახებ ნ. დადიანის ბიბლიოთეკისა, რომ მის ბიბლიოთეკაში სხვათა შორის არის ერთი „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ნახატებიც არისო... მე დიდ მადლობას ვუძღვნი ამ კორესპონდენტს, ამგვარი ამბის ცნობისათვის, და აგრეთვე მივმართავ მის აღმატებულებას (ნ. დადიანს) და ვთხოვ დიდის გულმოდგინებითა, რომ ის „ვეფხისტყაოსანი“ რამდენსამე დღეს დაგვითმოს და გამოგვიგზავნოს თბილისში, ან დროების რედაქტორის სახელობაზე ან ჩემი ფოტოგრაფიისა, სადაც იმ წიგნიდამ გადავიღებთ სურათსა და შემდეგ რამდენიმე დღისა, დაუბრუნებ გაუფუჭებლივ დიდის მადლობითა და ჩემის ხარჯითა. იმედი მაქვს, რომ ჩემს თხოვნას მისი აღმატებულება ყურადღებას მიაქცევს და ამ მოკლე ხანში წიგნს გამოგვიგზავნის“. (გაზ. „დროება“ 1879 წ. № 47).

როინაშვილის ფოტოგრაფია ანუ, ჯანაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „სასურათხატო“ მოთავსებული იყო ქართველი მეცენატის დავით სარაჯიშვილის ძველ სახლში, სასახლის ქუჩაზე. (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი).

ეს ფოტოგრაფია უფრო მხატვრის ატელიე იყო, ვიდრე ხელოსან ფოტოგრაფისა. იქ ცნობილი მწერლების, ლამაზი ხედებისა და კავკასიის ერების ტიპების გარდა, ზეთის ფერით შესრულებული პორტრეტებიც ეკიდა. ყველას შეეძლო შეეკვეთა და შეეძინა ეს

სურათები, რომელთაც მხატვარი-ფოტოგრაფი თვით ასრულებდა. მის აბრაზედაც ასე ეწერა: „Член сотрудник императорского С. Петербургского Археологического общества“ Фотография живописца Ройнова“*. ყველგან ხაზგასმულია ის, რომ როინაშვილი მარტო ფოტოგრაფი კი არ არის, არამედ ფერმწერალიცაა.

ამავე დროს, მისი ფოტოგრაფიის ფართო დარბაზი იმ დროინდელ ქართველ მოღვაწეთა თავშესაყრელ ადგილსაც წარმოადგენდა. განსაკუთრებით ხშირად იკრიბებოდნენ და რეპეტიციებს მართავდნენ იქ ქართული თეატრის მსახიობები და სცენის მოყვარულნი. სარწმუნო წყაროებით ირკვევა, რომ როინაშვილი საგრძნობ დახმარებას უწევდა მათ, განსაკუთრებით პირველ ხანს, როცა მუდმივი დასის დაარსება გადაწყვიტეს. როგორც ავქსენტი ცაგარელი აღნიშნავს, ვორონცოვისა და გ. ერისთავის შემდეგ ქართული წარმოდგენები კანტიკუნტად იმართებოდა, მაგრამ, როდესაც მომწიფდა ნიადაგი მუდმივი დასის დაარსებისა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი ამ საქმეს. მათ შორის იყო ა. როინაშვილი. ამ მხრივ საინტერესოა ა. ცაგარელის მოგონება „1870 წელს, ერთს ჟღმურტლიანს შემოდგომის საღამოს სასახლის ქუჩაზე მოვდიოდი; გზაში შემხვდა აწ განსვენებული თ. დავით ერისთავი და თავისებურად ფიცხლად მკითხა: „სად მიდიხარ, ჰა? მოდი შევიდეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციას დავესწროთო. გავყევი განსვენებულს. წარმოდგენები თეატრში ათი წლიდან მენახა. შინაურ წარმოდგენებზედაც ხშირად დავსწრებივარ ბავშობისას და ჩემ ტოლებთან მონაწილეობაც მიმიღია, მაგრამ დიდ ხელოვან მოთამაშეთა რეპეტიცია არ მენახა და ამიტომ დიდი სიამოვნებით შევყევი დათიკოს ფოტოგრაფიაში. სუფთა და ლაზათიანად მორთულ ოთახში ჩემს თვალს წარმოუდგა ძვირფასი ჯგუფი ყმაწვილ ქალთა და კაცთა, რომელნიც მხიარულად ბაასობდნენ. ოთახში ერთი ჟრიამული იდგა. ეს ყმაწვილები ჩაის მიირთმევდნენ და სტოლზე ნაირ-ნაირი შესატანებლები ედგათ. (შემდეგ გავიგე, რომ განსვენებულს ალექსანდრე როინაშვილს ყოველი რეპეტიცია ათ-თხუთმეტ მანეთად უჯდებოდა). ამ კრებაზედ დამსწრენი მახსოვს: კოტე და ელენე (აწ განსვენებული) დიმიტრი ყი-

* ჩვენ არ უნდა გვეუცხოვოს როინაშვილის მაგივრად „როინოვის“ ხმარება. ქართული გვარის გადაკეთებას სლავიანური „ოვით“ გასულ საუკუნეში სხვადასხვა ღრმა მიზეზები ჰქონდა.

ფიანის შვილები, მარიამ ყიფიანის ქალი, ბარბარე კორინთელის ქალი, იულია და სტეფანე (და-ძმა) ალმურეოვის შვილები, თ. ზაალ ზაჩაბელი, აწ განსვენებული ნიკო შიშნიაშვილი, ადამ ჩუბინაშვილი, ნოდარ ჯორჯაძე, ალექსანდრე როინაშვილი, და მოთავე ნიკო ავალიშვილი... საყოველთაო მისწრაფება იყო, როგორც მოგახსენეთ, მუდმივი სცენის დაარსება. რეპეტიციები იმართებოდა განსვენებული დიმიტრი ყიფიანისა და ნიკო ავალიშვილის ოჯახებში და როინაშვილის ფოტოგრაფიაში"*.

ათი-თხუთმეტი მანეთის გადახდა ყოველი რეპეტიციისთვის მხოლოდ როინაშვილის მსგავს პირებს შეეძლოთ გაეღოთ. იმ დროში ასეთი პირები იშვიათი იყო. ქართული თეატრის ვერც ერთი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ თბილისის ცენტრში ლამაზად მორთულ სუფთა ოთახში უფულო და უბინაო მსახიობებს უხვ მასპინძლობას უწევდა დუშელი ღარიბი გლეხი როინაშვილი, რომელიც ი. გრიშაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ „თუ რომელიმე პიესაში მსახიობის ქესატობა იყო, მსახიობობდა კიდეც". ყველას უნდა ეგრძნო განუსაზღვრელი სიყვარული როინაშვილისა ქართული კულტურისადმი. იგრძნეს კიდეც ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა ილიამ და აკაკიმ, პ. უმიკაშვილმა, აქვ. ცაგარელმა და სხვებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ ქართული თეატრის ისტორია. მათ როინაშვილი გამოაცხადეს განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ამიტომ სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია ნიკო ავალიშვილის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს როინაშვილს ფიქრადაც არ მოსვლოდეს როდისმე ქართული თეატრის დაფუძნება. (იხ. თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი № 5127, გვ. 131—164).

ვფიქრობთ, ქართული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეს ნიკო ავალიშვილს, თავის საინტერესო მოგონების დაწერის დროს, გაბრაზებულს იმით, რომ მოთავე დამფუძნებლად სხვები გამოაცხადეს და არა ის, ობიექტურობა ღალატობს და ნებით თუ უნებლიეთ შეცდომას უშვებს.

ცნობილი ფაქტია,რომ გარდა მსახიობებისა, როინაშვილის სახელოსნოში იკრიბებოდნენ აგრეთვე მწერლები, მხატვრები, გამომცემელნი; მისი ატელია ერთგვარ კლუბს წარმოადგენდა, სადაც სა-

---

* იხ. ავ. ცაგარელი, კომედიები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 357—359.

ჭირბოროტო საკითხებზედაც მიმდინარეობდა კამათი და სჯა-ბაასი.

ალ. როინაშვილის საუკეთესო მეგობარი იყო პირველი ქართველი ქსილოგრაფი მხატვარი გრიგოლ ტატიშვილი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება დიდად წააგავდა როინაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. როინაშვილის მსგავსად ისიც ღარიბი ხელოსნის ოჯახიდან იყო წარმოშობილი. თავისი ბავშობა და სიყმაწვილე აუტანელ გაჭირვებაში და სხვის სამსახურში გაატარა. ობლობაში გაზრდილმა, ისევე როგორც როინაშვილმა, საკუთარი ნიჭით, შრომითა და მოხერხებით გაიკაფა გზა და ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოამაგე გახდა. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ სურათებიან გამოცემებსა და მრავალ საქველმოქმედო საქმეს.

თუ ტატიშვილი უცვლელი თანაშემწე იყო იაკობ გოგებაშვილისა მის საგამომცემლო საქიანობაში, არანაკლებ თანაშემწეობას უწევდა როინაშვილი გ. ტატიშვილს თავისი ფოტოგრაფიული შემოქმედებით. როინაშვილის მიერ შექმნილ ფოტოსურათებს ის მხატვრულად ამუშავებდა ხეზე. ჰქმნიდა ახალ კომპოზიციებს. ხეზე გადატანის დროს მას მრავალმხრივი შესწორება შეჰქონდა. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართველი მკითხველისათვის დახმარება, ამიტომ ხეზე იღებდა მხოლოდ იმას, რაც მის მიზნობრივ დანიშნულებას შეესაბამებოდა. ასეა შექმნილი მაგალითად, „ბუნების კარში“ მოთავსებული ტიპები სვანის, იმერლის, მეგრელის, კახელის, ხევსურის და სხვათა. ეს ტიპები მას ამოღებული და გადამუშავებული აქვს როინაშვილის ჯგუფური ფოტოპორტრეტიდან და სიუჟეტური ფოტოკომპოზიციებიდან“*.

როგორც როინაშვილი ისე ტატიშვილი ერთ დროს ერთად მუშაობდნენ ფრანგულ ჟურნალ „Le Caucase illustre“-ში, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1889—1902 წლებში ი. მურიეს რედაქტორობით.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ როინაშვილის ფოტოატელიე ერთგვარი წინამორბედი იყო იმ დიდი ეროვნული წამოწყებისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1879 წელს. ეს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მაგრამ სანამ ამ საზოგადოებაზე და როინაშვილის მასთან დამოკიდებულებაზე ვიტყოდეთ რამეს, გავეცნოთ იმ დიდ სულიერ გარდატეხას, რომელმაც აიძულა როინაშვილი გასცლოდა მის საყვარელ

---

* იხ. ბ. გორდეზიანი—გრიგოლ ტატიშვილი, გვ. 50.

თბილისს, თავის ფოტოატელიეს და მოხეტიალე ფოტოგრაფი გამ-ხდარიყო.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ახალგაზრდა, უპატრონოდ დარჩენილი როინაშვილი შეიკედლა და გზაზე დააყენა მხატვარმა ფოტოგრაფმა ხლამოვმა. თავისი ნიჭიერი და მშრომელი მოწაფე როგორც სჩანს, მას ძალიან ჰყვარებია და მაშინაც კი, როდესაც საკუთარი ფოტოგრაფია გაუხსნია როინაშვილს, ხლამოვს არ შეუწყვეტნია მის მომავალზე ზრუნვა. თავისი ყოფილი მოწაფისათვის მას ურჩევია შეერთო ცოლად ხლამოვის ნაცნობი ქალი, პროფესიით მკერავი, ხოლო ეროვნებით რუსი. „ორივე იშრომეთ და ცხოვრება არ გაგიჭირდებათო“ უთქვამს მას. მართლაც, თავისი მასწავლებლის რჩევით როინაშვილს შეურთავს ის ქალი, რომელმაც შემდეგში დიდი როლი ითამაშა მხატვრის საქართველოდან გადახვეწის საქმეში. ცოლ-ქმარს შორის წარმოშობილი უთანხმოების მთავარი მიზეზი ყოფილა როინაშვილის თბილი დამოკიდებულება თავის თანამემამულეებისადმი.

როდესაც გაიგეს დუშელმა ნათესავებმა ალექსანდრეს ცხოვრებაში წინსვლა, იწყეს მასთან სიარული. ქალამნიანი და დახეულ ფარაჯებში გახვეული გლეხების სიარული მოწყობილ ბინაში არაფრად მოსწონდა მეუღლეს. მისთვის გაუგებარი იყო ქმრის განსაკუთრებული სიყვარული და გულთბილი დამოკიდებულება გლეხებისადმი. მას ვერ წარმოედგინა რა სიამოვნებას ხედავდა მისი ქმარი ამ „უკულტურო“ და „უვიც“ ნათესავ—ნაცნობებთან საუბარში.

თავის მხრივ როინაშვილს განა შეეძლო დაევიწყებინა ის მზრუნველობა, რაც მისმა სოფლელებმა გამოიჩინეს, როდესაც ის მამის სიკვდილის შემდეგ დედის ამარა დარჩა. ოჯახზე ზრუნვა და გადასახადების გადახდა თოთხმეტი წლის ახალგაზრდას დააწვა ტვირთად. უგროშოდ დარჩენილ ახალგაზრდას სად შეეძლო ეხადა სახელმწიფო გადასახადი. ამ დროს მხარში ამოუდგნენ დუშელი გლეხები, რომლებმაც იკისრეს როინაშვილზე მიწერილი ყოველგვარი სახაზინო გადასახადის გადახდა. საარქივო მასალებში შემონახულია ერთი საბუთი, რომელსაც ხელს აწერს ოცდათორმეტი პირი. ეს საბუთი ნათლად გვიმტკიცებს დუშელი გლეხების დამოკიდებულებას როინაშვილის ოჯახისადმი.

აი ეს საბუთი:

მიეცი ესე მცხოვრებთგნით შტატ გარეთ ქალაქ დუშეთისა მცხოვრებს მასსავე ქალაქისა სახაზინო ყმას ალექსანდრე სოლომონის ძეს როინოვს, მას შინა რომელ ხვედრი მისდა სახაზინო ხარჯი და გამოსაღები ვითარცა ფულით ეგრეთვე ბუნებითი მიგვიღია თავსა ზედა ჩვენზედ საუკუნოთ და ვიკვრით ყოველთვის შევიცნოთ სადაც ჯერ არს, ყოვლის უარის უყოფელად, იგივე ალექსანდრე როინოვი განგვითავისუფლებია საუკუნოთ ამა ხარჯიდამ: ნება აქვს საფუძველსა ზედა რუსეთის კანონისა შევიდეს სასულიეროს წოდებაში ანუ სადაცა კეთილ განიზრახავს.

ვითარცა პირი თავისუფალი, მასზედ ხელის მოწერითა ჩვენთა ვემოწმებით.

ქ. დუშეთი. მარტისა დღესა ჩყვა წელსა.

მოსდევს ოცდათორმეტი ხელმოწერა*.

ცხადია როინაშვილი, ამ პატიოსან ადამიანებს ვერ დაკარგავდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ უცხო ტომის ქალი ასე ადვილად ვერ გაიგებდა დუშელი გლეხის გულისტკივილს და ვერ შეურიგდებოდა გლეხთა მუდმივ სიარულს მის ქმართან.

აქედან დაიწყო უკმაყოფილება ცოლ-ქმარს შორის. ვერავითარი შეგონებით და ტკბილი დარიგებით ვერ გააგებინა უცხო ტომის ქალს თავისი გულნადები. უთანხმოება გრძელდებოდა და ღრმავდებოდა მათ შორის. როდესაც დარწმუნდა ალექსანდრე, რომ მის ცოლზე არ მოქმედება მისი შეგონება და ახსნა-განმარტებანი, გადაწყვიტა გაშორება.

ერთ დღეს როინაშვილს უთქვამს თავისი ცოლისათვის: განჯაში ჯარი სდგას, დიდი შეკვეთა ავიღე და იქ უნდა წავიდეო. აუღია თავისი ხელსაწყოები და ცოლთან ერთად ორთაჭალამდე ეტლით მისულა. გამომშვიდობების დროს ცოლისთვის უთქვამს: „დღეის შემდეგ შენ ჩემი მეუღლე აღარ ხარ და მე შენი ქმარიო. რამდენჯერმე მოგეცი დარიგება და გაფრთხილება, შენ მაინც შენმა არ მოიშალე, მშვიდობით ბრძანდებოდეო. ქალს გული წასვლია. როინაშვილს უთქვამს მეეტლისათვის: „იქვე მიიყვანე, საიდანაც წამოვედითო“.

ეს მომხდარა 1880 წელს. ამით თავდება როინაშვილის ცხოვრების პირველი პერიოდი და იწყება ახალი, უფრო მძიმე პერიოდი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა.

---

* საქ. ცსსა, ფონდი 481, საქმე 6925. ფურც. 4—5.

ალ. როინაშვილი კახეთში. მისი მოგზაურობა დალესტანში

თბილისიდან წასული როინაშვილი, თელავში სახლდება. იწყებს კახეთის ისტორიული ძეგლების გადაღებას. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი სწერს: „გუშინწინ 24 ღვინობისთვეს (1880 წელი), თელავში ჩამოვიდა დაუღალავი მუშაკი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი, დიდი პატივისცემა და მადლობა მართებს ჩვენგან ამ უჩინარ კაცსა, რომელიც ყოვლის მიუდგომლად, წინამდგომი ათასგვარი დაბრკოლებისა და სიძნელისა, დაუღალავად და ერთხელ მტკიცედ გარკვეულის გზით ასრულებს თავის განზრახვას: ჩვენი მძლავრი და ჩინებულის წინაპრების ნაღვაწ-ნაშთების ცოცხლად გადახატვით, ხელმეორედ განგვიცოცხლოს წარსულის დიდებული დრო. ჩვენ თვითონ ჩვენი თვალით ვნახეთ ამისგან გადაღებული შემდეგი სურათები. 1. ძველი შუამთის მონასტერი, 2. ახალი შუამთის მონასტერი, 3. შუანთის ღვთისმშობლის ძველი ხატი თავისი ძვირფასი ქვებით, 4. ამავე მონასტრის წმინდა ნაწილები სხვადასხვა წარწერებით, 5. ძველი შუამთის ანტიკური კანკელის ხელით გადმოღებული სურათი, რომელსაც იგი შემკეგში კარგად აპირებს დახატვას, 6. ალავერდის ტაძარი, 7. წმინდა ნინოს ეკლესია თავისი ახალი გუმბათით, 8. ხირსის მონასტერი და მრავალი სხვა სურათები ნაშთებისა ზაქათალის ოლქში, ნუხის, შუშის და სხვა მაზრებში. უნდა გავტყდეთ, რომ ჩინებულად არიან გადაღებულნი და ღირსიც არიან უპირველესი ადგილი დაიჭირონ ჩვენი ოთახების გამამშვენებელ სურათებს შორის; ეჭვი არ არის ეს ასეც იქნება, როდესაც უფალი როინაშვილი გამოსცემს თავის სურათებს საქვეყნოდ, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები მოისურვებენ მათ

შეძენას. ძალიან, ძალიან მადლობის ღირსია ბ-ნი ა. როინაშვილი ამ ჩინებული ღვაწლისათვის".

ამის შემდეგ კორესპონდენტი გულისწყრომით იხსენიებს იმ პირებს, რომლებიც თავის უგუნურებით და უმეცრებით გზას უხლართავდნენ და შრომას უძნელებდნენ ამ მუშაკს.

როინაშვილი ასეთ პირებს შეუპოვრად ებრძოდა, არ ერიდებოდა მათ მაღალ თანამდებობას და ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ერთხელ დასახული მიზანი სისრულეში მოეყვანა. ეს მიზანი იყო ქართული ეროვნული მუზეუმისათვის მასალების შეგროვება და ბოლოს მუზეუმის გახსნა.

1881 წელს როინაშვილმა დასტოვა კახეთი, სადაც მან გადაიღო ყველა ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლი და გადავიდა დაღესტანში, თემირხანშურაში დასახლდა და იქ დარჩა რვა წელიწადს. ა. როინაშვილის დაღესტანში თავისებური მუშაობა არის არაჩვეულებრივი ფაქტი კავკასიის ერთა ცხოვრებაში. ამიტომ უფრო ვრცლად შევეხებით მის მუშაობას ამ პერიოდში.

ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება როინაშვილის დაღესტანში ცხოვრების შესახებ. იძულებული ვართ მეტნაწილად ვისარგებლოთ გაზეთებში გამოქვეყნებული კორესპოდენციებით და იმ მცირე მასალებით, რომელსაც გვაწვდიან მისი ყოფილი მოწაფეები, ამავე დროს ვისარგებლოთ მისი დღიურებითა და ეთნოგრაფიული ჩანაწერებით.

როინაშვილის თემირხანშურაში დაბინავების ერთი წლისთავზე გაზ. „დროების" კორესპონდენტი სწერს: „აგერ ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაღესტანში იმყოფება ჩვენი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი. შემოჰყვა დაღესტანს სამხრეთიდან, სადაც სხვათა შორის გადაიღო სურათი ქ. დარუბანდისა, რომელიც ძველ დროს, მეფე მირიანის მეფობაში ეკუთვნოდა საქართველოს ტახტსა და აქაურ მცხოვრებთა მაშინ უწოდებდნენ „ძურ-ძუკეთად". აქედან შემოდგომას მივიდა თემირ-ხან-შურაში, ზამთარი 1881—1882 წლებში გაატარა აქა ღვაწლში. შემდეგ გაზაფხულდა თუ არა, გაემართა დაღესტნის მთებში, იმ განზრახვით, რომ რაიმე შეეძინა კიდევ საქართველოს ისტორიისათვის და ანტროპოლოგიისათვის, თუმცა ამ განზრახვის აღსრულებას, დიდი ხარჯის გარდა, ბევრი გაჭირვება და ჯაფა მიუძღოდა საშინელს გზებზე სიარულით; მაგრამ ჩვეულებისამებრ ყოველივე სძლია შემწეობითა თავის დაუდგრომელი ენერგიისა... არამც თუ თავის მოგზაუ-

რობაში, გადაიღო სურათები და სახენი მთაში მცხოვრებთა სხვადასხვა გვარის ხალხისა, აგრეთვე აღწერა ცხოვრება, ჩვეულება, მდებარეობა შესანიშნავ ადგილთა და სოფელთა და სხვანი. ამის გარდა მოიპოვა ნივთები და ფულები ძველთა საუკუნეთა, ესლა მთებში ნაპოვნი მცხოვრებთაგან სასარგებლოდ ქართულის ნუმიზმატიკისა.

სხვათა შორის იმათში არის ჩამოსხმული ყვითელი სპილენძიდამ პაწაწინა კერპები, რომელიც უწინდელ დროში ჩვენთა წინაპართა ჩვეულებად ჰქონდათ გულზედ ტარება, ესგავსად მისთა, როგორადაც შემდეგ ქრისტიანობის მიღებისა ატარებდნენ ჯვარსა; მეტადრე შესანიშნავი ამის მიმოსვლაში ის არის, რომ მრავალი მასალები შეკრიბა იმისთანა, რომელნიც ნამდვილად ამტკიცებენ, რომ აქ, დაღესტანში ყოფილა ქრისტიანობა, ვიდრე გავრცელდებოდა მაჰმადიანობა შემდეგ საქართველოს სამეფოს დასუსტებისა. შარშან შემოდგომას ჩამოვიდა შურას ბ-ნი როინაშვილი და აქ დაიზამთრა. გაზაფხულდება თუ არა, აპირებს კიდევ გაემართოს მთებში დასავლეთის მხარეს, სადაც ვერ მოასწრო ყოფნა, სხვადასხვა მიზეზების გამო, და იქიდან გადასვლას ჩეჩენს თერგის-მაზრაში.

ღმერთმა შეძლება მისცეს ამ განზრახვის აღსრულებისას ამ სასარგებლო კაცსა, საქართველოს შვილსა.

ჩვენ ქართველთა გვმართებს დიდი მადლობა მიუძღოთ ბ-ნ როინაშვილს ამოდენა ღვაწლის მიღებისათვის". (გაზ. „დროება" 1883 წ. № 12).

ამ კორესპონდენციიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდი მიზნები ჰქონ და დასახული როინაშვილს. მაგრამ კიდევ უფრო მეტ სინათლეს ფენს მის მიზნებს ის წერილი, რომელიც მან მისწერა დაღესტანი დან ჩვენ ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს. წერილში აღნიშნულია თუ რა მიზნით აგროვებს ის ექსპონატებს. წერილიდან ჩანს, რომ მას კიდევაც უმოგზაურია პეტერბურგში და შედგომია, ამ მოძრავი გამოფენის მოწყობის სამზადისს, რომელიც მან შემდეგში განახორციელა. როინაშვილი წერს ბაქრაძეს:

„ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ამდენხანს ვერა გაცნობეთ რა ჩემ მ ოგზაურობაზედ, დღეს ერთი თვეა რაც დავბრუნდი დაღესტანშ ი მოგზაურობიდგან, სადაც თითქმის მთელი ზაფხული ვმოგზაურ ობდი და ბევრი კარგი ხედები გადავიღე. გარდა ხედებისა დაღე ესტანში მცხოვრებლებთაგან ვიყიდე ოცდაათამდენ ძლიერ კარ-

გი და შესანიშნავი ნივთები, მათ შორის ეხლა გიგზავნით ცხრამეტს ფოტოგრაფიასა, რომელნიც გადაღებულნი არიან ჩემს ნივთებიდან. გარდა ამისა გიგზავნით ორ სურათსა, რომელნიც ადგილობრივ მე გამოვხატე, კუბაჩის ძველი მეჩეთის კედლებიდგანა და რომელიც ნამდვილს ამტკიცებს, რომ ეს მეჩეთი ოდესმე ყოფილა ქრისტიანთა ეკლესია. ამ სურათთან ერთად გიგზავნით მოკლე შენიშვნასა კუბაჩინელებზე, რომელნიც ამოვკრიფე ძველ თათრების ისტორიიდგამა*.

ჩემს გადაღებულ სურათებთან ერთად გიგზავნით ცხრა სურათსაც, რომელნიც გადავიღე კნიაზ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის ნივთებიდგან რომელნიც ამ ზაფხულს შეიძინა და დიდათ შესანიშნავ არიან, რადგან გვიჩვენებენ იმ ხალხის ხელოვნებასა და ჩვეულებას, რომელნი ხალხნიც დღეს აღარ არიან.

ბატონო დიმიტრი! ახლა ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ ჩემს მოგროვილ ნივთებზე და ჩემს განზრახვაზედ. ამგვარ ნივთების შეძენა და მოპოება ისე მეხალისება და ისე მიყვარს, რომ თითქმის ყველაფერს ნაკლებულობას დიდის სიამოვნებით ავიტანდ ხოლმე ოღონდ კი შევიძინო და შევმატო რამე ჩემ კოლექციასა. აი ამგვარი ხასიათის წყალობით დღეს თითქმის ექვსასი ნაჭერი ნივთი შევიძინე და ვაპირებ მოძრავი მუზეუმის გამართვას. პეტერბურგიდამ ჩამოვიტანე ბლომად სტეროსკოპები და გრაფოსკოპები, რომელნიც ჩემს მუზეუმს შევურთე და ამ ოფტიკური შუშების შემწყობით მმვენიერად სჩანან ფოტოგრაფით გადაღებულნი სხვადასხვა შესანიშნავი სურათები კავკასიისა, ასე რომ ყველა ჯური ხალხისათვის არის სასიამოვნო სანახავი. ამგვარი მუზეუმის შედგენა მისთვის განვიზრახე, რომ მინდა ჩემი სიცოცხლის შემდეგ დავუტოვო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა, საიდგანაც ექნება მუდმივი შემოსავალი თუ საქმეს კარგად აწარმოებს.

ამ ჩემს სიცოცხლეში კიდევ არ დავიშლი და შეძლებისდაგვარად, ვეცდები, რომ ბლომად შევმატო ძველი ნივთები ჩემს კოლექციას. უმორჩილესად გთხოვთ აჩვენოთ ჩვენს დაწინაურებულ პირებსა ეს სურათები, რომელსაც ეხლა გიგზავნით და აუწასნათ ჩვენი განზრახვა. ეგება რომელიმე მათგანმა მომცეს დარიგება თუ როგორ მოვიქცე ჩემს სიცოცხლეშივე, რომ ეს ზემოხსენებული

---

* „Несколько слов о Кубачинцах их происхождении, религии и правителях" საქ. ცსსა, ფონდი 487, საქმე № 86.

მუზეუმი გადავიდეს წერა-კითხვის საზოგადოების ხელში და არ დაიკარგოს.

უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ როდესაც მიიღებთ ამ ამანათსა და ბრძანოთ თქვენი აზრი ჩემს განზრახვაზე.

> დავშთები თქვენი დიდხანს სიცოცხლის მსურველი და
> მონა თქვენი ალექსანდრე როინაშვილი. ქალაქი შუშა.
> 1885 წ. 2 დეკემბერი*.

წერილიდან ცხადად ჩანს, რომ როინაშვილი ამ საშვილიშვილო საქმეს გარკვეული მიზანდასახულებით აკეთებდა. საკითხავია: როდის შეუდგა ამ საქმეს, მაშინ როცა ცოლს გაშორდა და თბილისიდან გადაიხვეწა, თუ იოჯახური უსიამოვნება მხოლოდ უბრალო მიზეზი გახდა დიდიხნის წინათ გულში ჩანერგილი საქმის განხორციელებისათვის?

ამისათვის, საჭიროა ვიცოდეთ: სად და როდის დაიწყო მან სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება. საიდან შეიძინა ის ცოდნა, რომელიც მან გამოიჩინა ამ ნივთების შეგროვებისა და მათი მოვლა-პატრონობის დროს?

შეუძლებელია თბილისიდან გადახვეწილ ადამიანს, ერთი წლის განმავლობაში მიეღო ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აღწერა გაზ. „დროების" კორესპონდენტმა გ. ბაღსარაშვილმა. უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე გამოცდილი, დახელოვნებული და წინასწარი მიზნით მოქმედი ადამიანი შესდგომია 1881 წელს დაღესტანის სოფლებში მოგზაურობას და სამუზეუმო ნივთების შეგროვებას. ამ აზრს გვისაბუთებს როგორც მისი გამოფენის გამო გამოქვეყნებული წერილები ისე ნეკროლოგები მისი გარდაცვალების შემდეგ.

გაზ. „კავკაზის" ცნობით, როდესაც როინაშვილი ხლამოვთან ხელობას სწავლობდა, ის მიიზიდა სიძველეების შეკრების საქმემ და არქეოლოგიამ, რაშიაც მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი. გადაიღო მრავალი ქართული მონასტერი, თბილისისა და მის ახლო-მახლო მდებარე სიძველეების ფოტო-სურათები, შეაგროვა მნიშვნელოვანი კოლექცია ადგილობრივი ხედების, გაემგზავრა დაღესტანში, სადაც შეავსო თავისი კოლექცია მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ექსპონატებით.

გაზ. „ივერია" როინაშვილის მუზეუმის გამოფენის გამო ქ. ასტრახანში, 1887 წელს წერდა: „როინაშვილს მოუვლია კავკასია,

---

* ცსსა ფონდი. საქმე 481, № 86, გვ. 32—33.

თითქმის ოცი წლის განმავლობაში უმხნევია და დიდის მეცადინეობით შეუკრებია ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო კოლექცია („ივერია“ 1887 წ. № 198). იმავე გაზეთის მეთაურში ილია სწერს,—ეს მუზეუმი ძვირფასი განძია მეცნიერებისათვისო. „ოცი წელიწადია რაც ბ—ნი ალ. როინაშვილი, წინაპირველად დუშეთში მცხოვრებელი, კაცი უფულო, უმწეო და ხელშეუწყობელი, მოეკიდა ამ მუზეუმისათვის კოლექციის შედგენას და შეაგროვა მრავალი ძვირფასი ნივთი ძველის-ძველი ხელოვნებისა და ხელსაქმისა... არაფრის მქონებელმა კაცმა ჩაიდო გულში ეგ საქმე, ოცი წელიწადი იბეჯითა, იღვაწა, იმეცადინა და დღეს ამისთანა ძვირფასი გრძნობით დააგვირგვინა საქმე“.

არსებობს აგრეთვე ა. როინაშვილის 1886 წელს დაწერილი წერილი პეტერბურგის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარისადმი, სადაც ნათქვამია, რომ სინი (ლანგარი), რომელიც ეხლა გადავწყვიტე გავყიდო, ერთ-ერთი საუკეთესო ექსპონატია ჩემს კოლექციაში რომლისათვისაც მე ათ წელზე მეტია რაც ვზრუნავო“. (ხაზი ჩემია ბ. ტ.).

აქედან ნათლად ჩანს, რომ როინაშვილს ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროს დაუწყია სამუზეუმო ნივთების შეგროვება და კოლექციის შექმნა. არქეოლოგიისადმი სიყვარული ადრევე ჰქონია მას. ის უეჭველია იცნობდა იმდროს წარმოებულ უცხოელთა არქეოლოგიურ გათხრებს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. თავის ფოტო-ექსპედიციების დროს თვითონაც აწარმოებდა პატარ-პატარა გათხრებს და დიდი მოწიწებით აგროვებდა ძველ ნივთებს.

მასზე, ალბათ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გახსნილი ანტიკვარული მაღაზიები როგორც რუსეთში ისე საქართველოში. ის ხედავდა, რომ ანტიკვარულ მაღაზიებში მიჰქონდა გაღატაკების გზაზე მდგარ ჩვენ თავადაზნაურობას ის ძვირფასი ისტორიული ნივთები, რომლებიც ჩამომავლობით ჰქონდათ გადმოცემული. ამ მაღაზიების წყალობით სამუდამოდ იკარგებოდა ის, რაც დიდ განძს შეადგენდა ერის კულტურისათვის

ანტიკვარულ მაღაზიებში მიტანილ ნივთებისა და ისტორიული ძეგლების ფოტოსურათებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ უცხოელები. თანხას არ ზოგავდნენ ძველი ნივთების შესაძენად. ხედავდა ამას როინაშვილი და დიდად სწუხდა, რომ მისმა თანამემამულეები იოლად უგდებდნენ ხელში ყველა გამვლელ-გამომავლელს საუკუნეობით დაგროვილ ქონებას.

როინაშვილის ძმისწული ვასილი ერთ საინტერესო ამბავს

მოგვითხრობს, რომელიც შემთხვევია ბიძამისს. ერთხელ ვიღაც ინგლისელი მოგზაური შესულა ალ. როინაშვილის ფოტოგრაფიაში დაღესტნის ხედ(ბისა და ტიპების შესაძენად. ამ ინგლისელს შეუნიშნავს, რომ როინაშვილის მაგიდაზე ერთი პატარა ხარისხიანი ნივთი იდგა, რომელიც საფერფლის მოვალეობას ასრულებდა. ეს ნივთი ძ(ლიერ მოსწონებია ინგლისელს, უკითხავს ალექსანდრესთვის: რა მიეცი ამ ნივთშიო? როინაშვილს უთქვამს მინაცემი. ინგლისელს უთხოვნია დაეთმო მისთვის ეს ნივთი, ალექსანდრეს სწყენია— მე ნივთი ფულის მოსაგებად კი არ შემიძენია, მომწონს და არ გავყიდიო. ინგლისელი მაინც არ მოშორებია და სულ იაფად ნაყიდ ნივთში 500 მანეთი შეუ(ძ)ლევია. იმ მიზნით, რომ ეს აბეზარი მუშტარი მოეშორებია ალექსანდრეს უთქვამს თუ 5000— მანეთს მომცემ—წაიღეო, დარწმუნებული ყოფილა, რომ ჭკუათმყოფელი კაცი ამ ნივთში ასეთ დიდ თანხას არ გადაიხდ(და და ამით მოიცილებდა მას. ინგლისელს მაშინვე ამოუღია ჯიბიდან ბანკის ჩეკი და გამოუწერია ეს თანხა. „ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, ვერ გამეგო რაში მომცა ამ კაცმა ამდენი ფულიო“—უთქვამს როინაშვილს.

არ შეიძლება ამ შემთხვევას დიდი გავლენა არ მოეხდინა გამჭ(რიახსა და პრაქტიკულად მოაზროვნე როინაშვილზე.

ეს ის გაფაციცებით ეცნობა მუზეუმის მოწყობის წესს, ექსპედიციების ორგანიზაციას და ისეთ სხვა საკითხებს, რომელთა ცოდნა აუცილებელი იყო ეროვნული მუზეუმის შესაქმნელად. ის ხვდებოდა მრავალრიცხოვან უცხოელებს, რომლებიც თხრიდნენ ჩვენი წინაპრების საფლავებს, გაჰქონდათ ჩვენი ქვეყნიდან იქ ნაპოვნი, ისტორიული მნიშვნელობის ნივთები. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწ(ილი არა თუ ხელს უშლიდა მათ ამ საქმეში, დახმარებასაც კი უწევდა მათ. ამ სავალალო გარემოებას. არაერთხელ აღნიშნავს როინაშვილი თავის წერილებში და მოგონებებში.

ამ ხანებში თვით საქართველოში დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ისტორიული ნივთების შეგროვებას. ძალიან ბუნდოვნად ჰქონდათ წარმოდგენილი მისი მნიშვნელობა.

თვით ისეთი დიდი პატრიოტი და პროგრესული ადამიანი როგორიც იყო დავით ერისთავი ერთ-ერთ თავის კერძო წერილში ასე ახასიათებს როინაშვილის საქმიანობას: „...გახსოვს ჩვენი ფოტოგრაფი როინოვი... რაღაც ძველი ნივთების გროვებას შეუდგა. დაღესტანში ერთი რაღაც ქვები იპოვნა С клинообразными

надписями და ერმიტაჟი ყიდულობს за 25,000 рублей! ვიღაც გრაფი ბობრინსკი, პეტერბურღის მარშალი ჩაიგდო ხელში და რამდენიმე დანჯღრეული ქვაბი ხუთას თუმნად მიჰყიდა. ამის კოლექცია 100000 მეტად აფასებენ. ეხლა ქალაქში იყო და თავის კოლექცია „წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა“.

თუ ისეთი დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, ,,სამშობლოს“ ავტორი, ასე აგდებულად უყურებდა როინაშვილის საქმიანობას, რა საკვირველია, რომ ნაკლებ განათლებულ ადამიანებს სათანადოდ ვერ შეეფასებინათ როინაშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე. მაგრამ ვერავითარი დაბრკოლება ვერ უკლავდა მას იმ დიდ სურვილს, რომელიც ჩაესახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხლამოვთან ყოფნის დროს პირველად იმოგზაურა დაღესტანში. ეს სურვილი იყო ქართული ეროვნული მუზეუმის შექმნა, ერთ ადგილას თავმოყრა იმ დიდი მასალისა, რომელიც დღითიდღე ნიადებოდა. ამავე საგანზე ფიქრობდა და ზრუნავდა მაშინაც, როცა თბილისში ფოტოგრაფიულ სახელოსნოს ხსნიდა. აღებულ ფულით ნელი-ნელ იძენდა ისტორიულ ნივთებს. მუზეუმის შექმნის აზრი საბოლოოდ მაშინ ჩამოუყალიბდა, როცა დასტოვა თბილისი და შეუდგა ხანგრძლივ მოგზაურობას ჯერ თვით საქართველოში, შემდეგ კი მეზობელ ქვეყნებში.

საქართველოს არაერთხელ აწიოკების დროს, შემოსულებს გაჰქონდათ მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ქონება და საოჯახო ნივთები. ამ ნაძარცვის საგრძნობი ნაწილი დაღესტანში ინახებოდა, ვინაიდან მოთარეშე ტომები ხშირად ლეკების დახმარებით აწარმოებდნენ საქართველოს დარბევასა და აოხრებას. ამიტომ იყო, რომ როინაშვილი დაღესტანში შეძენილ ნივთებს „ტყვეობიდან დახსნილს“ უწოდებდა.

როგორც არსებული საბუთებიდან ჩანს, ოთხმოციან წლებში როინაშვილს უკვე იმდენად ცნობილი კოლექცია ჰქონია ისტორიული მნიშვნელობის ნივთებისა, რომ მტკიცე კავშირი დაუმყარებია პეტერბურგისა და მოსკოვის სამეცნიერო წრეებთან. ამ დროს მას ირჩევენ პეტერბურგის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების წევრად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმეში მას დიდ მორალურ დახმარებას უწევდა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი დიმიტრი ბაქრაძე (1827—1890), რომელიც პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი და

კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ექსპონატების შეძენა, პატარა მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, ადგილობრივი ხალხის დასაჩუქრება და სხვ. მოითხოვდა სახსრებს, რომელიც მას უნდა გამოენახა. როინაშვილი ზოგჯერ რუსეთის სამეცნიერო ორგანიზაციებს უძღვნიდა ხოლმე თავის ნაპოვნ ნივთებს.

ხანდახან იძულებული იყო თავისი კოლექციის რომელიმე ექსპონატი გაეყიდა, რომ საღსარი გამოენახა. თუ ვინმე გავლენიანი პირი ძალას დაატანდა და რომელიმე ნივთს სთხოვდა, ექსპონატს განზრახ დიდ ფასს დაადებდა, რომ არ ეყიდათ მისგან. გასაჭირის დროს თუ ექსპონატს გაჰყიდდა, მის ფოტოსურათს ინახავდა თავის ფოტოარქივში. იღებდა აგრეთვე იმ ისტორიული მნიშვნელობის ნივთების ფოტოსურათებს, რომლებსაც უსაღსრობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ იძენდა.

ასეთი ხასიათის ფოტოარქივის დოკუმენტებს პრაქტიკულადაც იყენებდა, ჰქმნიდა ალბომებს და უგზავნიდა რუსეთის სამეცნიერო წრეებს.

1884 წელს მოსკოვში შესდგა არქეოლოგების ყრილობა, სადაც კავკასიაში ნახული შესანიშნავი ნივთების შესახებ მოხსენება გააკეთა არქეოლოგმა ანუჩინმა. მან აღნიშნა ის სამარცხვინო ფაქტი, რომ კავკასიას უფრო უცხოელი არქეოლოგები ეტანებიან, ვინემ ჩვენო. ბოლოს ყრილობის წევრებს გააცნო მშვენიერი ფოტოალბომი შედგენილი „არქეოლოგიის მოყვარულის კავკასიელის ფოტოგრაფის ა. როინაშვილის მიერ, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია იღებს სურათებს შესანიშნავი ისტორიული ძეგლებისას და რომელსაც შედგენილი აქვს ალბომები კავკასიური ტიპებისა. მის კოლექციაში ინახება ბევრი მონეტები და სხვადასხვა ნივთები ბრინჯაოს საუკუნისაო“.

პეტერბურგის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოებაში გაგზავნილ ერთ თავის მოხსენებაში როინაშვილი ადარებს მცხეთასა და დაღესტანში ნახულ ქვა-ყუთებს და მათში ნახულობს მზგავსებას. ის უეჭველად იცნობდა ბაიენის და სხვების არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოში.

აქედან ნათლად ჩანს, რომ როინაშვილი მეცნიერული მიზნით აგროვებდა დაღესტანის სოფლებში ძველს ნივთებს. ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურის გავლენას დაღესტანში.

კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს, როინა-შვილს, რა თქმა უნდა, მტკიცე კავშირი ჰქონდა თავის სამშობ-ლოსთან. არა მარტო წერილობით აცნობებდა ხოლმე თავის მუ-შაობის მსვლელობას საზოგადო მოღვაწეებს, არამედ ხანგამოშვე-ბით თბილისშიაც ჩამოდიოდა, თან ჩამოჰქონდა თავისი ექსპონა-ტები და პირადადაც აცნობდა საზოგადოებას თავის განზრახვას. როგორც ვიცით, მისი მტკიცე განზრახვა იყო, საქართველოში ეროვნული მუზეუმის დაარსება. მის ასეთ განზრახვას ხელი შეუწ-ყო იმ დროს დაწყებულმა დიდმა სახალხო მოძრაობამ როგორც რუსეთში ისე საქართველოში.

გასული საუკუნის 70—80 წლებში რუსეთში თავი იჩინა ეგ-რეთწოდებულმა ნაროდნიკობამ (ხალხოსნობამ). ინტელიგენციამ მიზნად დაისახა გლეხებში გასვლა და მათ შორის თვითმპყრობე-ლობის წინააღმდეგ მიმართული იდეების გავრცელება. ამ მოძრაო-ბამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოში. აქ მან კარგი ნიადაგი მოიპოვა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მოს-წავლე ახალგაზრდობის უმრავლესობა სოფლის ღვიძლი შვილები იყვნენ, სოფელს არ იყვნენ მოწყვეტილნი, იცოდნენ მისი ავ-კარგი კარგად იცნობდნენ მის მტერ-მოყვარეს, იცნობდნენ გლეხთა ტკივილებს. ქალაქიდან მიდიოდნენ სოფლად ხალხში, შეჰქონდათ ახალი აზრები და მიზნები. საქართველოს მოწინავე ადამიანები მალე მიხვდნენ, რომ მარტო „ტეტიათა ტრფიალით“, ხალხში გას-ვლით საქმე არ გაკეთდებოდა. საჭირო იყო უფრო პრაქტიკული ხასიათის მუშაობა, ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც სახალ-ხო განათლების საქმეს და ახალი იდეების დანერგვას უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევდა.

პროგრესული ინტელიგენციის მხნეობითა და მეცადინეობით ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1879 წელს, მას ეწოდა „ქართ ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მის-მა დამაარსებლებმა განაცხადეს: „საზოგადოება ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისას, არამედ ვალად იღებს ზრუნ-ვას მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობენ არც თავადი, არც აზ-ნაური, არც სამღვდელოება, არც გლეხი; იგი ემსახურება მთელს ქართველობასა“.

ამგვარს საზოგადოებას ფრთები უნდა შეესხა ქართველობი-სათვის და დიდი იმედები წარმოეშვა ნასში, მაგრამ ასე არ მოხდა. ერთ ადგილას ამ საზოგადოების მთავარი დამაარსებელი ი. გოგე-

ბაშვილი ამბობს „ჯერჯერობით სპილოს რწყილი ვაშობინეთ. საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა ას-ასობით მაინც უნდა ესწრებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ, რადგანაც ორმოცდაათი კაცი, კანონიერი რიცხვი, ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა. საზოგადოების წევრებად ქართველები ითვლებიან არა ასი-ათასობით არამედ ასობით. წევრები საზოგადოებისა ისე გულგრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის ვაი ვაგლახით შემოდის საზოგადოების სალაროში მხოლოდ მეათედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გროვდებოდეს. გამგეობასაც გადაედო ეს გულგრილობა და იგი ვერ იჩენს ჯეროვანს უნარსა და მხნეობასა, და მას რაიმე შესამჩნევი კვალი ჯერ არ გაუვლია. ორიოდე სკოლა, ორიოდე წიგნაკის გამოცემა, სამიოდე სტიპენდია და ერთი შკაფი წიგნები, აი მთელი მისი მოქმედების ნაყოფი დღემდინ. რა არის უმთავრესი მიზეზი ამგვარის უძლურებისა? საზოგადოება და მისი გამგეობა რად არ წარმოადგენს ცოცხალს, მოქმედ, მხნე დაწესებულებას და რატომ ჰგავს სნეულს და მიხრწნილს საზოგადოებრივ ორგანიზმსა? კითხულობს ი. გოგებაშვილი.—თავდაპირველად ასახელებდნენ გარეგან დაბრკოლებასა, მაგრამ იგი უარყოფს გარეგან დაბრკოლებებს.

მეორე მიზეზი,—განაგრძობს ი. გოგებაშვილი:—მოჰყავთ—იმ პირთ, „რომელთაც უპირავთ წარჩინებული ადგილები ჩვენს საზოგადო ასპარეზზედ. მათი აზრით, წერა-კითხვის საზოგადოების მეტად ზანტი მოქმედება წარმოსდგება ჩვენი ერის მოუმზადებლობიდანაო. ამგვარი რთული და მაღალმნიშვნელოვანი საზოგადო საქმეების კეთილად წარმართვას ეჭირვება მრავალი მცოდნე და მხნე პირიო. ჩვენში კი ამგვარ პირებს თითებზე ჩამოვთვლითო. სამიოდ-ოთხმა დაწინაურებულმა პირმა გამოიდვა თავი, შეადგინა წესდება, წერა ჟურნალ-გაზეთებში ამ საქმის მნიშვნელობაზედ, დროებით თანაგრძნობა აღძრა საზოგადოებაში და დაარსა საზოგადოება; მაგრამ წამით თანაგრძნობა ჰგავს ბურბუშელას ცეცხლს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წამს გაანათებს, მერე ჩაქრება და გარშემო იმისთანა სიცივესა სტოვებს, როგორც წინათ იყო". მხნე და ენერგიული გოგებაშვილი უარყოფს ამ მეორე დამაბრკოლებელ მიზეზსაც და დარწმუნებული იმაში, რომ საზოგადოებას მრავალი გულშემატკივარი აღმოუჩნდებოდა, ის კიდევ უფრო მეტად დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა პატიოსან და შეგნებულ მოქალაქეს დახმარების ხელი გაუწოდონ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეროვნულ წამოწყებას.

ალ. როინაშვილმა პირველმა იკისრა ეს დახმარება ქ. შ. წ. კ. გ. ს-ებისადმი. საზოგადოების 1886-87 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საანგარიშო წელიწადიც, როგორც ორი (1884—85) წელიწადი შესანიშნავია შემოწირულებით საზოგადოების სასარგებლოდ. შარშანდელს ანგარიშში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნი ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილმა ხოგიეთ შემოწირულების გარდა აღუთქვა ჩვენს საზოგადოებას მდიდარი მუზეუმი ძვირფასის არქეოლოგიურის ნივთებისა. ეს სიტყვით აღძრული შემოწირულება ბ-ნმა როინაშვილმა საქმითაც დაუმტკიცა საზოგადოებას. ამან წარმოუდგინა გამგეობას ანდერძის წერილი, შედგენილი 22 მაისს ამა 1886 წლისა ნოტარიუსის წესით, რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „მე დუშეთელი გლეხი ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი მთელ ჩემს კუთვნილ ქონებას, რომელსაც შეადგენს: ფოტოგრაფიული დაწესებულება, ყველა ნეგატივებს, აპარატებს, ფოტოგრაფიულ სურათებს, აგრეთვე არქეოლოგიურ და ანტიკვარულ ნივთებს, ამასთანავე კაპიტალს და სხვა ჩვენს მოძრავ ქონებას, რომელიც ჩემი სიკვდილის დღეს აღმოჩნდება, ვუანდერძებ სრულ განსაკუთრებულ საკუთრებად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

საინტერესოა ვიცოდეთ ვისი ჩაგონებით და რა პირობებში დაიწერა ეს ანდერძი ან რამ აიძულა 38 წლის ჯანღონით სავსე როინაშვილი ასე ნაადრევად დაეწერა ანდერძი?

საქმე იმაშია, რომ როდესაც როინაშვილი თბილისიდან გადაიხვეწა და გამალებით შეუდგა ისტორიულ ძეგლების გადაღებასა და არქეოლოგიური ნივთების შეგროვებას, იმას გადაწყვეტილი ჰქონდა მოძრავი მუზეუმის მოწყობა და იმით მოვლა რუსეთის უდიდესი ქალაქებისა. როდესაც ის დაღესტნიდან ჩამოვიდა თბილისში 1886 წელს თან ჩამოიტანა მთელი თავისი მოძრავი ქონება. იმდროინდელი ჟურნალი „თეატრი“ წერდა „ამ მოკლე ხანში თემირხანშურიდან ჩამოვიდა ქართველი მოგზაური ფოტოგრაფი ა. როინაშვილი და დიდძალი საარქეოლოგიო ძველი ნივთები და სურათები ჩამოიტანა“. (1886 წ. № 21).

ქართველმა საზოგადოებამ უკვე იცოდა, რომ როინაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა ეს ქონება დაეტოვებია ქართველი ერის საკუთრებად. ამავე საზოგადოებამ ისიც იცოდა, რომ ამ ქონებით როინაშვილი მიდიოდა შორეულ მოგზაურობაში და მოსალოდნელი იყო მრავალი ხიფათი. ყველა დაინტერესებული იყო, რომ მალე

გამხდარიყო ამ ქონების პატრონი ის ორგანიზაცია, რომელმაც ერის კულტურის მესაჭეობა იკისრა. როგორც როინაშვილის მოწაფის ერთ ერთ მოგონებიდან სჩანს, ამ საქმით ყველაზე დაინტერესებული ყოფილა ალექსანდრე ყაზბეგი. „რომ გაიგო ალ. ყაზბეგმა, ჩემი განზრახვა, აღარ მომშორებია, სულ უკან დამდევდა, რომ ვისმეს ხელი არ შეე'მალა ჩემს განზრახვისათვის; ვიდრე ანდერძი ნატარ:ესით არ გავაფორმე, არ ჩამომშორებიაო“,—უამბობდა ალექსანდრე შემდეგში თავის შეგირდებს.

ანდერძის გაფორმების შემდეგ როინაშვილი ისევ თემირხან-შურაში გაბრუნდა, საიდანაც ფრიად საინტერესო წერილს სწერს დიმიტრი ბაქრაძეს. (1887 წ. 23 აპრილი. შურა).

მოწყალეო ბატონო დიმიტრი!

თქვენი წერილი მივიღე და დიდათ მასიამოვნა. გმადლობთ, რომ არ მივიწყებთ. ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი ასრე დაგიგვიანეთ. მიზეზი ის იყო, რომ ბობრიცკისაგან* ჩემი წერილის პასუხს ველოდი და მინდოდა მომეწერა, მაგრამ აი დღევანდლამდისაც არ მიმიღია. საკვირველია, ღმერთმანი, ორი ქვა დამიკარგეს ჩემი ქვების კოლექციიდან, ვწერ წიგნსა, ვეკითხები და პასუხსაც არ მწერს. ვინ იცის პეტერბურგში არ არის.

ამ წერილთან გიგზავნით მოხსენების პირებს, რომელნიც შარშანა და წელს გავგზავნე პეტერბურგსა. აქედან თქვენც შეიტყობთ, თუ რამდენად მართალია, რომ დაღესტანში ყოფილა ქრისტიანობა გავრცელებული. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ თანაგრძნობით და აუჩქარებლივ გამოკვლევას შეუდგებიან, უთუოდ, აღმოჩნდება ნამდვილი დამამტკიცებელი ნიშნები, რომ აქ ყოფილა ქრისტიანობა გავრცელებული. ჩემი ქვების კოლექცია, რომლებზედაც ლურსმული წარწერაა, ვიყიდე კავკაზში ერთ მოხუცებულის სპარსელისაგან. ეს სპარსელი ქერბალაიში ყოფილა სალოცავად და იქიდან მოუტანია. ასე თქვა: „მეჩეთისათვის საძირკველს ვთხრიდით იქ აღმოჩნდა და თან წამოვიღეო“. ქერბალაი სპარსეთისა და თურქების საზღვარზე არის, სადაც წმინდანის საფლავია.

ეს ქვების კოლექცია, ბობრიცკის თხოვნით, პეტერბურგში გავგზავნე. შემაძლია 3000 მანეთი, მაგრამ მე რადგან არ მინდოდა მომეკლო ჩემი კოლექციისათვის, არა ვქენი. მეორე წერილით შემომაძლია 4000 მანეთი, მაგრამ მაინც არ გავიმეტე. მკითხა ფა-

---

* პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე.

სი და მე 10.000 მანეთი დავუფასე, უფრო იმიტომ, რომ არ ეყიდა, თუ იყიდდა ამ ფასად, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამ ფულით კარგა შემევსო ჩემი კოლექცია. ამასობაში გავიდა ოთხი თვე და მოიწერა, რომ შენი ქვების კოლექცია გაკეთებულები გამოდგნენო (те подделаны). მე მაშინვე ტელეგრაფით ვთხოვე, რომ უკანვე გამოეგზავნა, მაგრამ დიდი ხანი გავიდა, არ მომივიდა. გაიარა ოთხმა თვემ და მაშინ მივიღე, მაგრამ ორი ქვა აკლდა. ვაცნობე ტელეგრამით ესა და ეს ნუმრები არ მიმიღია-მეთქი. კიდევ გაიყვანა ორი კვირა და მაცნობა, რომ მაგ ნუმრების ქვები არ მიმიღიაო. როდესაც პირველად ქვები გავუგზავნე, მაშინ კი მწერდა, რომე მივიღე სრულათაო და მთლადო. ადრინდელი წერილიცა მაქვს, რომელშიაც იწერება, რომ თუ დაიკარგოს ან გაფუჭდეს გიზღაო.

თვე ნახევარია მივწერე წერილი და ვწერდი, რომ ქვები ნამდვილ სრულად გამოგიგზავნე მეთქი და უთუოდ იმ ყუთში დარჩნენ უნახავნი, რომლითაც გამოვგზავნე მეთქი და სხვ. და აი დღევანდლამდენ პასუხი არ მომსვლია, მხოლოდ ის კი შევიტყე, რომ პეტერბურგიდამ წასულა საზღვარგარეთ და ეხლა საალდგომოდ დაბრუნებულა პეტერბურგსა. იქნება ეხლა მოიწეროს რამე. ეს იყო მიზეზი, რომ აქამდე ვერა მოგწერეთ რა. და თუ მოიწერება, ჩემი წერილის პასუხსა, უთუოდ გაცნობებთ. რაც შეეხება იმისა, რომ ჩემი ქვები ,,პოდელანები'' იყვნენ, ეს ნამდვილი ტყუილია, რადგან ძლიერ ეტყობა თავისი სიძველე და სრულებით ძველი ხელოვნება.

აქამდინ აქ დაღესტანში ნაპოვნ ძველ ნივთებზედაც იძახდნენ გადაკეთებულიაო, მაგრამ დღეს კი თითო უბრალო ნივთში 2000 და 3000 მანეთს იძლევიან.

ქართული ძველი წიგნები არა მაქვს რა, ამბობენ, ყიზლიარის მაზრაში ბევრი ქართველები არიანო და ბევრს აქვთ ქართული ხელნაწერებიო. შემოდგომაზე სულ თავს ვანებებ შურასა და თერგის მაზრაში გადმოვდივარ. ვეცდები იმ ქართველების ოჯახებშიაც მოვიარო და თუ რასმე შევხვდი და შევიძინე, უთუოდ, მალე მოგართმევთ.

ძლიერ გამიძნელდა შურიდგამ გამოსვლა, რადგან ჩემი ნივთების ზიდვას ოთხი ფურგუნი ვერ დასძრავს. ყველა ნივთი ჩალაგებული მიწყვია და შესდგება ორმოცის დიდის ყუთისაგან. მყიდველები ძლიერ ბევრნი არიან, მაგრამ არავისზედ გავყიდი და ისევ ისრე ვარჩევ, როგორც გწერდით და თქვენც მოგწონებიათ ჩვენი აზრი. ვეცდები, რომ ქალაქს დავბრუნდე და ყველა მანდ გამოვფინო.

ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძემ თავისი ნივთებიდგან თხუთმეტი საუკეთესო ნივთი მიყიდა ბობრიეკისა 7000 მანეთად. ხვალ მე თვითონ ვულაგებ ყუთებში, პეტერბურგში გასაგზავნად. ეს ნივთები შესდგება ყვითელი სპილენძისაგან და გაკეთებულია მამალი, იხვი, ირემი, ლომი, ცხენი და სხვადასხვანაირი ლიტრები... ამისთანები ბევრია ჩემს კოლექციაში და ამაზე უფრო უკეთესებიც. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ იტყვით, რომ მე გწერთ ჭავჭავაძის ნივთების გაყიდვას, რადგან თვითონ არა სურს, რომ გაიგოს ვინმემ*.

დაღესტანის საქრისტიანო ძეგლებზე ვერას გწერთ ამ წერილში, რადგან მოხსენებაში ამოიკითხავთ და ყველას შეიტყობთ. გიგზავნით აგრეთვე სამ ფოტოგრაფიულ სურათს, რომლებზედაც მოხსენებაში ვწერ და ყველა სურათს მეორე მხარეზე აწერია მოკლე შენიშვნა. აგრეთვე გიგზავნით გადმოხატულ სურათებს, რომლებიც მიუდგომლობის გამო ფოტოგრაფიით შეუძლებელი იყო გადაღება.

მე რომ შეძლება მქონდეს, არ დავზოგამდი ფულსა და უფრო რიგიანად შევუდგებოდი გამოკვლევას, მაგრამ რა უყო, რომ ეს ჩემი ფოტოგრაფიისაგან შემოსავალი საცხოვრებლად და ძველი ნივთების შესაძენადაც ვერ მყოფნის. რა დასკვნას გამოიყვანთ ჩვენი მოხსენებებიდან, უმორჩილესად გთხოვთ, გვაცნობოთ.

ეხლა და ეხლა ძალიან დაგიჟდნენ ძველი ნივთებისათვისა, ოკრუგის ნაჩალნიკები ჩილაევი, ჯავროვი და სხვები აგროვებენ და ყიდულობენ, მაგრამ ბევრი ვერა შეუგროვებიათ რა, რადგან გვიან დაიწყეს და, როცა მე შევიძინე, მაშინ გაიგეს ფასები. აქ ერთი შტაბის ნაჩალნიკი იყო, გვარათ ჩარკოვეცკი: სპარსეთში იყო ნამსახური და იქიდგან მოიტანა ზოგიერთი ძველი, მაგრამ არაფრით შესანიშნავი ნივთები. ცოტა აქაც იყიდა და უფრო შეავსო თავისი კოლექცია: წაიღო პეტერბურგსა და პოლოვცოვს მიჰყიდა 45.000 მანეთად. ამან უფრო თვალები აუხილა ეხლა ნივთების შემაგროვებელთა.

ეს ძველი ნივთები არ ეკუთვნიან დაღესტნელების მცხოვრებთა მონაქმედარსა და უფრო ავკაცობით არიან შემოტანილნი.

როდესაც ბობრიეკი შურაში მოვიდა, ჯერ იყო ჩემთან და სულ გადასინჯა ჩემი ხედების კოლექცია. ძლიერ გაკვირდა, რომ აქამდენ თქვენზე არაფერი ვიცოდით რაო. მადლობა მითხრა, დიდი ალბომი გამაკეთებინა პეტერბურგის საზოგადოებისათვისა, სადაც

---

* ეს თხოვნა წერილის გვერდზეა ცალკე მიწერილი. ბ. ტ.

მოეხსენებინა ჩემზედ და საზოგადოებისაგან მომივიდა დიპლომი. თვითონ მთხოვა, რომ რაც შესანიშნავი რამ შეგხვდეთ ხოლმეო, გთხოვთ, რომ პირდაპირ საზოგადოების სეკრეტარს გამოუგზავნეო, და მეც იმიტომ პირდაპირ ვგზავნი. მაცნობეთ თუ უმჯობესი იქნება, რომ მანდ ქალაქში გამოვგზავნო ხოლმე, ჩემთვისაც დიდი სასიამოვნო იქნება და ასე მოვიქცევი შემდეგში. ჩემი მოგზაურობის დღიურებში კიდევ ბევრი ადგილები და შესანიშნავი ნივთები მაქვს ჩაწერილი და უფრო ვრცელი წერილი გამოვა.

მოგიკითხავთ და გულითა და სულით ვინატრი თქვენს მშვიდობიანობას, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასა სამშობლო ერისა და ქვეყნის სასახელოთ და საიმედოთ*".

აქ მოტანილ წერილში ნათლად ჩანს, თუ როგორი აჟიოტაჟი იყო შექმნილი ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დამარცხებულ დაღესტანის მიწა-წყალზე. სჩანს როგორი საშუალებებით იძენდნენ ბობრიცკები ძველ ნივთებს, როგორ მდიდრდებოდნენ ხალხის ქონებით ჩილაევები, ჯავროები, ჭავჭავაძეები და სხვები. როინაშვილის მიზანს კი მხოლოდ ერთი რამ შეადგენდა: გადაერჩინა ხალხის ქონება დატაცებისაგან, დაებრუნებინა ისევ ხალხისათვის ეს ისტორიული მნიშვნელობის ნივთები. მან ამისათვის საუკეთესო გზა მონახა. ჯერ მოძრავი მუზეუმის შექმნა და მერე მუდმივი მუზეუმის დაარსება, სადაც ყველას ექნებოდა საშუალება გაცნობოდა ხალხიდან გამოსული დიდი შემოქმედი ადამიანების ნახელავსა და ნააზრევს. ამ გზამ როინაშვილი მიიყვანა რუსეთის უდიდეს ქალაქებამდე, იქ მოიპოვა სახელი და პატივისცემა, შემდეგ კი მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნა 25 წლის მანძილზე შენაგროვი ქონება.

სანამ ხანგრძლივ მოგზაურობას შეუდგებოდა შორეულ მხარეში თავისი ,,მოძრავი მუზეუმით'', ის ხშირ მიმოწერას აწარმოებდა რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან.

მისი წერილების, დღიურებისა და მოხსენებების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ა. როინაშვილი რომელიმე საკითხის გამორკვევის დროს დაწვრილებით სწავლობს ფაქტებს, ეცნობა მეცნიერების აზრს და მისთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურასაც. იღებს დოკუმენტების ფოტოსურათებს, ხოლო სადაც აპარატის

---

* იხ. საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი ხელნაწერი № 2519|5.

მიტანა არ ხერხდება თვით აწარმოებს ნივთის ჩახატვას.

როდესაც დარწმუნდებოდა თავის შეხედულებების სისწორეში, ფაქტებით ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც ცდებოდა, მისი აზრით. ასეთი იყო მაგალითად როინაშვილის მტკიცება, დაღესტანში ერთ დროს ქრისტიანობის არსებობის შესახებ. მისი მოსაზრება სხვა მეცნიერებებისაგან გაგონილ, ყურმოკრულ ამბებს კი არ ემყარება, არამედ თვით როინაშვილის დაკვირვებებსა და გამოკვლევებს. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეს საკითხი შეუსწავლელი იყო და როინაშვილის ძიება ამ მიმართულებით საყურადღებოა.

რუსეთში გაგზავნილ მის საინტერესო მოხსენებებს სხვადასხვა არქეოლოგიურ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ოფიციალურ თანამდებობის პირებთან, ახასიათებს საქმის ყოველმხრივი გათვალისწინება და შეხედულებათა მრავალი ფაქტებით დადასტურება. ა. როინაშვილის გადარჩენილი მოხსენებები ლამაზი ხელით არის დაწერილი, ხოლო რაც შეეხება რუსულის ცოდნას, ყველგან გამართული ენით ვერ წერს. თვითონაც არ მალავს ამას და ერთ ადგილას ამბობს: ,,რუსულის ცოდნაში მოვიკოჭლებო''. ამ მოხსენებიდან სჩანს, თუ რაოდენ დიდ შრომას ეწეოდა სხვადასხვა მასალების შეგროვების დროს. ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ მასალას წამძღვარებული აქვს მოკლე წინასიტყვაობა, სადაც ის ამბობს: დაღესტანში ჩემი მოგზაურობის მიზანი იყო ადგილობრივი ხედების, ტიპებისა და სოფლების გადაღება. მაგრამ იმდენად დამაინტერესა ადგილობრივმა სახალხო ზნე-ჩვეულებებმა და ადათებმა, რომ ამით არ დავკმაყოფილდი, შევუდექი ადგილობრივი ჩვეულებებისა და ყოფის შესწავლასა და დღიურების ჩაწერას. ამ კვლევის დროს როინაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ: ,,ლეკები სრულიადაც არ არიან ისეთნი, როგორათაც მათ ბევრი თვლის. ისინი დაჯილდოებული არიან ბუნებრივი ნიჭით, და ისეთი სანაქებო ზნეობითა და ჩვევებით, რომელიც ბევრ ევროპიელსაც კი შეშურდებაო''.

მის დღიურებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფ. სოგრატლში, კაზიკუმუხის სანაიბოში და სოფ. ჩოხში შესრულებული ეთნოგრაფიული ჩანაწერები. ეს ჩანაწერები მდიდარ მასალას იძლევა ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვეულებების გასაცნობად, რომელთა უმრავლესობა ძალიან წააგავს ქართულ ზნე-ჩვეულებებს. ჩვენ აქ მოგვაქვს რამდენიმე ადგილი ამ ჩანაწერებიდან. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველებისათვის მათი

გაცნობა. ეს ჩანაწერები შესრულებულია რუსულად, ვინაიდან გამიზნული იყო რუსეთის სხვადასხვა საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებაში გასაგზავნად. ჩვენ ის ქართულად ვთარგმნეთ. ბევრი რამ ამ მასალებში უკვე მოძველებულია ბევრიც—მიუღებული. ჩვენ შევეცადეთ ამოგვერჩია ისეთი მასალები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მათ ვათავსებთ დამატებაძი შემცირებული და შესწორებული სახით.

მოგზაურობა რუსეთში „მოძრავი მუზეუმით“.

იმ დროს, როდესაც მეფის რუსეთის დიდ ქალაქებში მძვინვარებდა საშინელი სიძულვილი „ინოროდცებისადმი“ როინიშვილისათვის ძნელი იყო „საქართველოს ეროვნული მუზეუმით“ მოგზაურობა ამ ქალაქებში. ამ საქმეში მან გამოიჩინა დიდი ტაქტი და მოხერხება. თავის მუზეუმს უწოდა „კავკასიის სიძველეების გამოფენა“, რომელსაც რუსულმა პრესამ ,,კავკასიის მოძრავი მუზეუმი“ შეარქვა. ასეთი სახელწოდებით უფრო ადვილი იყო მოგზაურობა, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს; როინაშვილი უთავბოლოდ კი არ აგროვებდა სხვადასხვა ქვეყნის სამუზეუმო ექსპონატებს და ამით ქართულ ეროვნულ მუზეუმს სახეს კი არ უკარგავდა, არამედ ის ცდილობდა რუსეთისათვის ეჩვენებინა როგორც საქართველოს ისტორიული ნაშთები და ხედები, ისე მისი მეზობელი ქვეყნებისა.

როინაშვილს კარგად ესმოდა, რომ ახლო მეზობელი ერების სამუზეუმო ექსპონატების შეკრება მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი, თუ საკუთარი ერის წარსულთან იქნებოდა შერწყმული, გეგმიანი თანამიმდევრობით შეკრებილი და გარკვეული მიზანდასახულობით წარმოდგენილი. ამ მიზნით აგროვებდა ის ყიზლარსა და თერგის მხარეში ქართულ ხელნაწერებს, ამ მიზნით მოჰქონდა მას ანისის ნანგრევებიდან ქვები ქართული წარწერებით, და სპარსულ-ებრაული უნიკალური ნივთები კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან. გაზ. ,,დროების'' ერთ-ერთი ცნობა კარგად ხსნის როინაშვილის მიზანს: ,,ჩვენს თანამემამულეს ბ-ნ როინაშვილს, რომელიც დიდი ხანია, რაც დაღესტანში იმყოფება და იქაურ ბუნების სურათებს ფოტოგრაფიით იღებს, მოუგროვებია საქართ-

ველოს მრავალი ძველი მონეტები და ნივთები, გაუხსნია პატარა მუზეუმი ქალაქ თემირხანშურაში. ამ დაუღალავ მშრომელს თავის საგნად ის გაუხდია, რომ ხსენებული მუზეუმი შეძლებისამებრ გაამდიდროს და მასუკან თავის სამშობლო ქვეყანაში გადმოიტანოს". (,,დროება" 1885 წ. № 54).

როინაშვილი, რუსეთის დიდ ქალაქებში გამგზავრებამდე, თვით თემირხანშურაში აწყობს გამოფენას, პეტერბურგიდან ჩამოაქვს სტერეოსკოპები და გრაფოსკოპები, ,,რომელთა საშუალებით მშვენივრად სჩანდა შესანიშნავი ხედები კავკასიისა, რაც ყველა ჯურის ხალხისათვის სასიამოვნო სანახავი იყო". აი, ამ სასიამოვნო სანახავი მუზეუმით ის 1887 წელს მივემგზავრება რუსეთში. პირველად გამოფენას აწყობს ქ. ასტრახანში. ჩვენ მხოლოდ გაზეთის ცნობები მოგვეპოვება მისი მოგზაურობის შესახებ, ამიტომ მხოლოდ ამ ცნობებს მოვიტანთ აქ, საიდანაც გავიგებთ, თუ რას წარმოადგენდა ეს მუზეუმი. უცნობი ასტრახანელი კორესპონდენტი ამ გამოფენის შესახებ წერს:

,,მკითხველს უნდა ახსოვდეს ბ-ნი ა. როინაშვილი, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინად ტფილისში ფოტოგრაფია ჰქონდა გამართული. ამ როინაშვილს მოუვლია კავკასია, თითქმის ოცი წლის განმავლობაში უმხნევია და დიდის მეცადინეობით შეუკრებია ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო კოლექცია უძველესის ხელოვნების ნივთებისა და პირველად ასტრახანში გაუმართავს საჯაროდ მოსახილველად კავკასიის მუზეუმი, ამ მუზეუმში რამდენიმე განყოფილებაა, სახელდობრ საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო და სანუმიზმატიკო.

მუზეუმში მოიპოვება მრავალნაირი ნივთი ასირიული, სპარსული, ბერძნული, ქართული, რომაული, სომხური და ებრაული. მოძეტებული ნაწილი ნივთებისა ქრისტეს დაბადების უწინარეს დროისაა, კერპთაყვანისმცემლობისა, და სხვა ისტორიულ საუკუნოებისა; ამას გარდა მუზეუმში 1.000-ზე მეტი სტერეოსკოპული სურათია კავკასიის ბუნების მხატვრობისა, ღირსშესანიშნავი ადგილები ევროპასა თუ აზიაში. საკვირველია, რომ ყველა განძი, ეს ძვირფასი კრებული ამდენის ნივთებისა შეუგროვებია ერთს კაცს თავის საკუთარის ხარჯით, თავის მხნეობითა და ჯაფითა".

ამის შემდეგ ასტრახანელი კორესპონდენტი ურჩევს ყველას ნახონ უძველესი ხელოვნების ნივთების მუზეუმი. გაზეთის ავტორი ამ მუზეუმს თვლის განსაკუთრებული ყურადღების ღირსად და

ამბობს: „აქ ნახავთ ასირიის ნივთებს, მაგალითად ყალიბში ჩასხმულ სპილენძის ქვაბებს, რომლებსაც გარედამ მშვენიერი ამობურცული ქანდაკებანი აქვთ, მარმარილოს ქვებს ასეთსავე ბარელიეფებით, ფილაქანს ლურსმულის ზედ-ნაწერით. ნახავთ აგრეთვე სპარსულ ჭურჭელს, მეტად ლამაზის ხელოვნებისას, სევადით მორთულს საომარ იარაღსა, საჭურველსა და ფულებს. ამას გარდა ბევრია მუზეუმში ნივთი სომხური, ქართული და სხვ. ბევრია ამ ნივთებში ისეთი, რომელიც აკვირვებს კაცს თავისი სიძველითა.

არ იქნებოდა ურიგოო,—დასძენს გაზეთი,—ბ-ნ როინაშვილის კოლექციები ეჩვენებინათ სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეებისათვის... უსარგებლოდ არ ჩაივლიდა, რომ თავის საკუთარის თვალით ენახათ დასამტკიცებელი საბუთები კაცობრიობის ძველთაძველი კულტურისა“.

ამის შემდეგ კორესპონდენტი აღწერს მუზეუმის გარეგნულ სახეს და ამბობს: „ნივთები მუზეუმისა აწყვია შუშებით მოწყობილს ყუთებში. კედლებზე ჰკიდია, რაც უფრო დიდრონი სანახავია—დიდი ტაშტები, სინები, თეფშები და სხვანი.

კედელზე... ჰკიდია ჩარჩოებში გაკეთებული, ტილოებზე კარგად დახატული კავკასიის ბუნების სურათები, როგორც მაგალითად, მცხეთისა, წმ. ნინოს მონასტრისა, ყაზბეგის მთისა, არარატის ბუნების, შამხალის სასახლისა და სხვანი. კედლებზედვეა ჩამოკიდებული საომარი საჭურველნი: ფარები, ჩაჩქნები შვილდისარნი. ასტრახანის საზოგადოება დიდის ცნობისმოყვარეობით სინჯავს ამ მუზეუმს, რომელიც ჯერ კიდევ სრული არ არის და რომლის შესასრულებლად ბ-ნი როინაშვილი დღე მუდამ შრომობს ხარჯის დაუზოგველად. როინაშვილს დაბარებული აქვს თბილისიდამ, მაგალითად, ყოველგვარი სამუსიკო იარაღი, ჩვენებური ხელოვნების ნივთები, დაღესტანისა და ჩერქეზეთის ნამოქმედარი“. კორესპონდენტი იმასაც კი იუწყება, რომ მუზეუმის გახსნის პირველ დღეს (ე. ი. 1887 წ. 8 სექტემბერს) „სალაროში შემოვიდა 80 მან., ხოლო მეორე დღეს—118 მანეთი“. როგორც ამავე კორესპონდენციიდან ჩანს, როინაშვილი თავისი მუზეუმით ასტრახანში დარჩენილა 25 სექტემბრამდე, შემდეგ კი—განზრახვა ჰქონია წასულიყო სხვა უფრო დიდ ქალაქებში: სარატოვს, სამარას, მოსკოვს, პეტერბურგს და სხვაგან.

„პეტერბურგში პატივცემულ როინაშვილს განზრახვა აქვს,

განაგრძობს კორესპონდენტი,—გააკეთებინოს თავის მუზეუმისათვის სანთლის სურათები თამარ მეფისა და სხვა ბრწყინვალე მოღვაწეთა... ერთ ასტრახანელ მდიდარ გერმანელს ურჩევია როინაშვილისათვის, რომ მან თავისი მუზეუმი დასავლეთ ევროპიელთაც გააცნოს. წინადადება მიუცია კიდეც, წაჰყვეს მას ბერლინში და ამისათვის უძლევია 6000 მან. მაგრამ ბ ნი როინაშვილი არ დათანხმებულა იმ იმედით, რომ თუ მუზეუმის საქმე კარგად წავიდა, მე თვითონ მივაღწევ ბერლინამდე სხვის დაუხმარებლადაო.

როგორც კერძოდ ყური მოგვიკრავს, ბ-ნს როინაშვილს ყველა ეს თავისი განძი უნდა ბოლოს ტფილისში ჩამოიტანოს და თავის სახელის გულისათვის თავის სამშობლო ქვეყანას მიუძღვნას საჩუქრად.*

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ ვსთქვათ, რომ დიდის ქებისა და პატივისცემის ღირსია ბ-ნი როინაშვილი ასეთის მხნეობისა და გარჯილობისათვის. კიდევ ვიტყვით, რომ სწორედ გასაკვირველია, როგორ შესძლო ეს ერთმა კაცმა, ერთის კაცის ღონემ, ერთის კაცის შრომისმოყვარეობამ". (გაზ. „ივერია" 1887 წ. № 198).

უცნობი კორესპონდენტის საპასუხოდ, იმავე გაზეთის მეთაურში, დიდმა ილიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ალ. როინაშვილის მოღვაწეობას და მთელი ერისთვის სამაგალითოდ დასახა მისი მუშაობა. ილია წერდა:

„ჩვენი მკითხველები დღევანდელს „ივერიაში" ყურადღებას მიაქცევენ ერთ წერილს, რომელსაც სათაურად აქვს: „კავკასიის არხეოლოგიური და ისტორიული მუზეი". ოცი წელიწადია, რაც ბ-ნი როინაშვილი, წინა-პირველად დუშეთში მცხოვრებელი, კაცი უფულო, უმწეო და ხელშეუწყობელი, მოეკიდა ამ მუზეისათვის კოლექციის შედგენას და შეაგროვა მრავალი და ძვირფასი ნივთები. ნივთები ძველისძველი ხელოვნებისა და ხელთსაქმისა. ამ მუზეუმში არის თურმე ნივთები ასურისა, სპარსეთისა, კუფინისა, საბერძნეთისა, საქართველოსი, რომისა, სომხეთისა და ევროპისა და ბევრი მათგანი ეკუთვნიან ქრისტიანობის წინა დროსა. მუზეი იმოდენა ვრცელია და მდიდარი, რომ განყოფილია ოთხ ნაწილად; იქ არის ნაწილი არხეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ნუმიზმატიკური და, რამდენადაც ჩვენ ვიცით, უნდა ღირ-

---

*. როგორც ჩანს, კორესპონდენტს არ სცოდნია, რომ, რასაც ის აღტაცებით აგვიწერს, უკვე ქართველ ხალხს ეკუთვნოდა 1886 წ. ანდერძით. (ბ. ტ.).

დეს რამდენიმე ათასი თუმანი. ჩვენ ამ ამბავს ვიხსენიებთ აქ იმისათვის კი არა, რომ კვალში ჩაუდგეთ ამ მუზეის და მისი მნიშვნელობა და ავკარგიანობა გამოვიძიოთ. ეს მუზეი, იმის გარეშე, რომ ძვირფასი განძია მეცნიერებისათვის, სხვა მხრივაც არის მეტისმეტად შესანიშნავი. აი სწორედ ამ მხრივ მიიქცია ამ მუზეუმის ამბავმა ჩვენი ყურადღებაცა. საქმე ის არის, რომ არაფრის მქონებელმა კაცმა ჩაიდო გულში ეგ საქმე, ოცი წელიწადი იბეჯითა, ილვაწა, იმეცადინა და დღეს ამისთანა ძვირფასის განძით დააგვირგვინა საქმე. აი რით არის შესანიშნავი ეს ნაღვაწი ბ-ნის როინაშვილისა.

ჩვენში ბევრნი დავდივართ უქმად, გულზედ ხელებდაკრებილნი და პირდაღებულები. როცა ვინმე გვისაყვედურებს ხოლმე, რატომ არას აკეთებთ, საქმეში რაშიმე არ ჩადგებით, ხელს არ სძრავთო, ჩვენ ხშირად ამ საყვედურს უძღვებით, რომ რა ვქნათ, შეძლება არა გვაქვს, თორემ ჩვენ ვიცით საქმის აჩენა და საქმის კეთებაო. ყველას უსაქმურად მოსიარულეს ჩვენში ეს აკერია ენაზედ და რაკი ამას იტყვის, ჰგონია საქმიანი სიტყვა ვსთქვიო. მემამულეს ეტყვი, უქმად რად ზიხარ, რად დაგიგდია ღვთის ანაბრობაზედ მამული, რატომ არ აკეთებ, არ უვლი რიგიანადაო,—ის მაშინვე ამას მოგახლის: ფული არა მაქვს, რით შევეჭიდო მამულსაო; ფული მომეცი და მაშინ ნახავ, ვერანა ადგილს როგორ გადავაქცევ მშვენიერ წალკოტადაო. რა მემამულე!... ყველა ესეა ჩვენში, ყველა უფულობას აბრალებს თავის უხეირობას, უვარგისობას, უფულოდ არ გაკეთდება რაო. ის კი არ აგონდებათ, რომ ყოველგვარ სიმდიდრეს, ქონებას, შეძლებას სათავედ ფული კი არა ჰქონია, არამედ გარჯა, ჯაფა, ბეჯითობა და მხნეობა. ამ გზით შექმნილა და მოგროვილა სიმდიდრე, ამ გზით მოსულა ყოველგვარი ქონება და სხვათა შორის ფულიცა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სამოქმედო თანხა და თავნი.

ამისი ცხადი მაგალითი, სხვათა შორის, ბ-ნი როინაშვილია. აკი ვსთქვით, რომ ბატონი როინაშვილი ყოველ მხრით ხელშეუწყობელი კაცი იყო, მაგრამ ამ უმწეო, უფულო კაცმა, ჩაიდო რა გულში საქმის კეთების სურვილი, ოცი წელიწადი იბეჯითა, ოცი წელიწადი იმხნევა, ოცი წელიწადი გულგაუტეხლად აჰყვა საქმესა და ბოლოს თავი და ბოლო ერთმანეთს გამოაბა, საქმე გამართა და დაადგინა. რითაო? იკითხავენ ბევრნი. ფული რომ ვსთქვათ, ფული იმას არ ჰქონია, სხვის შველა და შემწეობა ვიგულისხმოთ,

არც ამას შეუწყვია ხელი. მაშ რითაო? ამით, რითაც ყოველად შემძლებელს საქმის სიყვარულს ეძახიან. ვისაც გულში ეს სიყვარული საქმისა ჩაესახება, მას წინ არა დაუდგება-რა. იგია გამტანი სვეტბედის ბურთისა მოედნიდამ.

ტყუილი ნუგეშია, ვინც იმით მართლულობს თავს და ამბობს, —საქმეს იმიტომ ვერ ვკიდებ ხელსა, რომ ფული არა მაქვსო. საკვირველია, ფული არ აქვს, არას აკეთებს, ფული რომ ჰქონდეს, ხომ უფრო აღარას გააკეთებს.. ჩვენ ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ უფულობის, უსაქმურობის, უქმად ყოფნის გამართლება მცონარეობის, ზარმაცობის მომასწავებელია. როგორც წყალწაღებული ხავსს ეკიდება, ისეც ზარმაცი, უნდილი, უხეირო კაცი ამ უფულობას იხვევს ხელზე და თავის უვარგისობას, დოყლაპიობას ამითი ჰფხანს გულსა. მხნე და გამრჯელი კაცი ამით არ მოსტყუვდება. იმან კარგად იცის, რომ არა დაუდგება-რა წინ იმ კაცს, რომელსაც სიყვარული აქვს საქმისა, ბეჯითობა და მხნეობა. ყველაფერი ამაზედ არის დამოკიდებული და ამისი თვალად დასანახავი მაგალითი ბ-ნი როინაშვილია და მისი ნამოქმედარი მუზეი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

,,მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია''.

ერთი სიტყვით,—დაასკვნის დიდი ილია: ,,როინაშვილს გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მხნეობისა და, რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრალო, უანგარო და პატიოსანი გულია. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი და გაძლიერებული, იგი იღწვოდა, ირჯებოდა, შველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს, თითონ იკლებდა, ზოგს სხვას ჰმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწებებდა და ბოლოს თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი პატიოსანის შრომით მოგებული, თავის ქვეყანას მიართვა; აჰა, შენთვის ვიღვაწე, ვიამაგე ჩემის შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვაწ-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო''.

როგორც ზევითაც ვსთქვით, ა. როინაშვილს განზრახვა ჰქონია თავისი მუზეუმისათვის გაეკეთებინა სანთლის სურათები თამარ მეფისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეებისა. ამჟამად ჩვენ არ ვიცით, შესძლო თუ არა მან ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ის გროშს გროშზე აწებებდა, თვითონ იკლებდა და სხვას შველოდა. ამიტომ შესაძლებელია ეს ვერ მოა-

ხერხა შან, ერთ ადგილას თვითონაც ამბობს: „ რა უყო, რომ ეს ჩემი ფოტოგრაფიის შემოსავალი საცხოვრებლად და ძველი ნივთების შესაძენადაც არ მყოფნისო“.

როინაშვილი თავისი მუზეუმით ასტრახანიდან გადადის მოსკოვში. „ივერიის“ ერთ-ერთ ქრონიკაში ვკითხულობთ: „ბატონი როინაშვილი თავისი გამოჩენილი მუზეუმით ეხლა იმყოფება მოსკოვში. უნდოდა თურმე მისვლისთანავე გაეხსნა თავისი მუზეუმი ხალხისათვის საჩვენებლად, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ საჭიროდ დაინახა გაესინჯინებინა კერძო კომისიისათვის, ღირს თუ არა ნებართვის მიცემა მუზეუმის გახსნაზეო. იმედი აქვთ, რომ კომისია დამაბრკოლებელს არასა ჰნახავს და მალე გაიხსნება მუზეუმი. ბატონს როინაშვილს სწადიან სამოიდე თვე დაჰყოს მოსკოვში თავის მუზეუმით. („ივერია“ 1887 წ. № 246).

ა. როინაშვილს, როგორც მისი მოწაფეების მოგონებიდან ჩანს, რუსეთიდან ჩამოტანილი ჰქონია მრავალი ჟურნალ-გაზეთი, სადაც მოთავსებული ყოფილა „კავკასიის მოძრავი მუზეუმის“ შესახებ რეცენზიები. საუბედუროდ, მთელი შეკვრა ჟურნალ-გაზეთებისა ნათესავებს დაუკარგავთ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ. ამჟამად აღმოჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი იმ რეცენზიებისა და ცნობებისა, რომლებიც მაშინდელ მოსკოვისა და პეტერბურგის პრესაში ყოფილა გამოქვეყნებული.

თვით როინაშვილი „ივერიის“ რედაქციას სწერდა: „მოსკოვში საუკეთესო ალაგას დავიქირავე ბინა მუზეუმისათვის და 23 ნოემბრიდან გამართულია ჩემი მუზეუმი მოსკოვში... დიდი თოვლისა და ქარიშხლის გამო ხალხი ცოტა დაიარება. უფრო მოდიან ნასწავლნი, პროფესორები, სტუდენტები და სხვები, რომელთაც იცნეს ჩემი კოლექცია ღირსშესანიშნავად. გუშინ გრაფის უვაროვის მეუღლე მობრძანდა ჩემს მუზეუმში და დიდად მოიწონა ზოგიერთი ნივთი. არც აქაურმა გაზეთებმა დასტოვეს უყურადღებოდ ჩემი კოლექცია და დიდის ქებით მოიხსენიეს თავიანთ გაზეთებში.

მომავალი წლის თხუთმეტ იანვარს გადავიტან მუზეუმს პეტერბურგში და იქაც ვეცდები გამოვფინო. დიდად ვმადლობ „ივერიის“ რედაქციას, რომ ჩემი მოგზაურობა დაუნახავს საყურადღებოდ. შემდეგ ვეცდები უფრო დაწვრილებით გადმოქცეთ ხოლმე მიმდინარეობა და საყურადღებო შემთხვევები ჩემის მოგზაურობისა“. („ივერია“ 1887; № 271, გვ, 3).

მუზეუმის ექსპონატების ჩვენება, დროის შესაფერისად, კარგად იყო გადაწყვეტილი. ფოტოალბომებსა და მხატვრულ სურათებთან ერთად ა. როინაშვილს შეეძლო ერთდროულად ოცდათორმეტი მნახველისათვის ეჩვენებინა ხედების სურათები. ამ მიზნით შეიძინა მან სტერეოსკოპები და გრაფოსკოპები.

მოძრავი მუზეუმის პეტერბურგში გადატანისა და გახსნის შესახებ ჩვენ აქ მოვიტანთ ორ ცნობას, რომელთაგან ერთი ქრონიკის სახით იყო გამოქვეყნებული და მეორე ვრცელი ინფორმაციის სახით.

„ახლა სასტუმრო ბელ-ვიუში ბ-ნი როინოვი მსურველებს უჩვენებს მის მიერ კავკასიაში ოცი წლის განმავლობაში შეგროვილ სიძველეებსა და იშვიათობებს. კოლექცია ბრინჯაოს ხანის ნივთებით იწყება. ექვეა ორი საინტერესო ჯამი: ერთი ადამისა და ევას გამოსახულებით, 1426 წ. რომიდან საქართველოში ჩამოტანილი კათოლიკე მისიონერის მიერ ქართველი მეფისწულისათვის; მეორე —ებრაული ნამუშევარი წვრილი ნატიფი ამონაჭერით მოჭედილი. სპილენძის ცილინდრისმაგვარი მაღალი სასაკმევლები, 400-ზე მეტი ძველი მონეტა, ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, ბერძნული, სპარსული, ქართული და სხვ. ბ-ნი როინოვი პირველი შემგროვებელია კავკასიის ყელის სიძველეებისა, რომელიც მოიცავს მრავალ საინტერესოს არქეოლოგიის ყველა დარგისათვის, მომავალი მეცნიერებისა და სპეციალისტ-მკვლევარებისათვის“*.

კავკასიური მუზეუმი**

გუშინ, 19 იანვარს, სასტუმრო ბელ-ვიუში გაიხსნა „კავკასიური მუზეუმი“. ამ მუზეუმის მფლობელმა ა. ს. როინოვმა, წარმოშობით ქართველმა, პროფესიით ფოტოგრაფმა, მთელი ამიერკავკასია და მთელი დაღესტანი შემოიარა, რომ გადაეღო ხედები სხვადასხვა ადგილებისა, ტიპებისა და ა. შ. ძველი ეკლესიების რამდენიმე ნანგრევის დათვალიერებისა და მთიელების სოფლებში ძველი ნივთების ნახვის შემდეგ, ბ-ნმა როინოვმა თანდათან შეიყვარა არქეოლოგია და დაიწყო სხვადასხვა იშვიათი ნივთებისა და ნაკეთობების შეძენა. ამ გზით მან შეაგროვა კავკასიის სიძველეთა

---

*. ჟურნ. „Новое время“, 1888 წ. № 427.

**. იხ. Петербургский листок“ 1888 წ. № 19.

მთელი კოლექცია. ნაწილი ამ კოლექციისა შარშან მან დაუთმო გრაფ ბ-ს იმ ანგარიშით, რომ მიღებული ფულით უფრო გაემდიდრებინა თავისი კოლექცია. იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ მაინც დაეფარა თავისი ხარჯები და სიძველეთა მოყვარულთათვის გაეცნო მისი მშობლიური ქვეყნის სიძველეები, ბ-ნმა როინოვმა დაიწყო მოგზაურობა რუსეთში, უჩვენა თავისი მუზეუმი ასტრახანში, სარატოვში, მოსკოვში, ახლა კი ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში.

მუზეუმის ნივთებს შორის ყურადღებას იმსახურებს:

1. ბრინჯაოს ძველებური ხმლები, ხანჯლები, ცულები, ბალთები, საკიდები, სამაჯურები.

2. მარმარილოს ფილების ნაწილები და აგურები ლურსმულის მაგვარი წარწერებით და რელიეფური გამოსახულებებით, რომლებიც მონახულია მეჩეთის საფუძვლის ჩაყრისას ქერბალაში —შიითების წმინდა ადგილში, ბაღდადის ვილაიეტში, აზიის თურქეთში.

3. მრგვალი, მუქი ბრინჯაოს ფარი, სხვადასხვა ფორმის ქვაბები მხედრების რელიეფური გამოსახულებებით და სპარსული წარწერებით.

4. სპილენძისგან ჩამოსხმული დოქები, თასები, კასრები, ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი, ცხოველებისა და ადამიანების რელიეფური გამოსახულებებით, არაბული და კუფური წარწერებით.

5. დიდი, მრგვალი და რვაკუთხოვანი ლანგრები ფსკერსა და გვერდებზე ისეთი ქრისტიანული სიუჟეტების რელიეფური გამოსახულებებით, როგორიცაა ადამ და ევა, ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა, ხარებობა და ძლევამოსილი წმ. გიორგი, როგორც გველეშაპის განმგმირი.

6. სპილენძის მაღალი ცილინდრული სასაკმეველები, შანდლები აღმოსავლური წარწერებით.

7. 400-მდე ძველი მონეტის ნიმუში, ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის, ქართული, ბერძნული, სპარსული და სხვ.

8. აბჯრები, მუზარადები, სამკლავეები, ისრები, შვილდისრები ყურანიდან ამოღებული არაბული წარწერებით.

9. ფაიფურის, ქაშანური და თიხის ლანგარები, თეფშები, დოქები, სპარსული, იაპონური და ჩინური, ჩრდ. დაღესტნის ყოფილი მბრძანებლის შამხალი ტარკოვსკის კოლექციიდან.

კოლექციაში არის აგრეთვე აბრეშუმის ნაჭრები, მრავალი ფოტოგრაფიული და სტერეოსკოპული სურათები.

ბ-ნი როინოვი თავის კოლექციას რამდენიმე ათასად აფასებს".

ეს ორი ცნობა გვიჩვენებს, თუ როგორ შეხვდა როინაშვილის მუზეუმს რუსეთის მოწინავე საზოგადოება და როგორი შეფასება მისცეს მის დაწყებულ საქმეს.

როინაშვილმა მოათავა რუსეთში მოგზაურობა თავის მოძრავი მუზეუმით, დაბრუნდა თემირხანშურაში და შეუდგა მზადებას სამშობლოში წამოსასვლელად. ის ოცნებობდა იმ დროზე, თუ როდის დაბრუნდებოდა თბილისში და კიდევ უფრო მყარ ნიადაგზე დააყენებდა მუზეუმის საქმეს. ეს საოცნებო დროც მალე დადგა.

ა. როინაშვილის დაბრუნება სამშობლოში

1889 წლის პირველ სექტემბერს როინაშვილი განცხადებას უგზავნის თბილისის გუბერნატორს და სთხოვს ნება დართოს მას თემირხანშურიდან თბილისში გადმოსვლაზე. როინაშვილი ნებართვას იღებს და მთელი თავისი სამუზეუმო ქონებით მოდის თბილისში, ბინავდება მაშინდელ ერევნის მოედანზე (ახლა ლენინის). ამ დროიდან იწყებს კიდევ უფრო ფართო ხასიათის მოღვაწეობას. არც ერთი საზოგადო საქმე არ კეთდება მისი მონაწილეობის გარეშე. ყველგან შეაქვს თავისი წვლილი როგორც სიტყვით, ისე საქმით, ხელს უწყობს ქართული კულტურის საერთო განვითარებას. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიმართ.

რუსულ გაზეთ „კავკაზში“ ნათქვამია, რომ „ა. როინაშვილის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნას ყურადღება მიაქციეს სათანადო ორგანიზაციებმა, რომლებმაც შესაფერი ანგარიში გაუწიეს მის დიდ დამსახურებას მეცნიერების წინაშე და აირჩიეს თავის წევრად“*.

ალ. როინაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სახალხო განათლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის საქმეს. ამავე დროს საგრძნობ თანხებს იღებდა რუსეთის შიდა გუბერნიების დამშეულთა დასახმარებლად.

დაბრუნების შემდეგ ის ხდება მრავალი კულტურული და საზოგადო ორგანიზაციის წევრი. ღრმად ეცნობა ადგილობრივ პი-

---

*. იხ. დამატება № 1 გაზ. „კავკაზის“ ნეკროლოგი როინაშვილის შესახებ, 1898 წ. № 125.

რობებსა და მოთხოვნილებებს. თავის მრავალ წერილებსა და დღიურებში მოუწოდებს ყველას პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც რაიმე ხელობის შესწავლა უნდათ და ამას ვერ ახერხებენ. თავის მხრივ, ის თავის სახელოსნოსთან ხსნის საერთო საცხოვრებელ სკოლას, იყვანს 17 მოწაფეს, მუქთად აცხოვრებს და ასევე მუქთად ასწავლის ფოტოხელოვნების საქმეს. მათ ისე უვლის, როგორც საკუთარ შვილებს, ზრდის და წვრთნის ზნეობრივად, გულში უნერგავს ახალ საკაცობრიო იდეალებს: შრომის სიყვარულს, ძმობასა და ერთობას.

ორ უფროს მოწაფეს, თავის ძმისწულს ვასილ როინაშვილსა და ტრიფონ მომცელიძეს (შემდეგში ფოტოგრაფ-მხატვარს) სპეციალურ განათლებისათვის ამზადებს, უპირებს მათ რუსეთის სამხატვრო აკადემიაში გაგზავნას, რადგან ამჩნევს მათ მხატვრობისადმი მიდრეკილებას.

უმცროს მოწაფეებს საშუალებას აძლევს ხელოვნების შესწავლასთან ერთად, იარონ სკოლაში და მიიღონ საერთო განათლება. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მისი ქვეყნის შვილები ეკონომიურად ფეხზე დადგნენ და სულიერად ამაღლდნენ.

იმ დროს, როდესაც ქ. შ. წკ. გ. საზ-ება და დ. ბაქრაძისაგან ახლად დაარსებული საეკლესიო მუზეუმი, უსახსრობის გამო დიდი გაჭირვებით აგროვებენ ქართულ ხელნაწერებსა და თითოოროლა ისტორიული მნიშვნელობის ნივთებს,—როინაშვილი არამც თუ იძენს ასეთ ნივთებს, არამედ თვით აძლევს დაკვეთებს ხალხური ხელოვნების ოსტატებს მხატვრული ნივთების შესაქმნელად.

აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ გაზ. „ივერიაში“:

„ა. როინაშვილი ყიდულობს ყოველნაირ ძველებურს ნივთებს. აგრეთვე მოიწვევს ხელოსან ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ ძველებურ ხელოვნებით ოქრომკედის და აბრეშუმის ძაფეულით კერვა ფარჩებზედ: ბაფთებისა, სუზანებისა, თახჩის ფარდებისა და სხვ. უმორჩილესად ვთხოვთ, მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში“*.

მთელი ოთხი თვის განმავლობაში ზედიზედ ქვეყნდებოდა ეს განცხადება, რომელსაც ჩვენი მუზეუმის ისტორიკოსებმა გვერდი არ უნდა აუარონ და ღირსეულად შეაფასონ როინაშვილის ამაგი.

---

*. გაზ. “ივერია“—1891 წ., № 33—35.

საინტერესოა აგრეთვე როინაშვილის მეორე განცხადება იმავე გაზ. „ივერიაში“: „ვყიდულობ ძველებურს ნივთებსა - სპილენძისას, თითბრისას, ვერცხლისას, ოქროსას, ძველთა დროის ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარსა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა“.

ის მუდამ იმის ცდაში იყო, მოეხდინა პოპულარიზაცია ჩვენი დიდი მოღვაწეებისა, გაეცნო ისინი ხალხისათვის. ამ მიზნით ის მრავალ ღონისძიებებს მიმართავდა. ერთ-ერთ ასეთი ღონისძიების ნიმუშს წარმოადგენს ვ. როინაშვილის ოჯახში ამჟამად დაცული ვერცხლის სურა, რომელიც დაუკვეთა ოქრომჭედელ მამულაშვილს, იმ პირობით, რომ სურის გვერდებზე გამოესახა რუსთაველის, თამარის და დავით აღმაშენებლის სახეები. დამკვეთელის უდროოდ გარდაცვალებამ ხელი შეუშალა ოქრომჭედელს სისრულეში მოეყვანა როინიშვილის განზრახვა.

რასაკვირველია, ასეთ განცხადებებს და დაკვეთებს თავისთავად არ ჰქონდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მაგრამ როდესაც ეს კეთდებოდა გარკვეული საზოგადოებრივი მიზანდასახულობით, მაშინ ასეთი განცხადებები და დაკვეთები სულ სხვა ელფერს ღებულობდნენ. როინაშვილს ამით უნდოდა, ერთი მხრივ, დაეინტერესებინა ხელსაქმეს მოწყურებული კარგი ოსტატები, მათი საშუალებით აღედგინა ტრადიციული ხელსაქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ, მოემზადებია ექსპონატები მისი საოცნებო ეროვნული მუზეუმისათვის.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული როინაშვილი კარგად ხედავდა, თუ როგორი სისწრაფით ისპობოდა მოსახლეობაში ქართული ხალხური ხელოვნების ნაწარმი, უცხოეთიდან შემოსული ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული ტანისამოსით და ნივთებით, როგორ აცლიდა ნიადაგს ასეთი ნაწარმი ქალთა შრომასა და ხალხურ შემოქმედებას.

მისი საზრუნავი ის კი არ იყო, რომ აღედგინა ძველებური ხალხური ხელოვნება, შეეძინა ნიმუშები და დაეცვა მუზეუმში,— ის ფიქრობდა გამოეყენებინა ხელოვნება უსაქმოდ დარჩენილი მაღალი წოდების ქალთა ასამოქმედებლად და ნაყოფიერ შრომაში ჩასაბმელად.

უადგილო არ იქნება მოვიტანოთ აქ იაკობ გოგებაშვილის აზრი ამ საკითხზე:

„არც ერთი სხვა ერის ქალების აღზრდაში არ არის ისე

უდიერად და უგნურად უარყოფილი დედაენა და ყველაფერი მშობლიური, როგორც ქართველი ქალების აღზრდაში.

მეორე მხრით ნასწავლი ქალები არსად ისე დაქვეითებული არ არიან, როგორც ჩვენში. გულწრფელად რომ გამოვტყდეთ, ათიოდე მანდილოსანის გარდა, მთელი ჩვენი ნასწავლი ქალობა წარმოადგენს თავსუბუქა არსებათა გროვას, რომლებიც მოკლებულნი არიან საღს ადამიანურს აზროვნებასა, მაღალ მისწრაფებასა, დამჯდარ ხასიათსა, წამის შთაბეჭდილებანი მათ ათამაშებენ, როგორც ქარი ბურბუშელას. ქართველმა ქალმა (იგულისხმება მაღალი წოდების ქალი. ბ. ტ.) ვერ იჩინა თავი ვერც ერთს მეცნიერებაში, ვერც საზოგადო საქმეში... იგი აგრეთვე ბევრად ჩამორჩება ახლანდელს უბრალო წოდების ქართველ ქალსაც, რომელიც თავის სფეროში ძალაა და არა უძლურება როგორც პირველი".

დრო გადიოდა. ქართველ ქალებს დაეტყოთ გამოფხიზლება. მათ მოინდომეს საქვეყნო საქმეში თავისი წვლილის შეტანა. რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია როინაშვილს. მის დღიურებში შემორჩენილია ერთი წერილი, სადაც ვრცლად ეხება ქართველ ქალთა საკითხს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მოგვაქვს აქ ამონაწერი იმ წერილიდან: „დედაკაცებს და კაცებს წარსულში ორივეს ერთად უწევიათ ჭაპანი სამშობლო ქვეყნის დასაცავად და ასაყვავებლად, რის გამოც ცოლსა და ქმარს ქართულ ენაზე დარქმევიათ მეუღლე. ჩვენ მამაკაცებს სასახელოდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ისევ ძველსავე დროს მიგვინიჭებია ჩვენი დედებისათვის თანასწორობა, თავისუფლება, რომლებმაც დაბადა ჩვენში არაერთი ნიჭიერი და საერო მოღვაწე დედაკაცი; ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხებს იმასა, რომ... იმ დროს ესრე ამაღლებული ყოლოდათ დედაკაცის უფლება და პატივისცემა ქონოდათ მისი როგორც ჩვენ. თუმცა არც დღეს ვინახამთ დახურულში სხვა აზიურ ერსავით ჩვენს ცოლებსა, დედებსა და დებსა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ეხლანდელი ჩვენი დედაკაცები წარმოადგენენ სულ სხვა ტიპსა. ეხლა მარტო კაცია მოვალე ოჯახისათვის ზრუნვისა და თუ კაცმა არა შემოიტანა-რა ოჯახში, ოჯახი განიავდება, ნატისუსალი აედინება.

ვის არ გვინახავს, ქალს რომ ქმარი უკვდება, სრულებით უბედურებაში ვარდება და ვერ მოუხერხებია რაიმე შრომით და ხელობით იცხოვროს.

...ჩვენი დედაკაცების მომეტებულმა ნაწილმა არ იცის ცხოვ-

რება და ვარდება აუტანელ სიღარიბეში. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეხლა იშვიათია მეუღლეთა შორის შრომაში ერთობა, მეგობრობა და თანასწორობა. ეხლანდელი დედაკაცები სულ სხვა რიგი თავმოყვარეობით არიან გატაცებულნი: ჩაცმა, დახურვა, სიარული და ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვა... ვინ არ იცის ჩვენი მხარე როგორი განათქმული იყო ქალების ხელოვნებით, მათი ნახელოვნარი ქსოვილები და ნაკერი ოქრომკედის ძაფებით დღეს მუზეუმების უძვირფასეს ნივთებად არიან ცნობილნი... ჩვენმა დედაკაცებმა კარგად იცოდნენ შალეულობის, ტილოსი და ბამბეულობის კეთებაც და იშვიათად იქნებოდა იმისთანა ოჯახი, რომ ორი და სამი საფეიქრო არ ქონოდა. ქარგაზე ოქრომკედითა და აბრეშუმის სხვადასხვა ფერის ძაფებით კერვაში ხომ არც ერთი ქვეყნის ქალები არა სჯობდნენ ჩვენს ქალებსა, ეს ნამდვილად სჩანს დღესაც ჩვენს მონასტრებში და ტაძრებში შემონახულ ხელსაქმიდან".

ხოლო როდესაც როინაშვილი აწმყოს ადარებს წარსულ დროს, გულისტკივილით აღნიშნავს: „ეხლა მრავალნი ჩამოდიან ჩვენში ევროპიელნი და სურთ თუნდ დიდის ფასით შეიძინონ ჩვენებური რამ ნახელოვნარი, ვერას შოულობენ და გულნაკლულად მიდიან და ვარდებიან ეჭვში, რომ ის ნივთები ჩვენი იყოს, რომლებიც მუზეუმში აწყვია".

ამის შემდეგ როინაშვილი ეხება სპარსელი და იაპონელი ქალების ხელსაქმიანობას და აღბობს: ,,სპარსეთის უმთავრესი სახელმწიფო შემოსავალი ქალების საქმიდან არის შემდგარი... იაპონიის ქალების ყოველწლიური შემოსავალი 30 მილიონს შეადგენსო".

როინაშვილი ოცნების თვალით შეჰყურებს მომავალს და ამბობს: „ღმერთო ჩემო, რამდენი ფაბრიკა და ქარხანა გაიმართებოდა ჩვენში და რამდენს უსაქმო ადამიანს საქმე გამოუჩნდებოდა. ჩვენგან მიაქვთ ბატყლი, აბრეშუმი, ბამბა, კანაფი და ისევ ჩვენზე ყიდიან ერთი ათად და იძენენ მილიონებს. ჩვენ კი გულხელდაკრეფილები შევცქერით, გვიკვირს და ვიშით გავიძახით საიდგან შეიძინეს ეს აუარებელი სარჩოვ".

მეორე წერილში, რომელიც დაწერილია ქალთა საერთო კრებაზე დასწრების შემდეგ, იგი ამბობს: ,,ამ რამდენიმე დღის წინათ დავესწარ ქართველ ქალთა კრებაზე, რომელთაც განუზრახავთ შეადგინონ საზოგადოება ჩვენ დედაქალაქში და დააარსონ სახელოსნო საეაჭრო სახლი, რომ როგორმე გაავრცელონ ჩვენ ქვეყანაში

ქალთა შრომა და ხელოვნური (ხელსაქმე—ბ. ტ.) მოღვაწეობა. სასიამოვნოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ესეთი პატიოსანი შრომის მოყვარული საქმე მოგონებიათ ჩვენს ქალებსო''. ამ კრებაზე წაუკითხავთ საზოგადოების წესდება, რომელსაც დიდად დაუფიქრებია იგი. ბევრი აზრიც. დაბადებია, მაგრამ ,,რადგან ხმა არ მქონდა, სრულებით არა ვთქვირაო''. იმისათვის, რომ ხმა ჰქონოდა და თავისი აზრი გამოეთქვა, საზოგადოების ნამდვილი წევრი უნდა ყოფილიყო.

როგორც დღიურებიდან ჩანს, ეს გულში ჩარჩენია როინაშვილს. ნაწყენი ყოფილა, რომ იმ წესდების დაზუსტებას, რომელსაც ,,ეჭირვებოდა შემუშავება და შემოწმება'', მაშინ ვერ დაეხმარა თავისი აზრითა და წინადადებებით, ამიტომ, როდესაც მეორედ მოუწვევიათ კრება, მას მყისვე შეუტანია საწევრო გადასახადი და მოუპოვებია ხმის უფლება.

,,25 იანვარს 1896 წელს მეორეთ დავესწარ გამგეობის კრებაზედ და წაიკითხეს მეორეთ იგივე წესდება... ამ დროს შევიტანე მეც საწევრო ფული და მივიღე ჯეროვანი კვიტანცია ქალთა ამხანაგობისა. მესამე საზოგადო კრება იყო რვა თებერვალსა, რადგან ეხლა კი წევრად ვითვლებოდი... მეც უფლება მქონდა ჩემი აზრი გამომეთქვა და წინადადება მიმეცა. კიდეც მოვახსენე ჩემი აზრი საზოგადოებასა. მე ვთქვი: შემოვიტან ას თუმანსა მეთქი, თუ თქვენ საზოგადოებას, საერთო საყურადღებო თანასაგრძნობი მიმართულება ექნება-მეთქი, ვურჩიე, რომ ქართველი ქალები უნდა ეცადნონ აღადგინონ ჩვენში ის ძველი დედათა ხელოვნება, რომელიც დღეს დავიწყებულია.

ჩვენ კაცები კარგათა ვგრძნობთ-მეთქი და ვხედავთ, რომ ქალთა მოღვაწეობა, შრომა დაცემულია და მარტო ჩვენ კაცები ვეწევით იმ უღელსა, რომელსაც ჩვენი წინაპარნი ქალნი და კაცნი ერთად სწევდნენ მეთქი. მივუთითე ჩვენს მეზობელ სპარსეთზე, რომელსაც ქალების შრომითა და ხელოვნურად საქმის გამოყვანით უდგას სული და ქალთა ნახელოვნარი შეადგენს უმთავრეს სახელმწიფო შემოსავალს-მეთქი. იაპონიიდგან წელიწადში ოცდაათი მილიონის ნაქსოვი და ნაკერი გააქვთ ევროპაში-მეთქი და, რასაკვირველია, სადაც ასეთი მშრომელი და მოღვაწე ქალები არიან, იქ კაცებიც მამაცნი, გმირნი და გალალებულნი იქნებიან-მეთქი. შემდეგ დავძინე: იმ ას თუმანს, რომელსაც მე შემოვიტან, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, მე ვიყო პაის პატრონი მეთქი, და როდესაც მე

ალარ ვიქნები, წერა-კითხვის საზოგადოებას ეკუთვნოდეს-მეთქი.

მე დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენი ქალები უფრო შესაფერს და პატივსაცემს და ერში გასავრცელებელს ხელსაქმეს დაიწყობენ, მით დიდ სიკეთეს მოუტანენ ჩვენ დაცემულ ოჯახებსა და ერსა. არა მარტო მე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რო მრავალნი გამოჩნდებიან ასი პაის ამღებნი, თანამგრძნობნი და დამხმარებელნიც"*.

თუ ერთი მხრივ ასეთ პროგრესულ აზრებს ავრცელებდა ქალთა შრომის შესახებ და გამუდმებით ზრუნავდა დავიწყებული ხალხური ხელოვნების აღსადგენად, მეორეს მხრივ, სასტიკად ამათრახებდა ქართველი თავადაზნაურობის ერთ ნაწილს, რომელიც ბოროტად იყენებდა თავის წოდებრივ მდგომარეობას და მამაპაპეულ ქონებას ჩალის ფასად ანიავებდა. ის კარგად იცნობდა ერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძის მსგავს ტიპებს, რომლებიც სოფლად და ქალაქად ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ მშიერნი მგლებივით და თავზარს სცემდნენ მშრომელ მოსახლეობას.

როინაშვილი თავის დღიურებში აღშფოთებით ლაპარაკობს ამ უსაქმურთა ხროვაზე, მათ მოქმედებაზე, რომელიც „შავპირად გადაიქცა ქვეყანას".

„ნუთუ არ გებრალებათ უსაქმურთა ეს უზარმაზარი რაზმი, რომელსაც ჩამოუკონწიალებია ხმალ-ხანჯალი და სტკეპნის ჩვენს ბაღებსა, რომელიც ტუტას ადენს მამა-პაპათა სისხლით შეძენილს მამულებსა და სასამართლოებში დაიმკვიდრეს სამარცხვინო სახელი. ათასობით ადამიანი მოაშორეს თავის ქვეყანას და გადაკარგეს... მათ ხელობათ გადაიქცა კაცის კვლა, ავაზაკობა, თულობა, ქურდობა, ქალების გატაცება, გარყვნილება და რამდენი კიდევ სხვა. ამ რაზმს რომ კითხო, რისთვის გაჩენილხარ დედამიწის ზურგზე და ვინ მოგცა შენ ეგ უმაღლესი ხარისხი კეთილშობილებისა, დამერწმუნეთ, რომ ვერას გეტყვიან—და თუ მათში ვინმე პასუხს გაბედავს, ასე გიპასუხებს: ჩვენ კეთილშობილნი ვართ, უნდა ვსოთ, ვჭამოთ, დრო გავატაროთ, ვიქეიფოთ, და თუ ვინმე გაგვაჯავრებს, თავი კისრიდან გავაგდებინოთო. აი ეს არის მათი მცნება და ასეც ასრულებენ. ერთი შეხედვით ამ უბედურების სახის გამომეტყველებას და მიმზიდველ თვალებს, მათ ახოვან ტანოვნებას თითქოს რაღაც ბურუსი აქვს მოდებული და ვერას ხედავენ.

---

*. იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის საქმე № 3862; გვ. 1-7, 13-15.

ისინი იჭრიან თავსა და ხელებსა იმ სამართებლით, რომელიც ბედს მათთვის მიუნიჭებია. ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია დედმამანი და პატრონები, რომლებმაც აღზარდეს დიდის სიყვარულითა და ალერსით და არ იფიქრეს მათ მომავალ ბედზე და უბედურებაზე. მოიქცნენ ისე, როგორც მაიმუნი მოიქცევა ხოლმე და მეტისმეტი სიყვარულით გულზე მიიჭყლეტს ხოლმე თავის ძუძუმწოვართა''.

მათ ფუქსავატ და უსაქმურ ცხოვრებას როინაშვილი ადარებს რა იმ უცხო ტომის ხალხის შრომას, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს საქართველოს მიწა-წყალი და ბაღნარად აქციეს, იგი ამბობს: ,,აბა თვალი გადაავლეთ ჩვენი ქვეყნის ფართო მინდვრებს, სადაც კი ერთგულად და ცოდნით შესდგომიან მამულის შემუშავებასა. რა მშვენიერ სანახავს წარმოგიდგენენ. ნუთუ ვერა ხედავთ მოსულთა კოლონიებსა, თუ რა მშვენიერად არიან მოწყობილნი და როგორ მდიდრად ცხოვრობენ. ჩვენს ქვეყანაში ნახევარზე მეტი მამული და მიწა-წყალი თავადაზნაურების ხელშია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი მოიპოვება მათში იმისთანა ოჯახი, რომ საფაფე ფქვილი ენატრებათ. ბევრი მათგანი იმიტომ ჩაცვივდა ამ დღეში, რომ არ უყვარს და არ მისდევს ნამდვილს ცოდნასა და შეგნებასა. არ კითხულობს, თუ რა არის მამული და რისთვის გაუჩენია ღმერთსა ესრეთ გამომცემელი''. შემდეგ მიმართავს ამ მცონარეთა რაზმს და ეუბნება: ,,აბა მიიხედ-მოიხედე შენს ოჯახში, დახედე შენს სასმელს, საკვებს, შენს ტანისამოსს, შენს მოწყობილობას, შენს ჭერსა და დაფიქრდი, თუ საიდან გაჩნდა ყველა ეს და ვინ შეგამკო და შეგმოსა ეგრე მშვენიერად თუ არ მამულმა, ყველა ეს მამულმა მოგცა''.

გლეხობის წრიდან გამოსულ როინაშვილს, თავისებურად ესმოდა ფეოდალური კლასის გადაგვარება და ბურჟუაზიის წარმოშობა. ის ისევ ძველს მისტიროდა. ვერ ხედავდა ახალ სოციალურ ძალას, რომელსაც უნდა მოეხდინა გადახალისება ცხოვრების ყოველ დარგში. თვითონაც ხომ ამ ძალას ეკუთვნოდა თავის მიზანდასახულებითა მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით. ყოველ მის სიტყვაში, გამოსჭვივის პრაქტიკოსი მშრომელი გლეხი და გლეხური ზრუნვა მშობლიურ ხალხზე.

სამშობლოში დაბრუნებულ ა. როინაშვილს მძიმე პირობებში მოუხდა მოქმედება. ახლად შექმნილ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მეტად მცირე რაოდენობის ხელის შემწყო-

ბი ჰყავდა. მის სალაროში მთელი წლის განმავლობაში ძლივ-ძლიობით შემოდიოდა რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც სახალხო სკოლების შესანახადაც არ ჰყოფნიდათ. ეროვნული მუზეუმის ასაშენებლად, ექსპედიციების მოსაწყობად და გაჩანაგების გზაზე დამდგარ ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატების შესაძენად არავითარი საღსარი არ რჩებოდათ.

იმ დროს კერძო პირს შეეძლო აეშენებინა თეატრი, შეექმნა მუზეუმი, სურათების გალერეია. ასეთი პიროვნებები რუსეთს ბლომად ჰყავდა—კორში, ტრეტიაკოვი, რუმიანცევი, სტროგანოვი, მამონტოვი და სხვ., რომლებიც დიდად უწყობდნენ ხელს რუსული კულტურისა და ხელოვნების განვითარებას. საქართველოში კი ივანე მუხრანბატონის, კოხტა აფხაზის, ნიკო ჭავჭავაძის, ლევან მელიქიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ამილახვრების, აბაშიძეების, ბარათაშვილების და სხვების წრეში არ მოიძებნა არც ერთი ისეთი პირი, რომელსაც ეკისრა ის, რაც რუსეთის დიდგვაროვანმა არისტოკრატიამ იკისრა თავისი ქვეყნის კულტურის ასამაღლებლად. ასეთივე ინდიფერენტიზმი სუფევდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის წრეში.

ევროპის უნივერსიტეტებში აღზრდილი ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია თავისი პირადი ინტერესებით იყო გართული, საქვეყნო საქმეზე ნაკლებად ზრუნავდა.

მოწინავე პირების მიერ დაარსებულ ღარიბთა საგანმანათლებლო კულტურულ ორგანიზაციებში მოქმედებდა მეტად მცირე რაზმი, რომელთა ნაყოფიერ მოღვაწეობას ხშირად ხელს უშლიდა პატივმოყვარეობა და შეუთანხმებლობა. ასეთი გარემოება დიდად აწუხებდა შგრძნობიარე პატრიოტ როინაშვილს; ის ერთ-ერთ თავის წერილში მიმართავს თავისდროინდელ ინტელიგენციას და ეკითხება: „ნუთუ დრო არ არის მივყვეთ პროგრესსა და განათლებას რომლითაც ბევრმა დაცემულმა ერმა გაიკვლია გზა და ამაღლდა კაცობრიულის ზნეობით და მოქალაქურის ღირსებითა. ნუთუ დრო არ არის დავანებოთ თავი ერთმანეთის კიცხვასა, შურსა და შეურაცხყოფას და ერთიანი ძალით შევუდგეთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას?

აგერ ასი წელიწადი სრულდება*, რაც ჩვენში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. აღარავინ გვესხმის თავს, აღარავინ არას გვერჩის. ამ ასი წლის მშვიდობიან დროში ასი დღიური მიწაც ვერ შევიძი-

* იგულისხმება საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში (ბ. ტ.)

ნეთ, ათასობით და ათი ათასობით კი დავკარგეთ. გაიძახიან, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარიაო. მეც იმას ვიტყვი, მდიდარია, სავსეა ყველანაირი მადნეულობითა, მოსავლითა და ბუნების სიმდიდრითა, მაგრამ ჩვენი დაუდევრობით ლამის ხელიდამ წაგვივიდეს.

ამ მშვიდობიანობით სარგებლობენ უცხოელები, მოდიან ჩვენს ქვეყანაში. ჩვენც ვეშლებით ფიანდაზად, დიდის ამბითა და პატივისცემით ვუხვდებით, ვუმართავთ სადილებსა და დიდის ღირსებით ვეპყრობით მათ სურვილსა. ვუჩვენებთ ჩვენ წინაპართა საფლავებსა და ვუსრულებთ მათ ყოველ სურვილსა, ვთხრით იმ საფლავებსა, რომელნიც ასი და ათასი წელიწადი დაცულნი იყვნენ ხალხის თაყვანისაცემად.

ამ საფლავებში ხშირად პოულობენ შესანიშნავს და სამაგალითო ნივთებსა, ქვისას, სპილენძისას, ოქროსა და ვერცხლისას, რომელნიც თავიანთი ხელოვნებით სამაგალითო განის წარმოადგენენ, მიაქვთ ყველა ეს ჩვენი ქვეყნიდამ თავიანთ საოჯახო მუზეუმებში და სამუდამოდ ეკარგება ჩვენს ქვეყანას და ჩვენ საერთო მუზეუმებს.

მე ერთი საოჯახო მუზეუმი ვიცი,* რომელიც დაფასებულია ორ მილიონად. დამერწმუნეთ, რომ ეს მუზეუმი თუ მთლად არა, ნახევრად მეტად ჩვენი ქვეყნიდგან გატანილი ნივთებისაგან შესდგება''.

ასეთი მიმართვის შემდეგ იგი ბრალს სდებს თავისდროინდელ ახალთაობას, რომელიც უკარგავს ერს იმას, რითაც ერმა უნდა შეისწავლოს თავისი წარსული ისტორია, თავისი ცხოვრების ნიმუშები, მოწმენი ერის მაღალი კულტურისა და განვითარებისა.

ა. როინაშვილის დღიურებსა და პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში დიდი ადგილი უჭირავს ეროვნული მუზეუმის დაარსების საკითხს. ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „ივერიაში'' (1895 წ. № 256) ის წერს:

„კვალის'' უკანასკნელ ნომერში ბატონმა ხახანაშვილმა იხმარა აზრი საერო მუზეუმზედ. ეს დიდი საყურადღებო და შესანიშნავი აზრია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დაუფიქრდება ამ დაგვიანებულს საქმეს.

დიდი რუსეთის მფარველობაში მყოფი თითქმის არც ერთი

---

* „მე ერთი კერძო მუზეუმი ვიცი რუსეთში". ეს წერილი გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში", სადაც სიტყვა „რუსეთი" ცენზურის მიერ არის ამოგდებული.

კულტურული ერი არ მოიპოვება, რომ საკუთარი ეროვნული მუზეუმი არა ქონდეს. ასე მაგალითად, პოლონელებს, მოლოროსებს და სხვებს დიდი ხანია აქვთ თავიანთი საკუთარი ეროვნული სახლი, მუზეუმი ჩვენ კი, რომლებიც უფრო ბევრად მაღლა ვდგევართ წარსულის დიდებით, ხელოვნებით, მწიგნობრობით, აზრად არ მოგვდის, რომ დავაარსოთ ეროვნული სახლი და მოვკიდოთ ხელი ეროვნულ საქმეს".

რა არის მუზეუმი, კითხულობს ავტორი და თვითონვე უპასუხებს: „მუზეუმი არის ის ძვირფასი სარკე, რომელშიაც ჩაიხედამ, მერე მოშორდები და შენი სახე და საქმე კი შიგ დარჩება. გადის რამდენიმე ათასი წელიწადი და შენი მომავალი თაობა თვალით ხედავს, თუ რა სახისა ყოფილა მისი წინაპარი, რა შეძლებია და უმოქმედნია. მუზეუმი არის იგივე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც პროფესორები თავიანთ მოწაფეებს უკითხავენ ლექციას, ასმენენ ისტორიას.

მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი დაწინაურებულნი პირნი დაიწყებდნენ ამ ფრიად საჭირო და საშვილიშვილო საქმეზედ ზრუნვასა და სწორედ ამის გამო ამ ოცის წლის წინათვე შეუდექ მე ძველის შესანიშნავის სამუზეიმო ნივთების მოკრებას.

ამ ნივთების შეძენაში რამდენი შრომა, გაჭირვება და მწუხარება გამოვიარე, აქ საჭიროდ არ ვრაცხამ მოვიყვანო. მე მხოლოდ იმას ვაუწყებ ჩემს მოძმეთ და მემამულეთ, თუ რამდენათ ნაყოფიერი იყო ჩემი ამ ოცი წლის წინანდელი განზრახვა". ამის შემდეგ ავტორი ერთხელ კიდევ ჩამოთვლის თუ სად ყოფილა, რამდენი რამ შეუძენია და ჩამოუტანია სამშობლოში იმ იმედით, რომ „ჩვენში ვპოებდი იმისთანა წრესა და დაწესებულებას, როგორც სხვა ერებსა აქვთ... მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდლამდის ასეთი ვერ ვიპოვე...

ხუთასამდე ნივთი შევიძინე და ჩამოვიტანე ჩვენს დედაქალაქში იმ განზრახვით, რომ გადამეცა ჩემი ერისათვის ქართული ეროვნული მუზეუმის დასაარსებლად და მე კი ისევ წავსულიყავ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ძველის ნივთების მოსაპოვებლად. აგერ ექვსი-წელიწადია, რაც ჩამოვიტანე ეს ნივთები და, ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდლამდისინ ვერ ვპოვე ვერც ერთი დაწესებულება ჩვენში, რომ შეძლოს და მოათავსოს თუნდ დროებით დაქირავებულს სახლში და მოუაროს ამ დიდათ შესანიშნავს ნივთებს;

ამით მე მომცეს შემთხვევა, რომ განვაგრძო ჩემი გულითადი წადილი და კიდევ შეუდგე ნივთების მოპოვებას ამავე მიზნისათვის. დიდათ სამწუხაროა ჩემთვის ჩემი ამგვარი მდგომარეობა. ოცი წელიწადი ვფიქრობდი, ვზრუნავდი, ვმეცადინეობდი, შევყარე ხუთასამდის ნივთი; დღეს ამის ყარაულათ გადავიქეცი. ნუთუ დრო არ არის თავიდან ავიცილოთ ის მრუდე გზა, რომელიც ესრე შეგვხორცებია და ამისა გამო სწორე მშვიდობიან გზასა და კვალს კი ზიზღით გავცქერით".

ა. როინაშვილი არა მარტო ეძებდა და იძენდა ძველ ქართულ ფულებს, ხელნაწერებს, საომარ და საოჯახო ნივთებს, არა მარტო თავგამოდებით იღებდა ფოტოთი ისტორიულ ძეგლებსა და ნაგებობებს, არამედ აგროვებდა და იღებდა იმისაც, რაც მის დროს ჯერ კიდევ ხმარებაში იყო, მაგრამ შეიძლებოდა მალე გამქრალიყო.

დღევანდელი ქართველი მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს როინაშვილის მწუხარება იმის გამო, რომ ის, რაც მან ერთმა გააკეთა, იმის მოვლა და პატრონობა ვერ შესძლო მაშინდელმა მოწინავე საზოგადოებამ, ვერ მოაბა თავი იმ „ძვირფასი სარკის" აგებას, რომელშიაც, როინაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ერს უნდა ჩაეხედა და მისი სახე შიგ დარჩენილიყო, რათა მომავალ თაობას თვალით დაენახა, რა შეძლებია მათ წინაპრებს, რა უმოქმედიათ, რა ყოფილა მათი ჭკვისა და გონებით ნაწარმოები და ნაყოფი, რა სახისანი ყოფილან".

საზოგადო მოღვაწეების ის ჯგუფი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, ა. როინაშვილის პრაქტიკულ საქმიანობას და მის აზრს ეროვნული მუზეუმის დაარსების შესახებ, ცხადია, კარგად იცნობდა. ილიას წრემ კარგად იცოდა ვინ რას აკეთებდა ერის საკეთილდღეოდ, ვინ უყრიდა საფუძველს ქართული ეროვნული მუზეუმის დაარსებას, რა უშლიდა ხელს მისთვის შენობის აგებას და სხვ., იცოდა მაგრამ საქმე მაინც არ კეთდებოდა.

როგორც ვასილ როინაშვილის მოგონებიდან ჩანს, თვით ალექსანდრეს გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი ეროვნული მუზეუმის შენობის ასაშენებლად. მას წერილობით უთხოვნია საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მეცენატ ზუბალაშვილისათვის შეეწირა მიწა ქართული ეროვნული მუზეუმის ასაგებად. როინაშვილის აზრით, ეს მუზეუმი უნდა აშენებულიყო ალექსანდრეს სახელობის ბაღის პირდაპირ (ახლა კომუნარების სახ. ბაღი), ყოფილ „გლეხთა სახლის" გვერდით. როგორც მოპოვებულ მასალებიდან ჩანს,

როინაშვილს შენობის გეგმაც კი შეუდგენინებია, რომელიც საზღვარგარეთ გადაუგზავნია ზუბალაშვილისათვის. ამ მიმოწერის ნიადაგზე ხმა გავრცელებულა, რომ თითქოს ერთი მდიდარი ქართველი სწირავდა მიწას ეროვნული მუზეუმის ასაგებადაო; გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა საინტერესო წერილი, რომელიც ცნობილ ჟურნალისტს დ. მიქელაძეს (მეველეს) ეკუთვნოდა.

„ეარგა ხანია, რაც ბატონმა ალ. როინაშვილმა შესწირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" თავისი ძვირფასი მუზეუმი.

ბატონს როინაშვილს, დიაღ დიდი შრომა და ღვაწლი უნდა ჰქონდეს გაწეული იმ მშვენიერის ნაწარმოებებისა და ძველ ნივთების მოსაკრებად, რომელიც ამ საპატიო კეთილმა კაცმა უძღვნა საზოგადოებას.

ამ მდიდარს შემოწირულებაზე, რომელიც 50 000 მანეთად ღირს, ჩვენ ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბატონმა როინაშვილმა ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი დიდისა და სახელოვანის საქმისა. მან დაამტკიცა, რომ ღმერთს უხვად მიუნიჭებია მისთვის ძვირფასი და წმინდა გრძნობა. ამ გრძნობას ეწოდება ერის ერთგულება, ქვეყნის სიყვარული.

მაგრამ „წერა-კითხვის საზოგადოებამ" აქამდინ ისიც-კი ვერ მოახერხა, რომ გამოართვას ბატონ როინაშვილს მის მიერ ნაჩუქარი განძი. ვერ მოახერხა იმიტომ, რომ შესაფერი ბინა ვერ იპოვა და ეს ნივთები ისევ შემწირველს აბარია.

ბატონი როინაშვილი არ ჯერდება ამ კოლექციას, რომელიც მან უძღვნა საზოგადოებას: იგი ჰფიქრობს შეუდგეს კვალად მოგზაურობას და ბევრი სხვა ძველი ნივთი და განძი შეაგროვოს ამ „საზოგადოებისათვის" გადასაცემად. მაგრამ ამ მშვენიერის განზრახვის შესრულებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ბ-ნ როინაშვილს თავის მუზეუმისათვის თავის დანებება ვერ გაუბედნია, რომ ნივთებს რაიმე უბედურება არ დაატყდეს.

ეხლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას განუზრახავს მუზეუმის შენობის აგება შესაფერ ადგილას, რამდენსამე პატივცემულ ქართველის დახმარებით.

ამ შენობაში იქნება მოთავსებული მთელის საქართველოს საარხიტექტორო, საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთი და განძეულობა, აქვე იქნება ბინა თვით „საზოგადოების" წიგნთსაცავისა და ხელნაწერების. აქვე გადმოტანილი იქნება ბატონ როინაშვილის

შეწირული ნივთებიცა. ხოლო საჭირო ალაგიც ამ ქართულის მუზეუმისათვის, როგორც გვესმის, შეწირული იქნება ერთის პატივცემულ, ქვეყნის გულშემატკივარი ქართველისაგან.

ამასთან, ეს საპატიო კაცი, გარდა იმისა, რომ ასეთ უხვ შეწირულებას უპირებს სამშობლოს ქვეყანას, იგი თვითონ განათლებული და ხელოვნების მოყვარული ყოფილა.

ამ ჩვენის ქვეყნის შვილს მოუსურვებია, რათა გეგმა სამუზეიმო შენობისა ევროპაში საუკეთესო არქიტექტორებს აჩვენოს, და იმათთან ერთად შეიმუშაოს მუზეუმის მოდელი. ამ სახით, ორმა ქართველმა კაცმა დასდეს საფუძველი ქართულის ხელოვნების ტაძრისა, რომელიც იქნება მჭერმეტყველი მოწამე ამ საპატიო გვამთა ქვეყნის ერთგულებისა და უანგარო მამულიშვილობისა. ჩვენ განსხვავებულის სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ შემთხვევას, იმედი გვაქვს, რომ ქართულის მუზეუმის აგება მტკიცე და საფუძვლიან ნიადაგზეა დღეს.

მაშინ, როდესაც ორი ქართველი კაცი სწირავს და უძღვნის ქვეყანას ასი ათასს მანეთს, არა გვგონია, რომ დანაშთენ ჩვენ თანამემამულეთ გულხელი დაიკრიბონ და თავისი წვლილი არ შესწირონ ამ დიდს და საშვილიშვილო საქმეს". („ევერია" 1893 წ. № 217).

ეს ცნობა—„თითქოს ერთ საპატიო ქართველ კაცს განუზრახავს მუზეუმისათვის მიწის შეწირვა", მართალი არ გამოდგა. ასეთი პირი არც მაშინ და არც შემდეგში არ აღმოჩენილა. „ევერიაში" გამოქვეყნებულ ცნობიდან მართალი გამოდგა მხოლოდ ის, რომ „ბატონმა როინაშვილმა ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი დიდისა და სახელოვანის საქმისა". საპატიო მდიდარმა ქართველებმა თვითონვე ამორიცხეს თავისი თავი ქართული ეროვნული მუზეუმის აგების საქმიდან.

ცხადია, ისეთი აზრების მქონე ადამიანი, როგორიც იყო როინაშვილი, უმოქმედოდ ვერ დარჩებოდა, არ მოერიდებოდა არავითარ ხარჯს თავისი ოცნების განსახორციელებლად. აკი არც მოერიდა. მან არ დაიშურა თანხა და „ეროვნული მუზეუმის" პროექტი შეადგენინა ვინმე პ. შტერნს. ეს პროექტი ღირ ბარათის სახით გამოსცა და გაავრცელა ხალხში.

სავალალო ის არის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც აგებულია ხუროთმოძღვრების განსაცვიფრებელი ძეგლები ჯვრისა, სვეტი-



ქართული ეროვნული მუზეუმის პროექტი

ცხოველისა, გელათისა, ალავერდისა, საფარისა და სხვა., არ ალ-
მოჩნდა თუნდაც ერთი ხუროთმოძღვარი, რომელიც დაინტერესე-
ბულიყო ამ საქმით და მხარში ამოდგომოდა უმწიკვლო მამულიშ-
ვილს, და მისი კეთილი განზრახვისათვის ხორცი შეესხა. როინაშ-
ვილი იძულებული გახდა უცხოელისათვის მიემართა და დაკმაყო-
ფილებულიყო ისეთი პროექტით, რომელიც არ ეგუებოდა ჩვენი
არქიტექტურის ტრადიციებსა და სახალხო გემოვნებას.

თავისი მუზეუმის დარაჯად გადაქცეული ა. როინაშვილი, გარშემორტყმული მრავალრიცხოვანი მოწაფეებით, რომელთა რჩენა და მოვლა-პატრონობა მის კისერზე იყო, მაინც ახერხებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობას.

ერთ-ერთი მოწაფის თანხლებით მან ხელმეორედ ამოგზაურა მესხეთში, გურიაში, ქართლში და სხვაგან. გადაიღო ზარზმის, საფარის, ვარძიის, ყუმურდოს, შემოქმედის, ჯუმათის, ლიხაურის და სხვა მრავალი მონასტერი. თავისი გამჭრიახი თვალით და ფხიზელი გონებით კარგად ხედავდა იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა ქართული მონასტრები და სიძველენი. ხედავდა, რომ ისინი ნადგურდებოდა, იქ შემონახული განძეულობა ნიავდებოდა, საჭირო იყო გადარჩენა იმ განძისა, რაც დიდი ხანია ძარცვის ობიექტად გაეხადათ გარეშე და შინაურ მტრებს.

ამავე დროს როინაშვილი თავის მოგზაურობის დროს ატარებდა საუბრებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, უხსნიდა მათ ისტორიული ძეგლების მნიშვნელობას, მოუწოდებდა მათ კარგად დაეცვათ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი. ეს მოწოდება თავის ნაყოფს იღებდა.

სოფ. წილკანიდგან ვინმე ს. ლაშაური სწერს გაზ. „ივერიას“ მკითხველებს... „29 თიბათვეს აქ მოვიდა ბ-ნი როინაშვილი ფოტოგრაფიული აპარატით, ეკლესიისა და ზოგიერთი უძველესი ნივთის გადასაღებად და გადაიღო კიდეც. ამ ნივთებს შორის ფოტოგრაფის ყურადღება მიიქცია ორმა ძველმა, ეტრატზე ნაწერმა სახარებამ, რომლისათვის ჟამთა ვითარებას ლაქაც არ დაუმჩნევია. საკვირველი სანახავია აგრეთვე ოქრომკედით ნაკერი გარდამოხსნა და ოლარი შიგ ჩატანებული ძვირფასი ქვებით. მაგრამ ამაზედ უფრო ძვირფასი სიმდიდრე ჰქონია ჩვენს ეკლესიასა. ღვთისმშობლის ერთ-ერთ ხატის თავთან, ორსავ მხრივ ჩართულია ორი პატარა სურათი, რომლებისთვისაც ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება... ფოტოგრაფს ბ-ნს ალ. როინაშვილს დიდათ მოეწონა ეს

სურათები და სთქვა, რომ მაგისთანა ხელოვნება ჯერ თითქმის არსად მინახავსო“ („ივერია“ 1893 წ. № 141).

როდესაც როინაშვილი ასე იყო გართული საქართველოს სიძველეთა დაცვის საქმეში და დაუღალავად მოგზაურობდა თავის სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში, ამ დროს ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფებოდა რომელიც ი. ჭავჭავაძემ ერთ მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში, ასე დაახასიათა:... „სხვა აქაური ამბები რა მოგწერო. ყოველივე ძველებურად არის, ჩვენებურად. იგივე მთა, იგივე ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარშემო, რომ ადამიანის ნიშანწყალი ჰქონდეს. ვყვირივართ, როგორც ნახირი ბაკში“. ეს მწარე სიტყვები დაღად დაასვა დიდმა ილიამ მეცხრამეტე საუკუნის თათქარიძეების მოდგმას.

ა. როინაშვილი, როგორც ი. ჭავჭავაძის თანამგრძნობი და მისი ერთგული მოწაფე, მეტად არის აღშფოთებული ინტელიგენციის უმოქმედობით და საქვეყნო საქმეებისადმი გულგრილი მოპყრობით. ის ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ასი წლის მშვიდობიანი ცხოვრება ინტელიგენციამ ვერ გამოიყენა და ერს ვერაფერი შემატა.

„ჩვენ მოვალენი ვიყავით გვესარგებლა ამ მშვიდობიანობითა. ჩვენ კი როგორ მოვიხმარეთ ეს მშვიდობიანობა?“ კითხულობს იგი და თან უპასუხებს: გაფუფუნება კიბინეტებში, ცეკვა დარბაზებში, ლხენა და ქეიფი გასტინებში; ჩვენი ქალების ფიქრი მოდებზე და ბალებზე, მოსვენება და ძილი 11 საათამდე... ამ ასი წლის წინად შეწყდა ჩვენი მაჯის ძარღვის ცემა და ამასთანავე შეწყდა ჩვენი ისტორიული წინმსვლელობაც.

აბა მოვიგონოთ, რა გავაკეთეთ ჩვენი ერისათვის და რა შევმატეთ ჩვენ გლეხობას წარსულში; იმ გლეხობას, რომელთაც ჩვენი წინდაუხედაობით ვაღვრევინეთ სისხლი და ამით ჩვენ გვებოძა კეთილშობილური ხარისხი და თვალუწვდენელი მამულები. ეს მამულები ამ ასი წლის მშვიდობიანობის დროს ბურთივით გადადიოდა შემოსეულთა ხელში. მთელი ორი მაზრა ხელიდამ წაგვივიდა. ჩვენი მამაცი ხალხი ძალაუნებურად გაქრა... ჩვენი ეკლესიების არემარეში უცხოელები ჩასახლდნენ. ჩვენი ძველი წარწერები წაშალეს და თავიანთი წააწერეს. რად მოხდა ასე? ასი წლის განმავლობაში ხომ მშვიდობიანობა იყო და ნასწავლი ინტელიგენციაც ყოველწლივ მატულობდა? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენმა კეთილშობი-

ლებმა სახლსა და საქმეს გენერლობა ამჯობინეს. ზოგმა ჩინი ირჩია და დაკარგა თვალის ჩინი; ზოგმა დღისით ძილი და ღამით კარტის თამაში, და აკი ამათმა სარჩომა და მამულებმა კაკულიანცების ხელში ამოყო თავი. ზოგმაც კატკასთან ალერსი და კატკასმოდის შემწეობით მთელი სარჩო შეიზიდა კარაპეტიანცის მაღაზიაში''.

დუშელი ღარიბი გლეხი სრულიად სამართლიან ბრალდებას უყენებს თავისდროინდელ თავადაზნაურობას და ამ წრიდან გამოსულ უსაქმო ინტელიგენციას. ის აღშფოთებულია ამ ინტელიგენციის უმოქმედობით და გაფითრებული ქადაგის სიტყვებით მიმართავს მათ:

,,ძმანო და შვილნო, უნივერსიტეტებში განათლებულნო და განსპეტაკებულნო! შეგვიბრალეთ ჩვენც, ჩვენც ამ ერს ვეკუთვნით, რომელმაც თქვენ მოგცათ ძალა. თქვენი კარგი მოქმედება გვახარებს, ავი კი გვიმღვრევს სისხლსა, გვიშლის ძარღვებსა და გვაბოროტებს.

ნუთუ დაკარგულია თქვენში თქვენი ერის სიყვარული? ნუთუ ბანკიდან ფულის გამოტანაში, მამულების მეზობლებზედ გადაცემაში და სამუდამოდ ჩვენიქვეყნის დასაფლავებაში მოგაქვთ თავი და ამას უწოდებთ საერო საქმესა?...

გადახედეთ სხვა ერებსა, ყველას თავისი დაწინაურებული ინტელიგენცია უდგათ წინ და ერის საკეთილდღეოთ მოქმედებენ-არც სიღარიბე, არც უძლურება და ხნოვანება მათ არ აფერხებთ. თავიანთი თავის მოვალეობათ სთვლიან, ავიცა და კარგიცა ჭკვიანიცა და უჭკუონიცა თავიანთ ზურგზედ გაიყვანონ. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ... ორგვლივ ერთმანეთის დაცინვა, კიცხვა და უკადრისობა... ვერც ხალხის კეთილდღეობას ვხედავთ, ვერც განათლებას, ვერც მომავლის დაცვასა.

...ნეტარება იმ ადამიანსა, რომელიც თავის ცოდნას, ნიჭსა და გამოცდილებას თავის სამშობლოს მოახმარს... ნეტარება იმ კაცსა, რომელიც გრძნობს თავის მოვალეობას და სიცოცხლე მისთვის ენატრება, რომ ემსახუროს კაცობრიობის წინსვლასა, განვითარებასა და სიკეთის მოტანასა. რა ეწოდება იმისთანა ადამიანს, რომელიც მარტო იმისათვის დაბადებულა, რომ სოს, სჭამოს, ჩაიცვას, დაიხუროს და მთელი თავისი სიცოცხლე ცუდათ და ამაოთ გაატაროს, სიცოცხლის ბოლოს არაფერი არ დასტოვოს ამ ქვეყანაზედა.

ნუთუ ამ კაცს ნამდვილი ადამიანობა ეთქმის და არა მხეცობა.

...ამგვარი პირი სულ იმას ფიქრობს, როგორმე გვერდი უგდოს თავის მოძმეს, რო ძირს დასცეს და თვითონ დაიჭიროს მისი ადგილი... მან ოღონდ კი კუჭი გაიძღოს, ცხოვრების ტალღებში იფარფაშოს და დანარჩენი თუნდ სულამც წყალს წაუღია.

ჩვენისთანა პატარა ერისთვის ეს ისეთი მავნე სენი და ჩვეულებაა, რომ შეიძლება მთელი ერი დასცეს და სულ მიწასთან გაასწოროს... დროა ვებრძოლოთ ადამიანის ამისთანა საზიზღროებასა. გავდევნოთ ჩვენგან დამამცირებელი შურისძიება და ბოროტი".

თავისი მჭერმეტყველებითა და გულუბრყვილო პატრიოტიზმით გამოირჩევა მისი გარდაცვალების ახლო ხანში დაწერილი ერთ-ერთი საგაზეთო წერილი. ამ წერილიდან უფრო ნათლად ჩანს ხალხოსანი ფოტოგრაფის პრინციპები, მისწრაფება და საზოგადოებრივი შეხედულებანი.

„უბედურია ის ერი, რომელსაც არა აქვს ლიტერატურა, ისტორია, კულტურა და ნაშთნი შესანიშნავნი: ნამდვილად გამომხატველნი მათის წინაპართა მოღვაწეობისა, ხელოვნებისა და დიდებისა.

მაგრამ რა ეწოდება იმ ერსა, რომელსაც ყველა ესენი მოეპოვება, მუდამ თვალწინ უდგიან და ყოველ ფეხის გადადგმაზედ ხედავს თავის ერის ნამდვილს დიდებასა, ნაშრომსა, ნაღვაწს, შესანიშნავ ტაძრებსა, ციხეებსა, არხებსა და სხვას მრავალსა. დარწმუნებულია, რომ მის წინაპართა თავიანთის გონებრივი და ზნეობრივის მოღვაწეობით ისტორიაში დაუპყრიათ საუკეთესო ალაგი. დღეს კი მათი ჩამომავლობა სრულებით არ აქცევს ყურადღებას ამას, გვერდზე გასცქერის და ყველა ეს დიდება ქრება, ირღვევა და იკარგება დედამიწის ზურგიდან.

უნდა მოგახსენოთ, ბატონო მკითხველო, რომ ეს უკანასკნელი ერი, მქონე დიდებულის წარსულისა, ხელოვნებისა და ისტორიისა უფრო უბედურ ერად მიმაჩნია, ვიდრე ის ერი, რომელსაც არა ჰქონდა არც ისტორია, არც ლიტერატურა და არც კულტურა. ამ უბედურს ერს რა დარჩომია მეტი: უნდა გადასხვაფერდეს, უნდა გაჰქრეს, უნდა გადიცოს სხვისი ქურქი და აღიგავოს ამ დედამიწის ზურგიდან.

ერი მას ქვია, რომელიც თავის წარსულით ამაყობს, მით სულ დგმულობს, მისის შუქით იკვლევს გზასა და მამაცურად მიდის საქვეყნო ასპარეზზე; უნდა შრომობდეს, იღწოდეს, იკვლევდეს, ათასნაირის ეკლით მოცულს გზასა და ისე გადასცემდეს თავის ჩამომავლობასა.

ეს წმინდა მცნება ძალიან კარგათ სცოდნიათ ჩვენს წინაპართა, არამც თუ უშრომიათ, ულვაწიათ, არამედ ბევრს მათგანს ასობით და ათასობითაც შეუწირამთ თავი თავისი საყვარული ქვეყნისათვის. ამის დასამტკიცებლად თვალწინ გვიდგანან უთვალავი ნაშთნი პატიოსანთა შრომისა, მოღვაწეობისა და მრავალნი აკლდამები სავსენი მათის ჩონჩხითა. ესრე გაათავეს ამ ნეტარხსენებულებმა თავიანთი სიცოცხლე და ჩამოგვიგდეს მშვიდობიანობა.

ეხლა როგორ მოვიხმარეთ ეს მშვიდობიანობა? აი როგორ: უფრო დაუახლოვდით და დაუმეგობრდით ჩვენს დაუძინებელს შინაურს შემოხიზნულს მტერსა. გადაუშალეთ ჩვენი ფართო გული და ჩაუგდეთ ჩვენი ტურფა ქვეყანა ხელში ისეთ პირთა, რომელნიც თავიანთი ჩვეულებრივის ღირსებით წარმოადგენენ მგელსა, ცხვრის ტყავში. ესენი იყვნენ და არიან მიზეზნი ჩვენი დაქვეითებისა და დაცემისა.

ჩვენ კი დღევანდლამდინ ამაზე არას ვფიქრობთ, და გვძინავს ისევ იმ უღრმესის ძილითა, როგორც აქამდინ გვეძინა, და ამით ვახარებთ, ვამდიდრებთ და ვაამაყებთ, ჩვენ შინაურს შემოხიზნულ მტერსა.

დროა თვალი გავახილოთ, დავფიქრდეთ, ვიღონოთ და ერთის მოკრეფილი ერთიანი ძალით შევუდგეთ ცხოვრების გაუმჯობესებასა და დაცვასა.

დროა ვიცოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთზედ ათით მეტნი ვართ და ჩვენ შეგვიძლიან უკეთესად ცხოვრება განვაგრძოთ უმათოთ დროა ვიცოდეთ, რომ დიდ ცოდვას ვიდენთ ჩვენ მომავალს თაობასთან და ვღუპავთ იმ დიდებასა, რომელიც სისხლითა და ოფლის ღვრით შეუძენიათ ჩვენ წინაპართა და გადმოუციათ ჩვენთვის ახალთაობის გადასაცემად. დროა ვიცოდეთ, რომ ჩვენს ერს მხოლოდ მისთვის უცხოვრია ორი ათას წელიწადზედ მეტი და უმოქმედია, რომ ჰქონია თავისი ეროვნული მართვა, ერთობა და სიყვარული... დროა დავფიქრდეთ, თავი დავანებოთ ერთმანეთის სიძულვილს, შურსა და ბოროტებასა... ნუ დავზოგავთ ნურც შრომას, ნურც დროსა. ვეცადნეთ, რომ არ ჩამოვრჩეთ ჩვენს მეზობელ ერებსა... არა მგონია, რომ კეთილმოღვაწეთ და პატიოსან მშრომელთ მართებლობამ ხელი არ მოუმართოს, ოღონდ გონივრულად, ერთობით და ერთის ძალით მოვკიდოთ ხელი და იმედი მაქვს მართებლობა დაგვეხმარება კიდეც“.

კლასობრივ მსოფლმხედველობას მოკლებული როინაშვილი

დარწმუნებული იყო, რომ ქართველობას ეროვნული შეგნების გან-
მტკიცებაში „მართებლობა დაეხმარებოდა“ ის მართებლობა,
რომლის შესახებიც ოგივე როინაშვილი სხვა ადგილას ამბობს: „ამ
საუკუნის (იგულისამება XIX ს.) დამდეგი ჩვენთვის დიდათ შესა-
ნიშნავი ხანა იყო. საიდანაც შველას ველოდით, იქიდან ცეცხლი
მოგვაყარეს და საიდგანაც ერთგულებასა, იმათ გაგვყიდეს და გვი-
ღალატეს, დაგვცეს საშინელი თავზარი და დღევანდლამდე თითქ-
მის ისევ ისე თავზარდაცემულნი ვიმყოფებით როგორც ამ საუკუ-
ნის დამდეგში ვიყავით“.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გააფრთებით ილაშქრებდა როინაშ-
ვილი თავადაზნაურების ფუქსავატი ცხოვრების წინააღმდეგ, ვნა-
ხეთ, როგორ არ მოსწონდა თავადაზნაურული წრიდან გამოსული
ინტელიგენციის უმოქმედობა და უსაქმობა, მაგრამ გამოსავალს
ვერ ხედავდა, საშველი, მისი აზრით, მხოლოდ ზოგად ქრისტიანულ
ამობასა და ერთობაში იყო. ეროვნული მთლიანობის მქადაგებელი,
ვერ ამჩნევდა იმ დიად სოციალურ ძვრებს, რომელიც ოთხმოცდა-
ათიან წლებში დაიწყო ჩვენში. იმას ვერ გაეგო ახლად ჩასახული
პოლიტიკური პარტიების ბრძოლების აზრი და მიზნები.

„გაიმართა რაღაც ეშმაკი პარტიობა და აი ამ უკანასკნელ
დრომდის სამი პარტია სუფევდა და ეხლა ამბობენ მეოთხეც მალე
დაიბადებაო. შესაბრალისნი არიან ახალი თაობანი; ვისაც კი გული
შესტკივა თავის ქვეყნისათვისა—დამფრთხალს, უმწყეს ცხვარს მო-
გაგონებთ. არ იციან რა ქნან, რომელ მხარეს მიეპყრონ, რადგან
სამივე მხარენი საპატიო პირნი არიან და ცოტად თუ ბევრად სა-
მშობლოს წინაშე სამსახური მიუძღვით, რა ქნას ეხლა იმ პატარა
წრემ, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლა მოათავეს და
თავიანთ ქვეყანაში იმ აზრით და იმ აღტაცებულის გრძნობით დაბ-
რუნდნენ, რომ დაახლოებოდნენ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებსა და
მიეცათ მათთვის მხარი, რათა ერთად სწიონ უღელი კაცობრიო-
ბის განკეთილშობილებისა და განვითარებისა ნუთუ შესაბრალისი
არ არის ეს ახალგაზრდობა, რომელიც მოუთმენლად ელოდა, რომ
მალე გაეთავებია სწავლა და ახალის ძალით, მხნეობით და ენერ-
გიით უქადიდა თავის ქვეყანას მოშველებასა. ნუთუ ეს არავინ არ
იცის, რომ ყველა ერი იმედოვნებს და სულდგმულობს თავისის
მომავლით. ნასწავლ ახალგაზრდობას ვალად ედება ერის წინამ-
ძღოლობა და პროგრესის შემოტანა. ნუ გაუტეხთ ამ ახალთაობას
გულსა, დავახლოვდეთ, დავეხმაროთ რითაც შეგვიძლია და იმედი

ვიქონიოთ, რომ, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ თითქმის ერთი საუკუნის მშვიდობიან დროში, ესენი შეასრულებენ“.

...ნულარაფერს ვიტყვით ამ ჩვენთვის სამარცხვინო საუკუნეზე... დღევანდლამდის ჩვენმა ინტელიგენციამ გზა არ გაუკვლია ჩვენ ერსა, საწყალი ერი დღევანდლამდის ზის ორ წყალს შუა. ჩვენს სიმღერებში და ლექსებში სულ რაღაც გლოვა და ცრემლი იხატება, მეტისმეტი მეხის მეხია. გვეყოფა ესენი. დრო წინ მიდის ჩვენ კი უკან ვრჩებით, სჯობს საქმეს შეუდგეთ. ჩვენი ქვეყანა ისეთი ნაყოფიერია, ტურფა, ლამაზი და ამასთანავე პატარა, რომ იშვიათია მცირე აზიაში ასეთი პატარა სამფლობელო. რომ კიდევ გვყავდნენ მთავრები, ეხლაც არავინ მოგვცემდა მოსვენებას, ყველასათვის სალოკ თაფლად გადაგვაქცევდნენ. ყოველთვის ომში და ცეცხლში ვიქნებოდით, რაც კიდევ უფრო დაგვაქვეითებდა ჭკუითა და განვითარებითა. თავი ვანებოთ ამ ფიქრებსა და დავადგეთ გონიერულს მომავლის გზასა და შეუდგეთ გონიერად ეროვნულს განვითარებასა. დამერწმუნეთ, რომ მოვა დრო და ჟამი, როდესაც პროგრესი გაუკვლევს მთელ კაცობრიობას ეკლით მოსილ გზას.

დროვე დაბადებს ისეთ პირებს, რომელთა პატიოსანი მარჯვენა ერთის კალმის მოსმით წაშლის ამ საუკუნის განვლილ შეცდომებსა“.

ერის დაქვეითების მიზეზების გამორკვევის დროს, როინაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ წუწუნი და გადასულ დროებაზე ფიქრი არას გვარგებს, უიმედობას და ორწყალშუა ჯდომას ბოლო უნდა მოეღოსო. ის უკვე ხედავს სანუგეშო პერსპექტივას—და გახარებული ამბობს:

„ჩვენი ეროვნული წინსვლა რომ შესაძლებელია, ამის დასამტკიცებელი საბუთი წინ გვიდევს: ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული დასი და ქართული წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა, ქართული გაზეთების გამოცემა და სხვ. ქართველი თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის ერთი ნაწილის გადაგვარებაზე სჯა-ბაასის შემდეგ ის მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ სწავლა და პრაქტიკული საქმიანობა ერს გამოიყვანს იმ ჩიხიდან, რომელშიაც ის მოემწყვდა ერთი საუკუნის მანძილზე.

„ჩვენ გვეჭირვება ისეთი შვილები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ დედამიწის ძალა და ძარღვი, იცოდნენ, თუ სად რა მოვა და სად რა სჯობია რომ დაითესოს. ჩვენ გვჭირდება პრაქტიკული ცოდნა და არა მარტო ლექციების მოსმენა და წიგნების

კითხვა". ამ აზრით გამხნევებული ის უსიტყვოდ ეთანხმება დიდ ილიას, რომელმაც სთქვა: „ერმა უნდა იცოდეს, სად შეჩერდა მისი წინათაობა და სად უნდა გააგრძელოს მან ახალი გზა".

დუშელი გლეხი, თავადაზნაურობისა და მისი წრიდან გამოსული ინტელიგენციის გარდა სხვა ძალასაც ხედავდა ჩვენს ქვეყანაში. ის თავის ნაწერებში სიამაყით აღნიშნავს ხოლმე: „ჩვენი ქვეყნის მთავარი ერი გლეხკაცობაა". მას სწამდა, რომ გლეხობა ქმნიდა ქვეყნის სიმდიდრეს და ყოველ სიკეთეს, მიუხედავად ამისა, მასზე მაინც არავინ არ ზრუნავდა. ეს წყინდა, ეს აღელვებდა მას.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც მეფე ნიკოლოზ მეორეს ტახტზე ასვლის გამო არის დაწერილი, ის ამბობს: „ჩვენი ერისათვის უმთავრესი ერი გლეხია. გლეხმა დაბადა თავადიც, აზნაურიც, ღვდელიც, ვაჭარიც... რით ვერ შეიტყეთ, თუ გლეხს აქვს რამე, მაშინ მებატონესაც ერგება, ღვდელსაც და მოქალაქესაც. თუ გლეხს არა აქვს რა, მაშინ ყველა დამშეულია. აგერ ასი წელიწადი გადის რაც ამ მთავრობის ქვეშევრდომნი ვართ და აბა მოიგონეთ ის დრო, თუ რომელმა წოდებამ ითხოვა რამე ამ უბედურებისათვის. ეს ბედშავნი ჩასწყდნენ წელში, არაქათი გაუწყდათ. მთელ თავიანთ სიცოცხლეში სულ ჩიჩქნიან რაღაც ორიოდე დღიურს მიწასა, რომელსაც დიდი ხანია ძალა და ძარღვი ამოაცალეს და გვკვებავენ ჩვენა. რა ქნან ამ უბედურებმა, რომელი ერთი აიტანონ. ბეგარა ამათი ვალია, სახელმწიფო გადასახადი ამათი ვალია, მებატონის გაძღოლა ამათი ვალია და ახლა კიდევ რამდენი სხვა, სამღვდელოება ამათი ვალია, გადასახადი ამათი ვალია...

ესეთ უბედურ დღეშია ჩვენი ერი. სამწუხარო კიდევ უფრო ის არის, რომ გამოდიან მათი ოფლით ჩასუქებული პირები და კიდევ გლეხობას ამტყუნებენ და გაიძახიან: ზარმაცები არიანო, არაფერს აკეთებენო, სარწმუნეობა დაივიწყესო და სხვ... ბოდიშს ვიხდი ამისთანა არტალაყლაპიებთან, დავუმტკიცებ მათ, რომ ქართველი კაცი არ არის ზარმაცი... ათასობით მოიპოვებიან ჩვენში ისეთი გლეხების ოჯახები, რომელნიც სამი-ოთხი ძმისაგან შესდგებიან, სახლში უსხედან მოხუცებულნი დედ-მამა და ცოლ-შვილი. მზად არიან იშრომონ, ოფლი დაღვარონ, მაგრამ რა ქნან, მამული რომ არა აქვთ? ის ორი-სამი დღის მიწა, რომელიც მათ გააჩნია, პატივს თხოულობს, ყიდვას ხომ ფული უნდა. რას ურჩევთ, ვისგან

ისესხოს, რასაკვირველია—სარქისასაგან. მერე ვინ დაუდგება თავ-დებათ, რომ სამი წლის შემდეგ არ გადაყლაპოს ეს მიწა სარქისას სარგებელმა?

აი ამისთანა სარქისების გამოგონილმა წესწყობილებამ დასცა ჩვენი გლეხობა; ბეგარა და გადასახადები ისე ვერას დაამჩნევდა ამ ხალხსა როგორც ამ ორფეხა თაგვების შეჩენა, რომელიც დედამიწასთან ასწორებს ამ უბედურებსა. განა ამათ შველა არ ეკითვრება? განა ესენი შესაბრალისნი არ არიან? მაგრამ ვინ არის პატრონი?..

თავადაზნაურობას როდესაც ხელსაყრელი პირობები დაუდგება ხოლმე, სასაცილო მოთხოვნილებებს უყენებს მთავრობასა... ცნობილია, თუ რა სასაცილო მოთხოვნა წარუდგინეს მეფესა და მის გვარეულობას საქართველოში მოგზაურობის დროს. ასე სჩადიან პეტერბურგში, როდესაც მეფეს უმტკიცებენ თავის „უქვეშევრდომილეს“ გრძნობებს და თავის ღვაწლს კავკასიაში ცარიზმის განმტკიცების საქმეში“.

როინაშვილი თავადაზნაურობიდან მოითხოვს მეტ წინდახედულობას და მოქნილ დიპლომატიას ხელისუფლებასთან საუბრის დროს. მაგალითად, მას მოჰყავს დიდი აკაკის გამოსვლა ლევაშოვის წინააღმდეგ და ამბობს:

„როდესაც ქუთაისის ქურდმა გუბერნატორმა ლევაშოვმა სვანეთიდან ისტორიული ძეგლები წაიღო, აკაკიმ პრესაში განაცხადა, რომ გუბერნატორი არასოდეს არ იკადრებს ქვეყანას მოსტაცოს მისი სიმდიდრეო. უთუოდ, დროებით წაიღო ხელნაწერი სახარება სვანეთიდან. ისეთი პიროვნება, როგორიც არის ლევაშოვი, უეჭველად დააბრუნებსო“.

თვით როინაშვილი ერთ თავის წერილში აქებს იმ მართებლობას, რომელიც მას ჭირივით ეჯავრებოდა და, რომელსაც „ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს“ უწოდებდა.

ნიკოლოს მეორის ტახტზე ასვლის გამო დაწერილ წერილში, რომელიც ზემოდ დავასახელეთ, როინაშვილი ურჩევს წარგზავნილ დელეგატებს, რომ მათ საერთო საქმეზე იფიქრონ და არა უმნიშვნელოზე:

„საშწუხარო იქნება ჩვენი ერისათვის, რომ კიდევ ისეთი მცირედი რამ ვითხოვოთ, როგორც განვლილს ამისთანა საისტორიო დიდს დღეობაში ვითხოვეთ: პრიკაზის ვალის პატიება, ან კიდევ რომელიღაც ციმბირში გადასახლებულ თავადიშვილის დაბრუნება

მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველი და მისი პირმშო შვილი როინაშვილი არანაკლები პირდაპირობით ილაშქრებს ინტელიგენციის იმ დიდი ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც პირად კეთილდღეობაზე მეტს ზრუნავს, ვიდრე საქვეყნო საქმეზე და გლეხობაზე.

„აბა ერთი ვინმე წამოდგეს და არ გაწითლდეს ისე სთქვას, რომ აი ეს გააკეთა ჩვენმა ინტელიგენციამ გლეხობისათვისო. დამერწმუნეთ, ვერავინ ვერ წამოდგება“*.

ალ. როინაშვილი, სიტყვებთან ერთად, საქმითაც მოქმედებდა გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ის მრავალ პრაქტიკულ წინადადებას იძლევა 20-25 წლის წინად ბატონყმობის უღლიდან გამოსულ გლეხობის დასახმარებლად.

როგორც ცნობილია, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხობას მიეცა საშუალება უფრო დაახლოებოდა ქალაქს. სოფლიდან გასული, ვაჭრობაში და სხვა საქმიანობაში გამოუცდელი გლეხი ხელში უვარდებოდა მეჯღანუაშვილებს და ქალაქელ „აბლაკატებს“, როგორც მაშინ იტყოდენ ხოლმე. აი ეს „აბლაკატები“, ვაჭრები და მიკიტნები იყვნენ კონსულტანტები ქალაქში ჩასული გლეხისა. ამასთანავე, საჭირო იყო საუკუნოებით კარჩაკეტილ, სახნისსაკვეთელზე, ცელზე და ნამგალზე მიჯაჭვულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დაახლოება, ერთმანეთის გაცნობა და ერთიანი ეროვნული ინტერესებით გამსჭვალვა, რაც მარტო საეკლესიო დღეობებითა და ნათესაური დაკავშირებით არ ქმაროდა.

ა. როინაშვილის ნაწერებში გადარჩენილია ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, თუ როგორი საშუალებით ფიქრობდა გლეხობისადმი დახმარებას და სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დაახლოებას. საბუთს თუმცა დასაწყისი აკლია, მაგრამ ბოლოში მიწერილია შემდეგი სატყვები: „დიდათ პატივცემულო ილიკო“**, ჩვენი გლეხის სიყვარულთან რომ პატარა სიტყვითაც დაგვეხმაროთ, საშვილიშვილო ტაძარს დასდგამთო“. რა დახმარებას გულისხმობდა როინაშვილი, როდესაც ამას სწერდა დიდ ილიას? ის სთხოვდა: მას: გამოი-

---

*. როგორც ეს, ისე ზემოთ მოტანილი ამონაწერები ამოღებულია საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდიდან.

** ილია ჭავჭავაძე.

ყოს თანხა, რომელიც წელიწადში შემოიტანს 40.000 მ. სარგებელს. ხელშეუხებელი თანხის სარგებელი მოხმარდეს გლეხობას. „ამას თუ ასე მოაწყობთ თქვენ იქნებით მათი მხსნელი და უკვდავების ძეგლს დაიდგამთო. იმაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება, როდესაც თანხაც მთელი იქნება და სარგებელიც გაღარიბებულ გლეხობას მოხმარდებაო“.

როგორ ჰქონდა წარმოდგენილი როინაშვილს ამ თანხის მოხმარება? „ამ თანხიდან ქალაქში უნდა აშენდეს ,,საერო ანუ საგლეხო სახლი'', რათა თბილისში ჩამოსული გლეხები არ ჩაუვარდნენ ხელში ჩარჩ ვაჭრებს, არ იქნენ ,,უღმერთოთ გაბრტყვნილნი''- ,,ბევრ ჩვენ ნიჭიერ ახალგაზრდას ასცილდება ის ბოროტი საქმე და მრუდე გზა, რომელიც მათ უსაქმობის გამო ემთხვევათო''. ამისთანავე, ,,იგივე გლეხნი, რომელნიც ჩამოდიან ქალაქში საქმისათვის, იმ გარყვნილ მიკიტნებს ასცილდებიან და აღარ წახდებიან ზნეობით და ხასიათითო“.

„ამ სახლში სამი დიდი ოთახი შეიძლება მოეწყოს, რომ ჩამოსულ გლეხებს მიწის შემუშავებასა და სამეურნეო ცოდნას ასმენდნენ გლეხებს. ბოლოს ყველაზე საჭირო და სანეტარო ისაა, რომ დაგვაახლოვებს და გაგვაცნობს ერთმანეთსა. ეს სახლი შეგვასწავლის ეროვნულ საქმეს და ერთმანეთის სიყვარულს... აი, კნიაზო,— რამდენი სიკეთე მოყვება ჩვენს ერსა. მთავარი ისაა, რომ გლეხობას ხელიდან გამოაცლით ჩვენს მტრებსა და მკრეჭელებსა. დააარსებთ ისეთ ტაძარსა, რომლითაც დაცულნი იქნებიან ჩვენი გლეხნი გაბურდღვნისაგან და დაცემისაგან; ისევ ეს ტაძარი აამაღლებს მათ და დასცემს და მოხსნის ქერქს გლეხის შრომით ჩათქვირებულთ“...

ილიას მისამართით დაწერილ წერილში როინაშვილი გულისხმობდა, როგორც მიწის შესყიდვას გლეხების მიერ, აგრეთვე ისეთი სახლის აგებას საქართველოს ცენტრში, სადაც მათ უნდა მიეღოთ რჩევა-დარიგება სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, უმთავრესად კი სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე.

წერილის ავტორის აზრით, თბილისში ჩამოსულ გლეხებს უნდა მიეღოთ სამეურნეო ცოდნა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. ამ მიზნით ის ოცნებობდა ისეთ აგრონომებზე, რომლებიც კარგად გააცნობდნენ გლეხებს დედამიწის ძალასა და ძარღვს, ასწავლიდნენ მათ, თუ სად რა მოვა და სად რა სჯობია რომ დაითესოს, ე. ი. როინაშვილი მოითხოვდა თეორიულად და

პრაქტიკულად მომზადებულ აგრონომებს, გლეხების დამხმარე ინტელიგენტებს.

მისი აზრით, აგრონომების, ექიმების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დახმარება იმაში უნდა ყოფილიყო, რომ მათ შეეტანათ გლეხობაში სამეურნეო ცოდნა, ემკურნალათ მათთვის, გაეთავისუფლებიათ ისინი „აბლაკატებისა'' და ჩარჩ-ვაჭრებისაგან. მაგრამ, როინაშვილის აზრით, „საგლეხო სახლის'' მთავარი დანიშნულება მაინც ის იქნებოდა, რომ იქ „საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაკეტილი ადამიანები, მშრომელი გლეხები, ერთმანეთს გაეცნობიან, დაახლოვდებიან, ეროვნულ საქმეს შეისწავლიან". თუ რას გულისხმობდა როინაშვილი ამ შესწავლაში, ეს კარგად სჩანს ზემოდმოტანილ ილიასადმი მიწერილ წერილში. რასაც ამბობდა როინაშვილი, იმას საქმითაც აკეთებდა. თავის მოწაფეებს აახლოვებდა ერთმანეთთან, უნერგავდა მათ ძმობასა და მეგობრობას, აცნობდა წარსულს, უკითხავდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, დაჰყავდა ისინი თეატრში, რასაც დიდ როლს აკუთვნებდა იგი ხალხის განვითარების საქმეში. უფასოდ უგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს იმ სოფლებს, სადაც კი არსებობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სამრევლო სკოლა. მისი ხელი და დახმარება სწვდებოდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სკოლებსაც (მაგალითად ქ. კავკავში).

ალ. როინაშვილი ეძებდა გზებს გლეხების დასახმარებლად. ის ამ საქმეში ყველაზე მეტ როლს ინტელიგენციას აკუთვნებდა, მაგრამ ერთგვარ გულგატეხილობას იჩენდა ინტელიგენციისადმი: „ქართველ ერს რომ საქმიანი ინტელიგენცია ყავდეს, ამ საუკუნეში ათასჯერ მეტს გააკეთებდაო" ამბობდა იგი.

როინაშვილი გულისტკივილით შეჰყურებდა გლეხთა უძლურებას, როდესაც ათეული ათასი ჰექტარი საუკეთესო მამულებისა, თავადაზნაურების ხელიდან უცხოელების ხელში გადადიოდა. როდესაც „კანონის ძალით" უცხო ერის შვილები ყიდულობდენ ქართლ-კახეთის, შავი ზღვის სანაპიროების მამულებს, თვით ქართველი გლეხი კი იძულებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ან შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებულიყო და იქ მოეწყო მეურნეობა. მათ არავითარი საღსარი არ გააჩნდათ, რომ თვით საქართველოშივე შეესყიდათ ბარათაშვილების, ორბელიანების, ჩოლოყაშვილებისა და სხვა დიდგვაროვანი თავადიშვილების მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობით, სასამართლოს დადგენილებით „კანო-

ნიერი გზით" ხელიდან ეცლებოდა უმიწაწყლო გლეხობას და გა-
დადიოდა ანანოვების, ჯუჩერბახების და მისთანათა ხელში. ქარ-
თველ ერს ტერიტორია ეკარგებოდა, ეს კი თვითარსებობის მოს-
პობას უდრიდა. როინაშვილმა ამ დროს აიმაღლა ხმა, მოუწოდა
ინტელიგენციას მეტი გამბედაობა და ბრძოლის უნარი გამოეჩინა
მიწა-წყლის დაცვაში. კაპიტალისტურ სახელმწიფოში „ერთა საპ-
ყრობილეში" ის ეძებდა სიმართლისა და ეროვნული უფლებების
აღდგენის გზებს.

ჩვენთვის დღეს ცხადია, თუ რაოდენ გულუბრყვილო, მაგრამ
კეთილშობილი და ადამიანური იყო მისი მისწრაფება, მისი იდეა-
ლები. კიდევ დიდი დრო დასჭირდა მონარქისტული რუსეთის
გლეხობას მანამდის, სანამ ის მოიპოვებდა იმ უფლებასა და სიმა-
რთლეს, რომელსაც ასე შესტრფოდა როინაშვილი!

ალ. რობინაშვილის სკოლა-სახელოსნო

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, როინაშვილი უპატრონო, ობოლ და ხელმოკლე ოჯახის შვილებს, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თვითონ ეძებდა და ზრდიდა როგორც საკუთარ შვილებს. მის სკოლაში თავმოყრილი იყვნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: ქართველები, სომხები და დაღესტნელები. უღვიძებდა მათ ძმობისა და მეგობრობის გრძნობებს, ასწავლიდა ფოტოხელოვნებას და ზოგიერთს უმაღლესი სასწავლებლისათვის, სამხატვრო აკადემიისათვისაც ამზადებდა.

ჩვენ ხელთაა მისი მოწაფეების მოგონებანი საყვარელ მასწავლებელზე, სადაც იმდენი საინტერესო ცნობებია მოთავსებული, რომ საჭიროდ ვცანით მათი გამოყენება მცირე შემოკლებით.

ამ მოგონებებში, ყოველგვარ კომენტარების გარეშე, ნათლად ჩანს როინაშვილის სულიერი სახე, მისი სურვილი აღეზარდა ღირსეული ადამიანები ქვეყნისა და სამშობლოსათვის. ეს მოგონებანი დიდი ინტერესით იკითხება და საუკეთესო მასალას წარმოადგენს უმწიკვლო მოღვაწის ბიოგრაფიის გასაცნობად.

მკითხველის ყურადღებას, პირველ რიგში, მისი ნამოწაფარის ივანე გუნცაძის მოგონებაზე შევაჩერებთ.

„დაახლოვებით 1895 წელს დაბა სურამში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, საზაფხულოდ ჩამოვიდა ჩვენი უახლოესი ნათესავი იოსებ ნიჟარაძე ცოლ-შვილით, რომელიც მე ბიძად მომხვდებოდა. ბიძაჩემის სააგარაკო ოჯახში ხშირად იმართებოდა წვეულება. ერთერთ წვეულების შემდეგ სტუმრები აიშალნენ, ზოგი აივანზე გამოვიდა, ზოგიც ძირს ეზოში ჩავიდა, სადაც მეც ვიყავი. მოულოდნელად აივნიდან დედაჩემმა დამიძახა; მე ავედი. ბიძაჩემმა მომკი-

ალ. როინაშვილი თავის მოწაფეებთან

და ხელი და გამაჩერა ერთ ჩემთვის უცნობ კაცის წინ. უცნობმა ამხედ-დამხედა. მომცა რამდენიმე შეკითხვა, რის შემდეგ მიუბრუნდა ბიძაჩემს და გაიბა საუბარი. მე კი ისევ ძირს ჩავედი. როგორც იმ ღამეს დედაჩემმა მიამბო, ეს კაცი იყო ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი, თბილისიდან სააგარაკოდ ჩამოსული სურამში, ნიჟარაძის შვილების ნათლია. მას დავენახე ეზოში და ეკითხა „ეს ბავშვი ვისიაო“, ბიძაჩემს ეთქვა ჩემი ვინაობა, თბილისში სწავლობს, მამით ობოლიაო. მათ როინაშვილი დაჰპირებოდა: „ამ ბავშვს მე წავიყვან, ყველაფერს ვიკისრებ, ვასწავლი კიდეც და ისეთ საქმესაც შევასწავლი, ბოლოს მადლიერი დამრჩებაო“.

ეს იყო და ეს. გავიდა ზაფხული და როინაშვილთან ერთად გამოვუდექი გზას თბილისისაკენ, ასე და ამგვარად მოვხვდი როინაშვილის ოჯახში და ფოტოგრაფიაში, სადაც ამ დროისათვის მას ჰყავდა თხუთმეტი ახალგაზრდა, რომელთაც ასწავლიდა ფოტოგრაფიის საქმეს. მისი გაზრდილნი დღესაც ამ საქმეს ეწევიან და მითი ცხოვრობენ. მე იქ დამხვდნენ ვასო როინაშვილი, ალექსანდრეს ძმისწული, ორი ძმა ნორშტეინები, კახიანი, ბეგოიძე, ფირცხალავა, ხუნდაძე, ლაბაური, ლაზარიშვილი, ლორთქიფანიძე, ავეტისოვი, ორი ძმა კიდევ როინაშვილები, ფურცელაძე და სხვანი. ჩემი მოსვლის დროს ალ. როინაშვილს ჰქონდა ორი ფოტოგრაფია: ერთი ყოფილ ერევნის მოედანზე, თავისი ფირმით, მეორე-რუსთაველის გამზირზე, იქ სადაც ამჟამად ფოტოგრაფი ჭვანია მუშაობს. ამ ფირმას ერქვა „ამხანაგობა“.

სწავლასთან ერთად, მე დამაინტერესა ამ საქმემაც, რომელიც ჩქარა ავითვისე და შევძელი დამოუკიდებლად მუშაობა. როინაშვილმა შეიძინა მესამე ფოტოგრაფია რუსთაველის გამზირზე (ძველად გოლოვინის პროსპექტი) ყოფილი სასახლისა, ძველი ქართული თეატრის ეზოში ფირმა „რემბრანტი“, სადაც ფოტოგრაფიასთან ერთად მოათავსა თავისი ძვირფასი მუზეუმი, რომელსაც დაუთმო უზარმაზარი დარბაზი. ამ მუზეუმში როინაშვილს გარდაცვალების წინა თვეებში, ინგლისელმა დიდი თანხა აძლია. აი ამ ფოტოგრაფიაში, დაბინავდა ის და მეც მასთან ერთად ვხელმძღვანელობდი ამ საქმეს მის გარდაცვალებამდე.

მუზეუმის სანახავად აუარებელი ხალხი მოდიოდა, განსაკუთრებით ევროპიელნი; მათ მოყვებოდა თარჯიმანად ერთი დაბალი ჩოხიანი ქართველი კაცი. ამ მუზეუმის გარდა ალ. როინაშვილს ჰქონდა მეორე მუზეუმი. არ იყო საქართველოს ტერიტორიაზე

ძველი ციხე-ქალაქი, ეკლესია და მათი ნანგრევები, რომ მას არ ქონდეს გადაღებული, მათი ნეგატივებიდან ჰქონდა დაბეჭდილი უამრავი სურათები, თითო ცალი კი ჩაკრული დიდ ალბომში, თავთავისი წარწერით, საიდანაც მსურველს შეეძლო ამოერჩია ესა თუ ის სურათი. თუ მზად არ იყო, შეეძლო შეეკვეთა. ამ სურათებით დაინტერესებულნი იყვნენ იგივე ევროპიელნი, რითაც ეცნობოდნენ ჩვენი წარსული საუკუნეების ხუროთმოძღვრებას. მაინტერესებს ამ ნეგატივების და ალბომების ბედი, არის კიდევ თუ არა? ერთხელ კი მოვკარი ყური, ვითომ ქ. შ. წ. კ. საზ-ებას მიეცეს ვიღაც ფოტოგრაფისათვის, იმ პირობით რომ მას სამ-სამი ცალი დაბეჭდილი სურათები დაებრუნებია უკან მათთვის. საინტერესოა რა ბედი ეწია ნეგატივებს, ან ვის ხელში დარჩნენ ისინი?

ბევრი მგზავრობა ჩაუტარებია ა. როინაშვილს ამ ძველი ციხე-ქალაქების გადასაღებად. წამოკიდებდა ზ. ლაბაურს აპარატს და თვეობით დადიოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში, რითაც მან ფასდაუდებელი განძი დაუტოვა ქართველ საზოგადოებას. მე იმ დროს თითქმის ბავშვი ვიყავი, ისე ფხიზლად არ შემეძლო მეაზროვნა ყველა ამის გარშემო და არც ამ ადამიანის შეფასება შემეძლო, მაგრამ რამდენი წამოვიზარდე და მისი გარდაცვალების შემდეგაც ვიგონებდი მის დაუღალავ მოქმედებას, ჩემ თვალწინ აღიმართებოდა ხოლმე ყოვლად პატიოსანი მშრომელი, დიდი ქართველი პატრიოტი, მოყვარული და პატივისმცემელი თავისი ერისა და სამშობლოსი, რომლის შემოსავლის უმეტესი ნაწილი ხმარდება საქველმოქმედო საქმეებს: შველოდა გაჭირვებულთ, ეხმარებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობას, აწყობდა და ხელს უწყობდა წიგნებით და, სხვა ნივთებით სამკითხველოების გახსნას და თავის ორმოცდაათი წლის სიცოცხლის მანძილზე ყველა შესაძენი და დაგროვილი სიმდიდრეც ამავე საქველმოქმედო საქმის მესვეურთ და ხელმძღვანელთ უანდერძა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

უახლოეს ნათესავებს, განსაკუთრებით კი ვასო როინაშვილს, როგორც ნიჭიერსა და კარგ ახალგაზრდას, დიდ დახმარებას უწევდა. ვასოს მუსიკაზე დაკვრის გარდა, დააწყებინა ფრანგული ენის სწავლება, რადგან ფიქრობდა მის წაყვანას ევროპაში. სადაც ის აპირებდა მოგზაურობას თავისი მუზეუმით.

ამ მუზეუმის ნივთების მოგროვებაშიაც ბევრი წვალება და მოგზაურობა ჩაუტარებია ა. როინაშვილს. საიდან სად არ და-

ტიოდა? განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო დაღესტანის, თემირ-ხანშურის. ძალიან მაქვს სურვილი გრძელი მანძილის შემდეგ ერთი კიდევ გადამავლებინა თვალი ამ ნივთებისათვის.

ალ. როინაშვილის ბინაზე ფოტოგრაფია „რემბრანტში" ხშირად იმართებოდა კრებები გრძელის სუფრის გარშემო, ვითომდა წვეულების მიზნით, სადაც იკრიბებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ძმები ყიფშიძეები, რცხილაძე, დ. კარიჭაშვილი, ფ. კარბელაშვილი, რ. ერისთავი, მამაცაშვილი, მაჩხანელი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ალ. როინაშვილი ძალიან მოწადინებული იყო ქართველ ახალგაზრდობაში გაევრცელებინა ფოტოგრაფიის ცოდნა. ის ხშირად გვესაუბრებოდა მთვარიან ღამეში, ვახშამს რომ შემოუსხდებოდით ხოლმე ეზოში: სწავლა ყველაფერია, მაგრამ ევროპაში პროფესორი არ არის, რომ რაიმე ხელობა არ იცოდესო. ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის, თქვენც ეცადეთ თქვენი ცოდნა ერთმანეთს გადასცეთ. უყვარდა თეატრში სიარული და ჩვენც ხშირად დავდიოდით: „თეატრი იგივე სკოლა არისო" ამბობდა ხოლმე და რომელი ჩვენგანი არ წავიდოდა და არ დატკბებოდა მაშინდელი მსახიობების თამაშით, სადაც გამოდიოდნენ საუკეთესო ძალები: მესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვალერიან გუნია, ვ. აბაშიძე, ქალებიდან: ავალიშვილი, გაბუნია, ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი და სხვანი.

ასე და ამგვარად ვატარებდით დროს, ვცხოვრობდით, ვსწავლობდით და ვადექით განვითარების გზას ამ ფრიად პატიოსანი ქართველი ადამიანის ოჯახში. საუბედუროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი, განსაკუთრებით ჩემი, ცხოვრება მის ოჯახში. ერთ საბედისწერო ზაფხულის დღეს ყველანი სადილად ვისხედით, ა. როინაშვილი ცუდად გახდა, შევიყვანეთ და დავაწვინეთ, მაგრამ ის ლოგინიდან აღარ ამდგარა, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა. გარდაიცვალა ჩუმი მშრომელი და პატიოსანი ადამიანი. გულით და სულით ნამდვილი მამულიშვილი, რომლის ნეშტი ქართველმა საზოგადოებამ, დიდის ამბით, დაკრძალა დიდუბის ეკლესიის ეზოში, რის შემდეგაც მიჩუმდნენ ყველანი მის გარშემო, რითაც გულისტკივილს განვიცდიდით ყველანი მისი უახლოესნი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამავე საზოგადოებამ ჩაიბარა მთელი მისი ქონება, მათ შორის ოცი ათასი მანეთი, რომლითაც განსვენებული ქოფილა დაზღვეული.

ჩვენ ყველანი გავიფანტენით, როგორც ბუდეანგრეული ფრინ-

ფელები, ზოგი ამ საქმეს გაჰყვა, ზოგმა სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი, ზოგი ამ გრძელ ჟამთა მსვლელობაში გარდაიცვალა, ზოგი კი დღესაც ცოცხალია, მათ შორის ამ მოკლე მოგონების ავტორიც".

მისმა მეორე მოწაფემ ფოტოგრაფმა ი. ფურცელაძემ შემდეგი მოგონება გადმოგვცა:

„ალ. როინაშვილთან სწავლა დავიწყე 1890 წელს. ორი წლის შემდეგ დაღესტანში წავედი მის მოწაფე ი. აბულაძესთან, იქ რამდენიმე ხანს ვიმუშავე. როდესაც თბილისში დავბრუნდი, როინაშვილს ხშირად ვნახულობდი და მის ფოტოგრაფიასთან კავშირი არ გამიწყვეტია.

ა. როინაშვილს ჩემს მახსოვრობაში თანაშემწეებად ჰყავდა ილია აბულაძე, ერთი ფრანგი, გვარად ტედეოსი, ნაბერეჟნი (რეტუშორი), ხუნდაძე გიორგი, ემჩინოვი დიმიტრი, ანთაძე იოსები, კორინთელი ვანო. შეგირდებად ჰყავდა ვ. როინაშვილი, გამსახურდია, იოსავა, გუნცაძე ვანო, ფირცხალაური ნიკო, ლაბაური ზაქარია და სხვები.

სასმელ-საჭმელი შეგირდებისათვის და ფოტოგრაფებისათვის იქვე კეთდება. მზარეულად ლეკი ჰყავდა, ერთი ლეკიც ლაქია იყო. ერთიც და მეორეც პატარაობიდანვე მისი გაზრდილი იყო. როდესაც როინაშვილი მოკვდა, ისინი ლეკეთში არ წასულან. სულა ბიჭი-ოღლი შემდეგ მოინათლა და დაიწერა ბიჭიკაშვილად. „მე რა მინდა დაღესტანში, ქართველის ოჯახში გავიზარდე, მეც ქართველი ვარო". როინაშვილი ისე კოხტად აცმევდა მათ ჩოხა-ახალუხს, მესტებს, რომ უკეთესი არ შეიძლება, თვითონ კი ევროპულად იცვამდა. მის მიერ შეკრებილ არქეოლოგიურ ნივთებს ბევრი მნახველი ჰყავდა. ჩემსობას საფრანგეთის ერთი რომელიღაც საზოგადოება შეევაჭრა, გარდა ფოტოგრაფიული სურათებისა, როგორც მაშინ ამბობდნენ, ორასი ათასი მანეთი შეაძლიეს. „რა ოხრად მინდა ფული, ჩემი ქონება ჩემს ქვეყანას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა დარჩესო"—ყველას ასე უპასუხებდა."

მეტს აღარ გავაგრძელებთ მოგონებების მოტანას. ვფიქრობთ, თქმულიც საკმარისია როინაშვილის მოღვაწეობისა და ადამიანური სახის გასაცნობად. მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთ ისეთ ცნობაზე შევაჩერებთ, საიდანაც ნათელი გახდება ის თუ რა ნაყოფი გამოიღო მისმა აგიტაციამ ეროვნული მუზეუმის აგების საქმეში.

ერთ-ერთი პირი,რომელსაც როინაშვილის მოწოდების შედე-

ᲒᲐᲓ ᲐᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲣᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲔᲓᲠᲝᲝᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐ ᲐᲚᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲰᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ; ᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲪᲐ, ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲠᲐ: „ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲠᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲘ ᲨᲔᲰᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲔᲑᲘᲗ ᲔᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕ ᲢᲐᲫᲐᲠᲡ. ᲐᲘ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕ ᲔᲗᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲛᲐ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲠᲝ ᲘᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲠᲔ ᲣᲨᲘᲨᲐᲠ ᲐᲚᲐᲒᲡ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ, ᲛᲔ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲨᲔᲕᲔᲬᲘᲕᲘ ᲜᲐᲦᲚᲐᲓ ᲤᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲐᲡ, ᲛᲘᲕᲪᲔᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲩᲔᲛᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲔᲫᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲛᲓᲘᲓᲠᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲝ“*. ᲪᲮᲐᲓᲓᲘᲐ, ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲘ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲪᲚᲝᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲪ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲔᲪᲐᲠᲛᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲣᲡᲬᲠᲝ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲯᲐᲜᲚᲝᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ. ᲘᲛ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲛ ᲚᲡ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲤᲔᲠᲘᲓᲐᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲐᲰᲑᲐᲡᲛᲐ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲬᲝᲓᲔᲑᲐ. ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ Ზ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲪᲜᲝᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲐᲚᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ. ᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮᲕᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲕᲚᲝ ᲔᲚᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲔᲚᲝ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲓ.

ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲰᲙᲐᲠ�გᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲝᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘ-

---

* ᲘᲮ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1898 Წ. № 104

ლზე, რომლის ბინაშიაც თავშესაფარს პოულობდნენ საქვეყნო საქმის მრავალი მოჭირნახულენი.

როგორც მასალების შესწავლიდან ირკვევა როინაშვილის საკოლექციონერო მოღვაწეობას საგრძნობი გავლენა მოუხდენია ჩვენს მოღვაწეებზე. ერთ-ერთ თავის წერილში იაკობ გოგებაშვილი სწერდა იონა მეუნარგიას: „გიგზავნი სახსოვრად შენ და შენს ახლად გაცნობილ მეუღლეს ჩემს პორტრეტს, რომელიც რამდენიმე დღის წინეთ გადავიღე იმ პირობით კი, რომ თქვენი პორტრეტები გამომიგზავნოთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახლა მე ვაგროვებ კოლექციას ქართველი ინტელიგენტების პორტრეტებისას... თვითნიერ თქვენი პორტრეტისა, ჩემი კოლექცია სრული არ იქნება. ძალიან კარგს იზამთ, თუ რამდენიმე დღეს დარჩებით თბილისში და როინოვს გადააღებინებთ პორტრეტებსა“. (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1, გვ. 232). თვით ივ. როსტომაშვილმაც ხომ როინაშვილისაგან შეისწავლა ფოტოგრაფიული ხელობა, მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და მცხოვრებთა ტიპების გადაღება და შემდეგ ალბომად გამოცემა. ნაწილობრივ კიდევაც შეასრულა მან ეს განზრახვა.

ა. როინაშვილი ამაყობდა თავისი გლეხური ჩამომავლობით მისი ფიქრები მუდამ თავს დასტრიალებდა გლეხობას. ის სულ იმის ცდაში იყო, რომ განათლება შეეტანა გლეხობაში. ამ მიზნით სცემდა ღია ბარათებსა და პატარ-პატარა წიგნებს, ავრცელებდა ხალხში. სხვათა შორის მისი გამოცემულია მაჩხანელის „ძმური სიტყვა“, რომელიც სრულიად უფასოდ დაურიგდა გლეხობას.

1895 წელს ქართველმა ხალხმა აღნიშნა კრწანისის ტრაგიკული ბრძოლის 100 წლისთავი. კრწანისის მინდორზე გადახდილ იქნა პანაშვიდი იმ პირთა მოსაგონარად, რომლებმაც თავი დასდეს აღამახმადხანის ველური შემოსევის დროს გაზ. „ივერია“ წერდა: „11 სექტემბერს კრწანისის ველზე შეიკრიბა მრავალრიცხოვანი საზოგადოება... ჩვენმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე როინაშვილმა დაბეჭდა ორასი სურათი მეფე ერეკლესი, რომელიც იქვე პანაშვიდის დროს დაურიგა თუშ-ფშავ ხევსურებს. აქვე დარიგდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ამდროისათვის გამოცემული ერეკლეს გლოვა, ხალხური ლექსი „აღსდექ გმირთ-გმირო“. როინაშვილის წყალობით სხვა ისტორიული პირების სურათებიც ბლომად შევიდა ქართველი ღარიბი ინტელიგენციისა და გლეხების ოჯახებში.

ალ. როინაშვილის გარდაცვალება

ვასო როინაშვილის მოგონებაში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „1898 წელს ალექსანდრემ გადასწყვიტა სისრულეში მოეყვანა თავისი დიდი ხნის გადაწყვეტილება: თავის სამშობლო დუშეთში გაეხსნა სამკითხველო. ამისათვის შეუკვეთა მაგიდები, სკამები, შეიძინა საკმაო რაოდენობით ქართული და რუსული წიგნები და წინასწარ გამოგზავნა დასალაგებლად სამკითხველოსათვის გამოყოფილ ბინაში.

ნივთების გამოგზავნის მეორე დღეს მივიღე დეპეშა თბილისიდან, რომლითაც მატყობინებდნენ, რომ ალექსანდრე უკანასკნელ დღეშია და წამოდიო. მაშინვე შევამბეინე „ტროიკა“ და გამოვეშურე. ბაზალეთის ტბას რომ დავუპირდაპირდი, კობიანთ კარის ზემოთ, შემხვდა ორი ფურგუნი დატვირთული საბიბლიოთეკო ნივთებითა. ვკითხე როდის წამოხვედით-თქო. გუშინ შუადღისასო. ბიძაჩემის ჯამრთელობა ვკითხე—მიპასუხეს—თვითონ გვეხმარებოდა დალაგებაშიო, სრულიად კარგად დავტოვეთ და შენთან დაგვაბარა ეხლავე დაალაგე სამკითხველოშიო. როგორც გამოირკვა მათი წამოსვლიდან სამი საათის შემდეგ, სადილობის დროს, უიცრივ გამხდარა ავად, რამდენიმე საათის შემდეგ გარდაცვლილა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ნეტავი კაცმა იცოდეს როდის მოკვდებაო“.

ალ. როინაშვილის გარდაცვალებამ (1898 წ. 11 მაისს ძველი სტილით) ქართველ ხალხში გულწრფელი მწუხარება გამოიწვია. ქართულმა და რუსულმა გაზეთებმა ერთხმად აღნიშნეს მისი დამსახურება.*

---

* იხ. ჟურ. „მწყემსი“ 1898, № 9 და 10, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ 1898 № 4634, 4932. გაზ. ტიფ. ლისტოკ“ 1898, № 11, 115, „ივერია“ 1898, № 101, 102, 105, „კვალი“ 1898, № 21 „კავკაზ“ 1893, № 125.

„განუსაზღვრელ მწუხარებაში ჩაბაგდო ალ. როინაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ, საუკუნო იყოს ხსენება და კურთხევა უანგარო მოღვაწისა“,—დეპეშით ატყობინებდა გაზ. „ივერიას“ პროფ. ა. ხახანაშვილი მოსკოვიდან.

ჟურ. „კვალი“ წერდა: „მისმა სიკვდილმა დიდათ შეაწუხა მთელი ჩვენი საზოგადოება. აუარება ხალხი დაესწრო მის გამოსვენებაზე. იგი არ იყო ხარისხოვანი, ბრწყინვალე ჩამომავლობისა, იყო მხოლოდ უბრალო გლეხი, უგროშოდ ჩამოსული თბილისში: თავის მეცადინეობით გაიგნო გზა. მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა ჩვენებურ სიძველეთა ძებნასა და შეძენას: მას მოვლილი ჰქონდა თითქმის მთელი საქართველო. სადაც შესანიშნავ ნაშთს ნახავდა, ფოტოგრაფიით იღებდა“. შემდეგ ჩამოთვლილია თუ რა გაუკეთებია მას თავის სიცოცხლეში და ბოლოს ნათქვამია: „ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი თავის ნაშრომს და არა მამაპაპეულს ხარჯავდა ხოლმე, ხშირად თავისთავს აკლებდა და გაჭირვებულს კი ხელს უწყობდა. მან გამოზარდა ახალგაზრდობა, რომელთა რიცხვი ნამდვილად ჯერაც არ ვიციოთ“.

დიდი ილია წერდა: „რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა მის საფლავზედ უკანასკნელის პატივსაცემად, მისი გვამის გასაპატიოსნებლად. იქ იყო ყველა წოდების კაცი თუ ქალი, ყველა ხარისხისა, ყველა ხელობისა, ერთნაირად მწუხარე და მგლოვიარე. მას არა ჰქონდა არც დიდი გვარი, არც ხარისხი რამ სახელმწიფო მოხელისა, არც სწავლა, არც არა-რა იმისთანა თვალად გამოსაჩენი და გარედამ მიკერებული ღირსება. იგი იყო უბრალო გლეხკაცის შვილი, შვილი ღარიბის, ღატაკის ოჯახისა, უმწეო, უნუგეშო, უსწავლელი. ვამბობთ უსწავლელი, თუმცა სკოლაში ყოფილა, მაგრამ იმისთანა სკოლაში (ვოენი კანტანისტების სკოლა), სადაც უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდეს. ეგრე გარედამ ხელშეუწყობელი როგორ გახდა იმისთანა კაცად, რომ დღეს მისი დაკლება ქვეყნის დასაკლისად მიგვაჩნია?

სახელი და საქები ის არის, რომ იგი თავისის შინაგანის ღირსებით გახდა ამისთანა კაცად, მაშინ როდესაც ყოველი გარემოცული გარემოება ამ ულმობელი წუთის-სოფლისა მისი შემხუთავი და მომწყვლელი იყო. იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თავისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, გლეხია თუ

თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკან დაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა.

მან არარაისაგან შეჰქმნა საქმე, არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელშეუწყობელს გარემოებას. მაგალითი ხომ ყველა ქადაგებაზე ძლიერია და მჭერმეტყველი და აი მაგალითი ძლევამოსილობისა, როცა გასჯა და მხნეობა იბრძვის და გული ჰგულობს ადამიანისა„.

დასაფლავების დროს წარმოთქმულ სიტყვებში აღსანიშნავია სიტყვა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრის ივ. რატიშვილისა: „...შენ არ გიკაფავდა ცხოვრების გზას არც ბრწყინვალე დიდი გვაროვნება, არც მაღალხარისხოვანი მოწმობა დიდი სწავლა-განათლებისა, არც ის თვალთმაქცობა, რომლის წყალობითაც ბევრი მოხდენილი და ცქვიტი ახალგაზრდა ვაჟბატონი მარდად ადის ხოლმე საზოგადოებრივს უმაღლეს საფეხურზე...

შენი სადგომი შესაკრებელი იყო ჩვენის საზოგადოების უკეთეს წარმომადგენლებისა და იქ იმართებოდა საუბარი ჩვენის ქვეყნის ზრუნვისათვის, მისის ჭირ ბოროტის საწინააღმდეგოდ გამკლავებისათვის; იგივე შენი სადგური, სავანე იყო, სასწავლებელი იყო, სადაც იწვრთნებოდენ მთელი დასი ახალგაზრდობისა. შენ თითონ იყავ მათი მწვრთნელი, შენა ჰზრუნავდი გულითა მხურვალითა, რომ მოგემზადებინა იგინი ღირსეულად ცხოვრების სასახელო სარბიელისათვის.

შენი გული სიყვარულით იყო აღსავსე და საგანი ამ სიყვარულისა იყო შენი მშობელი ქვეყანა. გიყვარდა მისი წარსული, სიყვარულითა შრომობდი მისის აწმყოსა და მომავლისათვის.

ჩვენის წარსულის ნაშთების მიხედვით და ფოტოგრაფიულად გადაღებით საპატიო ღვაწლი დასდე ჩვენის წარსულის შესწავლას. ჩვენის წინაპრების ნაღვაწევ, ნაჭირნახულევ ნივთების მოპოვება, მათი ერთგულად მოვლა-დაცვა შეადგენდა შენს მხურვალე გულის წადილს. არც ცუდად ჩაუვლია ამ შენს წადილსა და მეცადინეობას: დღეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დარჩა შენგან დაარსებული მუზეუმი ძველის ნივთებისა და იგი „საზოგადოება“ ერთგულად მოუვლის ამ შენს კეთილ სახსოვარს“.

ივ. რატიშვილის სიტყვით მთელს საქართველოში „წერა-კითხვის საზოგადოება“ ერთადერთი საზოგადოებაა, რომელსაც შესცქერის მთელი ამიერი და იმიერი საქართველო, მაგრამ ამ საზოგადოებისათვის შრომობს მეტად მცირე რაზმი“.

პროვინციებიდანაც იყო გამოთქმული მწუხარება და შეწუხ-
დება, რომ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება იმედია „პირნათლად შეას-
რულებს იმ ამოცანებს, რომელზედაც განსვენებული ოცნებობდა
მთელ თავის სიცოცხლეში და ამით სამუდამოდ უკვდავჰყოფს ქარ-
თველთა გულში როინაშვილის სახელსო.“

ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ების 1898 წლის ანგარიშში ვკითხულობთ:
„როგორც მოგეხსენებათ, წიგნებისა და ხელთნაწერების გარდა
საზოგადოებას ჰქონდა კარგა ბლომად ძველი ფულები, სურათები
და არქეოლოგიური ნივთები და ამნაირად საზოგადოების წიგნთ-
საცავი წარმოადგენდა მუზეუმს, სადაც იკრიბებოდა ყოველნაირი
ნაშთი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა. საანგარიშო წელს კი ეს
წიგნთსაცავი ნამდვილს მუზეუმად გადაიქცა, რადგან მთელი არქე-
ოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია განსვენებულის ალ.
როინაშვილისა, როგორც სხვა ყოველივე მისი შეძლება, შეიქმნა
საკუთრებად საზოგადოებისა“.

წერა-კითხვის საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩაებარებინა სა-
ზოგადოების წლიური კრებისათვის, რომლის ოქმში აღნიშნულია
შემდეგი: „11 მაისს გასულის 1898 წლისა გარდაიცვალა საზოგა-
დოების წევრი, ცნობილი თავისი ქველმოქმედებით და სიძველეთა
სიყვარულით ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი, რომლისაგა-
ნაც გამგეობას ჰქონდა გადმოცემული პირი 1886 წლის შედგენი-
ლის ანდერძის ქაღალდისა. ამ ანდერძით როინაშვილი უტოვებდა
ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ებას თავის ფოტოგრაფიას, მთელს თავის არ-
ქეოლოგიურს კოლექციას და საზოგადოდ, ყოველს თავის ქონებას,
რაც კი მისი სიკვდილის დღეს აღმოჩნდებოდა“.

შეიტყო თუ არა გამგეობამ გარდაცვალება ალ. როინაშვილი-
სა, მაშინვე მიიღო ზომები მისი ქონების დასაცავად. სთხოვა ობოლ-
თა სასამართლოს, განკარგულება მოეხდინა ქონების ასაწერად და
დაენიშნა ამ ქონების მეურვედ საზოგადოების მდივანი დ. კარი-
ჭაშვილი.

განსვენებულის დამარხვა გამგეობამ თვითონ ითავა და ღირ-
სეულადაც მიაბარა მიწას დიდუბის ეკლესიის ეზოში, რისთვისაც
გადახდილ იქნა ეკლესიის სასარგებლოდ სამასი მანეთი.

ობოლთა სასამართლომ, თანახმად გამგეობის თხოვნისა, როი-
ნაშვილის ქონების მეურვედ დანიშნა საზოგადოების მდივანი კ.
კარიჭაშვილი. ამნაირად გამგეობა შევიდა ნაანდერძევი ქონების
მფლობელობაში თითქმის როინაშვილის სიკვდილის დღიდანვე.

გამგეობის რჩევით' შეურევემ განაგრძო ფოტოგრაფიის საქმიანობა და შეუცვლელად დატოვა ფოტოგრაფიის მართვა-გამგეობაში ის წესი, რომელიც არსებობდა განსვენებულის როინაშვილის ხელში.

დარჩნენ ისევ ის მოსამსახურე პირნი და უფროსობა მათ შორის და საქმის გაძღოლა ჩააბარა ისევ იმ პირს, რომელიც როინაშვილის დროსაც უფროსობდა და უძღვებოდა საქმეს. ეს იყო განსვენებულის ძმისწული ვასილ როინაშვილი.

მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესოა იცოდეს თუ რა მოუვიდა იმ სიმდიდრეს, რომელიც როინაშვილმა დაუტოვა ქართველ ერს? ჯერ კიდევ ოთხმოცდახუთიან წლებში ბევრი უცხოელი ევაჭრებოდა როინაშვილს, დიდ თანხასაც აძლევდნენ ამ სიმდიდრეში, მაგრამ როინაშვილი ყველას უარით ისტუმრებდა. როინაშვილის გარდაცვალების შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებასაც რამდენიმე პირმა მისცა წინადადება „ხომ არ გაჰყიდით მუზეუმს ერთიანად ან ნაწილ-ნაწილადო". საზოგადოების ხელმძღვანელობამ უარი უთხრა ყველას და ხელუხლებლად დატოვა მუზეუმი, ხოლო ორ ალაგას მშვენიერად მოწყობილი ფოტოგრაფია საზოგადოებამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა. პირველ ხანებში გამგეობა რიგრიგობით იწვევდა ფოტოგრაფიის გამგეებს, შემდეგ იჯარით მისცეს ვიღაც ვაჭრებს. დაიწყო ძვირფასი აპარატების და მოწყობილობების დატაცება. პრესაში და საზოგადოების წლიურ კრებებზე ხშირად იმართებოდა კამათი ამის შესახებ. თითქმის ყველა ურჩევდა გამგეობას, თავი გაენებებიათ ფოტოგრაფიისათვის.

შექმნილ მდგომარეობას კარგად აუღო ალღო ნიჭიერმა და მოხერხებულმა კოლექციონერმა ფოტოგრაფმა დ. ერმაკოვმა. ალ. როინაშვილის გარდაცვალების შვიდი წლის თავზე ერმაკოვმა ხელში ჩაიგდო მისი ფოტოარქივი*.

1905 წელს როინაშვილის ფოტოგრაფია დაიხურა. გაძარცვას გადარჩენილი აპარატები ნაწილ-ნაწილ გაიყიდა, ხოლო სამუზეუმო ექსპონატები ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ სხვა მუზეუმების ექსპონატებს შეუერთა. ვინაიდან ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა

---

*. დ. ერმაკოვი სხვა ფოტოგრაფებიდანაც ყიდულობდა მისთვის საინტერესო ნეგატივებს და თავის კოლექციას უერთებდა. ის დადიოდა როგორც კავკასიის სხვადასხვა ადგილებში, ისე მახლობელ ქვეყნებში და იღებდა დიდძალ ფოტოსურათებს. ერმაკოვის გარდაცვალების შემდეგ მისი ფოტოგრაფია შეისყიდა საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ.

აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის, უცვლელად ვაქვეყნებთ დამატებაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამუზეუმო კომისიის ცნობებს ქართული ეროვნული მუზეუმის შესახებ*.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არსებული მუზეუმის კოლექციები მათ შორის როინაშვილისაც შეერთებულ იქნა, რის შედეგად შეიქმნა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

დღეს, როდესაც შევდივართ დუშელი გლეხის ამ საოცნებო „საერო სახლში“ და შევყურებთ კედლებიდან მომზირალ ჩვენს სათაყვანებელ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, როდესაც ალბომებში ვსცნობთ ჩვენი წარსული დიდების ნაგებობებსა და ნანგრევებს, ვიტრინებში ვხედავთ ამ ნაგებობათა მშენებელ ჩვენი წინაპრების ნივთებსა და საგნებს, გული კმაყოფილებით გვევსება, კარგად ვგრძნობთ ამ საერო სახლის ერთ ერთი ფუძემდებლის და მოღვაწის ამაგს. ამის შემდეგ არ შეიძლება ერთხელ მაინც არ მივიდეთ ქართველ მოღვაწეთა დიდების პანთეონში და მუხლი არ მოვიყაროთ მის საფლავზე აღმართულ იმ ძეგლის წინაშე, რომელზედაც მადლიერმა ერმა ასეთი წარწერა გაუკეთა: „სამაგალითო ქველმოქმედს და ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს ალექსანდრე როინაშვილს“.

---

*. იხ. დამატება.

ᲓᲐᲛᲐᲤᲔᲑᲐ

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲠᲥᲘᲕᲝ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲐᲓ. ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

Ა) ᲒᲐᲮ. „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ Ა. ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲖᲔ

Ბ) ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘ

Გ) ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲖᲔᲣᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲘ ᲓᲐᲜ.

А. С. РОЙНОВ

Нравственная ценность человека познается тогда, когда его не стало. При жизни многое делалось не напоказ, ко многому привыкал глаз окружающих, много не замечал он, по своему равнодушию. А умрет человек, иссякнет живая сила, и цветущие сады его добрых дел начинают увядать; тогда сразу видно, кого потеряло общество, сразу видно, что оно должно делать, чтобы не погибли всходы, посеянные энергичною, любвеобильною рукой...

Тяжкую утрату понесло наше общество в лице Александра Соломоновича Роинова. Этот сын народа воздал народу сторицей, из скромного поприща своего сумел сделать глубокий, светлый источник добра в жизни общественной и личной. Перед его недвижным прахом есть над чем призадуматься...

А. С.—сын бедных, простых крестьян, живущих в гор. Душете - родился в 1846 году и первоначальное образование получил в школе военных воспитанников при бывшем грузинском линейном № 27 батальоне, в штаб—квартире Ананур. В 50-х годах его отвезли в Тифлис к родственнику, протоиерею Цамциеву, который определил его учеником к известному тогдашнему фотографу Хламову С любовью изучая свое ремесло, юноша пристрастился к собиранию древностей и к археологии, к которой обладал редкими природными способностями и, если можно так выразиться, чутьем.

Сделав множество снимков с грузинских святынь-монастырей, с древностей Тифлиса и его окрестностей и собрав значительную коллекцию местных видов, он отправился в Дагестан, где пополнил эту коллекцию обильным вкладом, ценным в этнографическом и археологическом отношении. Со своими коллекциями он ездил в Москву и Петербург, где показывал свой „передвижной" кавказский музей. Глубокое, хотя и инстинктивное понимание им этнографии и археологии привлекло особое внимание соответетвенных ученых обществ, которые и предложили ему звание члена, воздав должное его немалым обществ, заслугам перед отечественной наукой. По поручению этих

он совершал потом разные специальные поездки с научной целью. Последние лет десять он жил почти безвыездно в Тифлисе, на месте пополняя свои коллекции и держа две фотографии, которым придал вместе идейное и научное значение, прекрасно выполняя портреты выдающихся местных деятелей и собирая типы.

Ни одно доброе общественное дело не обходилось без его участия: словом, работой и деньгами он содействовал сохранению памяти о прошлом и усовершенствованию настоящего. Особенно горячо заботился он о народном образовании и еще на днях положил начало открытию в своем родном городе Душете бесплатной читальни.

Будучи типичным пламенным грузином, он не замыкался в узком национализме и горячо сочувствовал русскому переселенческому делу и жертвовал в пользу пострадавших от неурожая во внутренних губерниях. В последнее время он мечтал об открытии историко-археологического музея грузинских древностей. Он был членом всех местных обществ, посвященных целям просветительным и благотворительным Этот самородок, более богатый независимою творческой мыслью, нежели систематичными знаниями, отличался глубоким пониманием местных условий, скорбел о тяжком экономическом и духовном состоянии своей народности и каждая минута его жизни была посвящена возвышенным думам о благе земляков...

Не менее поучительна картина его личной жизни, глубоко проникнутой человеколюбием. Его мастерская была школой в специальном и нравственном смысле. Его помощники и ученики были его ДЕТЬМИ. Семнадцать человек жило у него дружною семьей; из них двух старших, троюродных племянников своих г. г. В. Роинова и Т. Момцемлидзе он уже почти вывел в люди; заметив в них недюжинные художественные способности, он сделал все для их развития и собирался отправить в академию художеств, из младших он, паралельно с обучением фотографии, одних содержал в разных школах, других готовил к ним. И в частной жизни он весь принадлежал ближним, во имя любви, не знающей предела... Проникнутой заботой о просвещении народа, он все свое состояние (повидимому, доволь-

но значительное) завещал обществу распространения грамотности среди грузин. Незадолго перед смертью он собирался изменить это завещание не столько относительно назначения своего имущества, которое он предназначил для просветительных целей, сколько относительно порядка распоряжения им. В частности, как это известно многим его друзьям, он был озабочен судьбою своей фирмы и своих питомцев и мечтал о том, что первая сохранилась в теперешнем виде, а вторые доучились до конца. Смерть пресекла его благородные мечты..

Перед отверстою могилой этого достойного человека первым является вопрос о том, как почтить его память, как проявить любовь к тому, кто покинул нас навеки. Ответ ясен: сделать так, как он сделал бы сам, если бы был жив. Его завещание, юридически оформленное, решает общественную сторону дела. Но общество грамотности, если в нем есть „душа жива", не может забыть о личной жизни и сердечных стремлениях своего благотворителя: необходимо сохранить ДЕЛО, поставленное покойным на значительную высоту, необходимо позаботиться о тех, кто был ему дорог, надо не дать разориться ГНЕЗДУ.

Наконец, с этим связана и прямая выгода того же общества: фотография А. С. Роинова представляет собою вполне налаженное специальное дело, у которого стоят привычные работники; общество может оставить дело в их руках, получая доход, который бы скоро иссяк, если бы условия работы изменились в неблагоприятную сторону. Но главное, чему должна быть посвящена забота общества—это поддержание в возможно большей полноте духовной личности покойного, после того, как прах превернулся в прах. Этим будет да наилучшая оценка его бескорыстной работе на разных поприщах; этим укрепится и возвеличится главное, чем возвышенна и сильна человеческая жизнь и чем поучительна смерть: идея бессмертного Добра.

В.

„Кавказ" 1898 г. № 125.

როინაშვილის დღიურებისა და ეთნოგრაფიული ჩანაწერების ნაშთები

ალ. როინაშვილის დ. ბაქრაძისადმი გაგზავნილი წერილი რომელიც ზევით მოვიტანეთ, გვიმტკიცებს, რომ, როდესაც ის დაღესტანში მოგზაურობას შესდგომია, ნივთების შეგროვებასა და ხედების გადაღებასთან ერთად დაუწყია დღიურების წერა და ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერების შეგროვება. ამ დღიურებისა და ეთნოგრაფიული ჩანაწერების დიდი ნაწილი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, შემდეგში შესაძლებელია სხვადასხვა არქივების საქმეებში აღმოჩნდეს.

ეტყობა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომისიამ როდესაც ჩაიბარა ა. როინაშვილის ქონება, ყური არ უგდო საარქივო მასალა-დოკუმენტებს. მაშინ არავის უზრუნია დოკუმენტების მოწესრიგებაზე; ხოლო, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების ქონება სხვადასხვა არქივებს გადასცეს, ფურცლებად ქცეული როინაშვილისეული საბუთები სხვა საბუთებს მიაკერეს ან უავტოროდ გამოაცხადეს.

ა. როინაშვილის ნაშრომების ნაშთი დღეს ჩვენ გვხვდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდის № 481 საქმეში.

ვიღაც ნ. წინამძღვრიშვილის ამერეთში ჩაწერილ ლექსებთან ერთად მოთავსებულია ა. როინაშვილის დღიურის ნაშთი*. მის პირველ ფურცელზე მოყვანილია ა. როინაშვილის მიერ თარგმნილი ლეკური ლექსი·

---

*. საქ. ცსსა ფონდი 481 საქმე № 6912, გვ. 4-45.

ქართველთა და ლეკების ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის ლეკური ხალხური ლექსის შინაარსი საინტერესოა.

ქართულ ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ ა. როინაშვილის მიერ ნათარგმნი ლეკური ხალხური ლექსი „რაჟბადინ"—ბელადის შინაარსი.

აქ მოტანილი ლექსის შინაარსი გვიმტკიცებს, რომ ერეკლე მეფე ცდილობდა გონს მოეყვანა ოსმალების აგიტაცია-პროპაგანდით გონებადახშული ლეკები.

ერეკლე მეორის მოქმედება ზოგჯერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა ლეკებზე.

აი ეს ლექსიც:

ფშავთა ქალი მოიტაცეს ჩვენი სოფლიდგამა.
შესვეს ცხენზე გადიყვანეს თოვლიანი მთაო.
ერეკლემ რომ ეს შეიტყო, გაწყრა გარისხდაო.
ბრძანება გასცა, არ კადრონ ცუდი შერცხვენაო.

ქალი მალე დაგვიბრუნეს უბილწველი დაო.
ფშაველებს ცრემლი ადინა, როგორც დიდი ზღვაო,
ლეკებმა რომ შევიტყვენით ძაან გვეამაო.
ერეკლეს პატიოსნება გულზე დაგვეჭდაო

შემდეგ იწყება დღიურის ის ნაწილი, რომელშიაც აწერილია ლეკების სოფელ სოგრატლში „ერთი არქეოლოგიის მოყვარულ არაგველ ალექსის მოგზაურობა". ეს მოთხრობა ავტობიოგრაფიული ხასიათის არის, სჩანს ავტორზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სოგრატლში ნახულსა და ნაამბობს. მართალია ლიტერატურული თვალსაზრისით ეს მოთხრობა პრიმიტიულია, მაგრამ თავისი შინაარსით ფრიად ტიპიურია იმ დროისათვის და ნათლად გადმოგვცემს იმდროინდელი დაღისტნის ვარამს. ვაქვეყნებთ ამ მოთხრობას სტილისტური შესწორებით.

„ახალი პატარა სოფელი სოღრატლი, გასცქერის ერთ უშველებელ გადამწვარს და დანგრეულს ძველ სოფელს სოღრატლსა, რომელიც ერთ დროში მთელს დაღესტანში (ღუნიბის მაზრაში) უპირველეს სოფლად იხსენებოდა თავისის განთქმული ბაზრითა და აღებ-მიცემობითა. დღეს ეს თვალუწვდენელი ნანგრევები აშკარათ უმტკიცებდნენ მნახველთა, რომ, აქ უცხოვრიათ ნამდვილ მამულის მოყვარე შვილებსა, ბევრ მათგანს ჩაუტანებია სიცოცხლე ამ ნანგრევებში.

საღამო მიტანებული იყო. ჯერ მზე არ მოფარებიყო უშველე-

ბელ მთებსა, რომელნიც ამ ნანგრევებს მგლოვიარეთ დასცქერიან, როდესაც მოვიდა ერთი არქეოლოგიის მოყვარე მოგზაური არაგველი ალექსი და ეძებდა იმ ქვას, რომლის შესახებაც ლეკებმა უამბეს, რომეზედ ჯვარია გამოჭრილი და ეკუთვნის იმ დროს, როცა ამ მხარეს ქრისტიანობა იყო გავრცელებულიო. თუმცა არქეოლოგიის მოყვარე არაგველმა ალექსიმ არ იცოდა ავარული ენა და არც ეჭირებოდა, რადგან რუსული კარგათა ქონდა შესწავლილი, ისე როგორც ყველა არაგველს აქვს შესწავლილი კისერში ცემით და ბევრი ბეგარის გადატან გადმოტანით. ალექსიმ ერთ მოხუცებულს ლეკს, რომელიც მასავით ამტვრევდა რუსული ენას, კითხა მას სახელი—ეჰ, ზაქარია მქვია,- უთხრა ლეკმა.

—შენ ჩემო კარგო, სად შეგისწავლია ესრე კარგა რუსული? —მე კუნაღო, თხუთმეტი წელიწადი ციმბირში ვიყავი გაგზავნილი და იქ ვისწავლე. ზაქათალაში რომ ბუნტი მოხდა მაშინ გამგზავნეს, თუმცა არც ზაქათალაში ვყოფილვარ, არც იმის მაზრაში, მაგრამ ციმბირში კი ვიყავ, —როგორ, განა დამნაშავე არ იყავ?

—არ ვიყავ, მაგრამ ძალიან ვნანობ, რომ არ ვიყავ დამნაშავე. დამნაშავე რომ ვყოფილიყავ ამას მაინც ვიტყოდე დანაშაული მქონდა და იმისათვის გამგზავნეს ციმბირში—მეთქი. აბა ეხლა რა ვთქვა, მთელი ჩემი მეზობლები ჩემზე იცინიან. —მარტო შენ იყავ ამ სოფლიდამ გაგზავნილი ციმბირსა თუ სხვაც?

—ორნი ვიყავით შენი ჭირიმე. ჩემი ამხანაგი იქ გარდაიცვალა, რადგანაც ვეღარ გაუძლო დარდსა და იქაურ ყინვასა.

—დიდი ხანია დაბრუნდი ციმბირიდამ?

— ეს ორი წელიწადია, შენი ჭირიმე, რაც ჩამოველ. აღარც ცოლი დამხვდა და აღარც შვილი და აღარც კარი, ეხლა ხელმეორეთ შევირთე ცოლი და მოვეკიდე ოჯახობასა, თუ ღმერთი შემეწია.

—ღმერთია შემწე, ღმერთი, ჩემო ზაქარია, მხნე იყავი და ღმერთიც შენკენ იქნება.

—ღმერთმა კეთილი მოგცეს, ჩემო ალექსი.

—შენი ამხანაგი რიღასთვის გააგზავნეს? უთუოთ დააშავა რამე.

—რაც მე მქონდა დანაშაული, ისიც იმასა.

—საკვირველია, ღმერთმანი, რატომ ხმა არ ამოიღეთ და უფროსს არ შესჩივლეთ თქვენი მწუხარება? მე მგონი თქვენზე უნდა ეფიქრა, რათა არავის დაესაჯენით ტყვილად.

—ჰო, ჩემო კუნაღო, უფროსმა ჩემზე იფიქრა და ეს მოიფიქრა, რომ ყველა სოფლიდგამ ორი ან სამი კაცი დაუყოვნებლივ გაეგზავნა ციმბირში, რათა არავის ეფიქრა ზაქათალელების მხარის დაჭერა.

—ერთათ გაგაგზავნეს თუ ცალ-ცალკე?

—ჰო, ერთადა, მაგრამ მე რომ იმის მწუხარება ვნახე, ჩემი თავი სულ დამავიწყდა.

—როგორ, განა არა ნებდებოდა?—როგორ არა, ჩემო კონაღო, მეტი რა ღონე ქონდა, მაგრამ, საუბედუროდ, ორმა ცოლმა გამოაცილა აგერ აი ხევამდინ. იმის უნცროს ცოლსა, რომელთანაც ერთის წლის დაქორწინებული იყო, რვა თვის ბავშვი ეჭირა ხელში. როდესაც უკანასკნელად ეთხოვებოდნენ ერთმანეთსა, ამ დედაკაცმა ერთი საშინლად დაიწივლა, დაეცა მიწაზე. გაუვარდა ხელიდან ბავშვი, შეუწუხდა გული, ვეღარათი მოაბრუნეს და გარდაიცვალა საწყალი, რვა თვის ბავშვის დედა.

ამ ამბავმა ერთი საშინელი ალიაქოთი მოახდინა მაყურებლებზე. დაეცა მუხლებზე ჩემი ამხანაგი თვალცრემლიანი ვაჟკაცი და ეხვეწებოდა ყაზახებსა, მიეცათ ნება დაესაფლავებინა, მაგრამ არ მისცეს ნება, რადგან უფროსისაგან არ ქონდათ ბრძანება. დაავლო საწყალმა ბავშვს ხელი და უნდოდა თან ციმბირში წამოეყვანა, მაგრამ ა/რც ამის ნება მისცეს და მათრახების ცემით დაატოვებინეს ბავშვიცა.

დედაკაცებმა წაიღეს საწყალი მიცვალებული სოფელში, წაიყვანეს მჩხავანა ბავშვიცა, რომელიც ისე საშინლად ჩხაოდა, რომ იტყოდა კაცი, ესმის დედამისის მწუხარებაო.

გაათავა ზაქარიამ ეს თვრამეტი წლის წინად მომხდარი ამბავი, მაგრამ მაინც ვერ შეძლო რომ ყველაფერი გადაეღო სახეზედა და ისე რიგათ ემღვრეოდა თვალები ცრემლებით, რომ იტყოდით თითქოს ყველა მისი ნაამბობი ეხლა თვალწინ ხდებაო.

ალექსისაც რაღაც მწუხარების ფერი დაედო და დიდხანს ვერა უთხრა რა. ბოლოს კითხა, შორსაა კიდევ ეს ნანგრევები სადაც ჯვარი იყო?

—ჯერ ნახევარი გზაც არ გაგვივლია, — უპასუხა ზაქარამა.—ამ გადამწვარ სოფლის ნაპირასაა.

მაშ აუჩქაროთ ფეხსა, ჩემო ზაქარია, თორე დაგვაგვიანდება, უთხრა ალექსიმ და გასწიეს ფეხის სიმარდით. ჯერ კიდევ არ გაეარათ ოცი ნაბიჯი, რომ ტირილისა და ქვითინის ხმა შემოესმათ.

მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ეს მწუხარების ხმა ისმოდა. გადაიხედეს ერთ მაღალ კედლებიან ნანგრევებში, დაინახეს: ორი დროში შესული დედაკაცი ისხდა და ერთმანეთს შესტიროდნენ. ზაქარიამ ამ დედაკაცებს გამარჯობა უთხრა, თვალცრემლიანებმა მადლობა გადაუხადეს.

ზაქარიამ დაიწყო ლაპარაკი, დიდხანს ელაპარაკებოდა მათ გაჯავრებით. ალექსიმ კითხა,—რას უწყრები მაგ საწყალ დედაკაცებსაო,—რათა ტირიან აქა?

ზაქარიამ უპასუხა: რაღა რას ვეჩხუბები, შენი ჭირიმე, მთელი სოფელია ამათზე შემდგარი და ამათ აქ სიარული ვერ მოაშლევინეს. მეც იმას ვეხვეწები და ვთხოვ, რომ, რაც უბედურება გადახდათ, დაივიწყონ, აგერა მას აქეთ ხუთი წელიწადი გადის.

—ისეთი რა უბედურება იყო, რომ აქამომდენ ვერ დაივიწყეს?

—ალექსი, შენი ჭირიმე, ჩემო კონაღო, ესენი ამ ჭერსა და კედლებჩამონგრეულ სახლის პატრონის შვილები არიან, აქ დაიბადნენ, აქედან გათხოვდნენ, აქ დაეხოცათ დედ-მამა. ამ უკანასკნელ არეულობის დროს, აგერ ა იმ დედაკაცის ორ თავმომწონე შვილსა, რომლებიც ერთად იდგნენ, შუაზე გაუპო თავი ზარბაზანის ტყვიამა.

რადგანაც ალექსი ბუნებით გულჩვილი კაცი იყო, ამ ამბის გამგონემ ვეღარ შესძლო და მოერია ცრემლები. დედაკაცებმაც რომ ნახეს ესეთი თანამგრძნობელი უცხო კაცი, მოუმატეს ტირილსა. მწუხარებაში გამოხარშულ ზაქარიასაც-კი, თუმცა აღელვებული ჰქონდა სახე და თვალები, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა ტირილსა და დაიწყო ორივე მხარეს ნუგეშის ძლევა.

ამოიღო ალექსიმ ხელსახოცი, მოიწმინდა ცრემლები და კითხა ზაქარიასა: მაშ ახლა ვინა ყავთ პატრონი ამ საცოდავებს. ზაქარიამ უპასუხა—არავინ. ეგ ორი და ღა დარჩა დიდის ოჯახიდამ. ქმრებიც არეულობის დროს დაუხოცეს და არიან ეგრე ობლად ორი დანი.

—მაშ, ვინ აძლევთ საზრდოსა, ხომ ამათაც ეჭირვებათ ცხოვრება.—ჩვენ სოფელში თითქმის ყველას თანასწორათ გვიჭირამს მამული, რაც მე მაქვს სახნავ-სათესი მიწა, ისიც მაგათ აქვთ და ხვნა-თესვით გამოდიან იოლათ.

—სოფელში მოდავენი ხომ არავინ ყავთ და ხომ არავინ სჩაგრავს ამ საწყლებს?

—არა, შენი ჭირიმე, მთელი სოფელი დიდათ პატივს სცემს

მაგათა და ძლიერაც ებრალებათ ყველასა. რადგანაც საქონელი არა ყავთ, სოფელი უხნამს „მიწებსა და ეხმარებიან საჭირო დროსა ხოლმე.

—დიდათ მადლობელი ვარ, ზაქარიავ, თქვენი სოფლისა, რომ აგეთი ერთობა და სიბრალული ქონიათ ქვრივისა და ობოლისა. გისრულებიათ ნამდვილი ღვთიური წესები. ამოიღებს ალექსი ხუთ მანეთსა და გადასცემს ზაქარიას და ეტყვის—ჩემო ზაქარია, აი ეს ხუთი მანეთი გადაეცი მაგ საწყლებსა, გაჭირვებაში გამოადგებათ და სთხოვე ჩემ მაგიარად, რომ დაივიწყონ წარსული, იშვილონ თავიანთი სოფელი და მეზობლები, უპატრონონ მათ.

დედაკაცებმა თუმცა უარი სთქვეს ფულის მიღებაზე, მაგრამ ზაქარიას რჩევით მიიღეს და მადლობა გადაუხადეს ალექსისა. დედაკაცები ადგნენ და წავიდნენ სოფელში. ალექსიც რადგან აღელვებული იყო და, ცოტა არ იყოს, დაიღალა კიდეც, მიუბრუნდა და უთხრა ზაქარიასა—ზაქარია ძმაო, მოდი, ჩვენც სოფელში დავბრუნდეთ, ბინდი მოტანებულია და ვაითუ დაგვიღამდეს.

ისევ ხვალ ამოვიდეთ და წამოვიყვანოთ ორიოდე კაცი ბარითა და ნიჩბითა და მოვათხრევინოთ ის ადგილი, სადაც ჯვარია დაფლული. ზაქარია დათანხმდა და დაბრუნდნენ ყველანი სოფლისკენ. ხშირი ბინდი იყო, როდესაც მოვიდნენ სოფელში, ნაიბის სახლში, რომელიც ადრევე შესდგომოდა სამზადისს, რომ კარგა დახვედროდა თავის სტუმარსა*.

---

*. საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 6912, ფურც. 4, 6—11. ა, ს. როინაშვილის ავტოგრაფი. დედანი ხელმოუწერელია.



სოფელი სოგრატლი

სოფელი სოგრატლი (შუა დალესტანი)

სოგრატლი ამჟამად პატარა სოფელია. 1877 წლის აჯანყების შემდეგ მცხოვრებლების ერთი ნაწილი გაგზავნეს რუსეთში, ბევრიც სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს, ასე რომ ადგილზე ორას კომლზე მეტი არ დარჩენილა. ამ დრომდე კი იქ ირიცხებოდა ათასამდე კომლი და მას უწოდებდნენ ქალაქს. მას ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გამო, რომ წინად იგი წარმოადგენდა გუნიბის ოლქის სავაჭრო ცენტრს, იქ იყო სასწავლებელი სადაც არაბულ ენას სწავლობდნენ და ამ ენაზე დაწერილ ყურანსა და სხვა საღმთო წიგნებს კითხულობდნენ. ამ სასწავლებლის მთლიანი კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეები ითვლებოდნენ სწავლულებად და ხალხი ბრმად უჯეროდა მათ რელიგიურ დარიგებებს.

აქ არის დარჩენილი ნახევრად დანგრეული მოწინავე სიმაგრეები, რომლებიც ამაღლებულ ზეგანზე მდებარეობენ და კიბისებურად ეშვებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. მარცხენა მხრიდან არის ძალიან ვიწრო, ყელის მსგავსი გასავლელი მოწინავე კოშკისაკენ. ზეგანი სხვა მხრიდან შემოსაზღვრულია ღრმა კლდოვანი ხრამებით, რომლებსაც აღმოსავლეთით აჩენს ტურჩი დაგის მთის განშტოებანი, ხოლო ჩრდილოეთით ის სიმაღლეები, რომელთა კალთებზე ამფითეატრის მსგავსად არის გაშენებული სოფელი სოგრატლი; ქვევით კი, მთის ძირას ხეობაში მიეკუთხს პატარა ნდინარე. სოფლის ირგვლივ, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ზევიდან დაეხედავთ, დიდებული სანახაობა იშლება... ეს მთაგრეხილების დაუსრულებელი ზოლი, ეს ქარაფები და ხრამები, დაქანებულად რომ ეშვებიან ხეობაში, ეს კლდოვანი ბუმბერაზები, რომელთა მწვერვალები მუდამ შებურულია ღრუბლებით, ეს მუდამ მოწკრიალი მთის ნაკადულები, ბოლოს ეს ხეობის რაღაცნაირი ყრუ გუგუნი, ადამიანზე ისეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, ოომელიც დიდხანს არ ამოდის მის მეხსიერებიდან.

თვით სოფელი კი სულის შემხუთავ შთაბეჭდილებას ახდენს, მისი ხილვა დიდ სინანულს იწვევს. ის თითქმის ნანგრევებად არის ქცეული, ერთ დროს მდიდარ, აყვავებულ სავაჭრო სოფლიდან დარჩენილია ღატაკი სოფელი.

ადგილობრივი ძველი მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ჩვენ ქართველების ჩამომავლები ვართო და ამაში მეც დავრწმუნდი, რადგან იქაური მცხოვრებლების ტიპები ძალიან გვანან ქართველებს, ამავე დროს მათი ჩვეულებები ძალიან წააგავან ჩვენსას. გარდა ამისა მათში დარჩენილია ქრისტიანობის კვალი. ერთ სახლის ნანგრევის კედელში ვნახე ქვა, რომელზედაც ამოჭრილი იყო ჯვარი, ჩვენი ფიქრით, ერთ დროს აქ უნდა მდგარიყო საყდარი, ხოლო თვით მცხოვრებლები ამ ადგილს წმინდა ადგილად თვლიან.

სოგრატლელების ჩვეულებები ძალიან წააგავან ქართულ ჩვეულებებს, ასე მაგალითად: ახლად დაბადებულს, ისე როგორც ქართველები, წყალში გაბანენ ხოლმე, მაშინ როდესაც ჩოხელები თიხით შემურავენ და ამ მდგომარეობაში ამყოფებენ მთელი დღე, მხოლოდ საღამოზე ან მეორე დღეს დილით დაბანენ წყლით, კაზიკუმეხელები-კი განბანენ მარილიანი წყლით.

ან კიდევ, სოგრატელებს, როდესაც საქონელი ღამე გარეთ დარჩება ან დაეკარგებათ, წვრილ თოკიდან ნასკვებს აკეთებენ თან

ულოცავენ იმ მიზნით, რომ გარეულ ნადირს კბილი შეეკრას და დაკარგული საქონელი ვეღარ შეჭამოს, ზუსტად ამასვე აკეთებენ საქართველოში ასეთ შემთხვევის დროს.

საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, საცერს არავის არ ათხოვებენ, ისევე როგორც საქართველოში. კიდევ მრავალი ამის მსგავსი ჩვეულებებია, რომლებიც შეტანილი მაქვს ჩემს დღიურებში.

სოფელი ჩოხი

სოფ. ჩოხი. გუნიბის ოლქი. (შუა დაღესტანი)

ს. ჩოხში მე მომიხდა ხანგრძლივად გაჩერება სოფლის მამასახლისთან. ლეკები მუდამ მზად არიან მიიღონ სტუმარი და სულითა და გულით გაუმასპინძლდნენ, თუკი დარწმუნდებიან, რომ „ყონალი“ კეთილად არის განწყობილი მათდამი და პატივს სცემს მათ ადათებს.

ისინი ასეთ სტუმარს უმასპინძლდებიან ყველაფერი კარგით, რაც კი მათ გააჩნია, ზოგჯერ თავის ტყავის ქურქსაც წამოასხამენ ხოლმე, რაც მისდამი უდიდეს პატივისცემას ნიშნავს. უცხოს ასეთივე პატივისცემით ექცევიან როგორც შინაურები, ისე მეზობლები.

მაგრამ თუ ლეკმა შეამჩნია, რომ სტუმარი კეთილი განზრახვით არ არის განწყობილი და ქედმაღლობს, მაშინ მასპინძელი გა-

საოცარ თავშეკავებასა და ტაქტს იჩენს, ასეთ სტუმარს ის არ აგრძნობინებს, რომ ის უკმაყოფილოა მისი ქცევით. ის შეეცდება შეასრულოს სტუმრის სურვილები, მაგრამ ყველა მის შეკითხვებზე აძლევს მოკლე პასუხს: „არ ვიცი"—და შეეცდება რაც შეიძლება მალე გაისტუმროს თავის ოჯახიდან.

რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო დამიახლოვდა ჩოხის მამასახლისი,—განაგრძობს როინაშვილი:—როგორც კი შეიტყვეს მისმა ახლობლებმა, რომ მეზობელს „კარგი კონაღი" ესტუმრა, იწყეს სიარული ჩემს სანახავად მოხუცებმა, რომლებიც ოდესღაც, შამილის დროს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და სოფლის პატივცემულ პირებათ ითვლებოდნენ. ისინი სიამოვნებით საუბრობდნენ ჩემი მოგზაურობის მიზნის შესახებ. ამ საუბრებში ქალებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ერთ-ერთ ასეთ საუბრის დროს მე მივმართე ერთ მოხუც დედაკაცს თხოვნით, ეამბნა ჩემთვის, თუ როგორ ექცევიან ისინი ახლად დაბადებულ ბავშვს. იმან შემდეგი მიამბო: დაბადების პირველ დღესვე ბავშვს გავბანთ თბილ წყალში, ხოლო მეორე დღეს შემოვგოზავთ საგანგებო აყალო მიწით და ასე დავტოვებთ საღამომდე. ამას ვაკეთებთ ბავშვის ჯანის გასამაგრებლად. სხვათა შორის, ამ აყალო მიწის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ დაღესტანში მოგზაურობის დროს ენ ხშირად შემომჩნევია, რომ ახალგაზრდა გოგონები ასეთი მიწით იგლესავენ სახეს მუშაობის დროს; რადგანაც ვერ მივხვდი, თუ რატომ აკეთებდნენ ამას, ვთხოვე მოხუც დედაკაცს აეხსნა ჩემთვის ამის მიზეზი. „ჩვენი მოკეკლუცე გოგონები,—მიპასუხა მან,—არა მარტო სახეს იგლესავენ, ხელებზედაც ისვამენ ამ მიწას, ეს იმიტომ, რომ ეს აყალო მიწა დიდი სიცხის დროს ქოლგისა და ხელთათმანების მაგივრობას უწევს მათო".

ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეზე,—განაგრძო მოხუცმა ქალმა:—მოგვყავს მოლა, რომელიც უკითხავს ლოცვებს. ლოცვების წესის შესრულების შემდეგ ბავშვს მარჯვენა ყურში ჩაჰყვირებს სიტყვას „ლამად" (წმინდანი), ხოლო მეორე ყურში სახელს შეარქმევს. ბავშვის პატრონები ჰკლავენ ცხვარს და ყოველგვარ ძალღონეს ხმარობენ მთლიანად გააცალონ ძვლები ხორციდან. ხორცს ხარშავენ და ხალხს უმასპინძლდებიან, ხოლო ძვლებს, ფთხილად, ისე რომ არ გატყდეს, მარხავენ. თუ შემთხვევით ძვალი გატყდა, მაშინ ბავშის მშობლები ხელახლა კლავენ მეორე ცხვარს იმავე მიზნით და იმავე წინდახედულებით. ამას იმიტომ ჩადიან, რომ დარწმუნებული არიან, თუ ძვლები მთლიანად იქნება, მაშინ ახალდაბადებულსაც მაგარი ძვლები ექნება, თუ არა და—სუსტი.



სოფელი კუმუხი

საქორწილო ჩვეულებები ჩაწერილი კაზიკუმუხის რაიონში

როდესაც კაზიკუმუხის სანაიბოს რომელიმე ახალგაზრდა ვაჟი გადაწყვეტს ქალის შერთვას, როგორც ის, ისე მისი ახლობელი ნათესავები ეძებენ სარძლოს. უმეტეს შემთხვევაში სასიძომ წინდაწინ არც კი იცის, თუ როგორი ცოლი ეყოლება მას—ლამაზი თუ ულამაზო. ეს იმიტომ, რომ ქალიშვილები მუდამ ჩადრჩამოფარებული დადიან. თავის სახეს არავის არ უჩვენებენ, გარდა უახლოესი ნათესავებისა.

როდესაც სარძლოს მონახავენ, მის მშობლებთან გაგზავნიან მოსალაპარაკებლად ერთ ხნიერ ქალს, ჩვეულებისამებრ, სასიძოს უახლოეს ნათესავს. თუ ქალიშვილის მშობლებსაც მოეწონებათ ვაჟი, აძლევენ სიტყვას გაახმაურებენ მეზობლებში, რომ მათი ქალიშვილი ამა და ამ ვაჟის საცოლეაო.

როდესაც ყველაფერი მომზადებულია საქორწილოდ, სასიძო

თავის საცოლეს უგზავნის ოქროს ბეჭედს და საჩუქრებს, სთხოვს მის მშობლებსა და ახლო ნათესავებს მოემზადონ ქორწილისათვის. ამის შემდეგ სასიძოს მშობლები და ნათესავები იწვევენ სოფლის მოსამართლეს და ორ ნდობით აღჭურვილ პირს შარიატულ „კიბენის“, მზითვების, ვამოსარკვევად.

სოფ. კუმუხში ყველაზე ღარიბი, მზითვათ ატნევს თავის ქალიშვილს ას მანეთს, სხვა სოფელში კი—10, 20 და 30 მანეთს. ყველაზე მდიდარი 400—500 მანეთს. მდიდარი ხანის გვარეულობის „კიბენ-ხაკი“ შეადგენს 1000 მანეთს, ამდენივე ეძლევა ტანისამოსისათვის, ღარიბისა კი—200-300 მანეთს. ქვრივის „კიბენ-ხაკი“ განსაზღვრულია 12 მანეთით. „კიბენ-ხაკისა“ და ტანისამოსის ფულები ეძლევა ქმარს. მისი სიკვდილის ან განქორწინების შემთხვევაში, ამ ფულებს ცოლი უკან იბრუნებს.

ყველა საქორწილო წესების შემდეგ სარძლოსთან იკრიბებიან მისი მეგობრები და მართავენ ცეკვა-თამაშს,—ღამ-ღამობით მათ ესტუმრება ხოლმე სასიძო თავისი ამხანაგებით. ცეკვა-თამაში და პურობა გრძელდება თითქმის ერთ კვირას. მეშვიდე დღეს სასიძო ირჩევს თავის თანაშემწეთ ერთ-ერთ ნათესავს, ბისი და ამხანაგების თანხლებით მთელი დღით მიდის ცოლეურზე. იქ კიდევ ცეკვავენ-მხიარულობენ ღამის 2 საათამდე. ამის შემდეგ სასიძოს თანაშემწე შედის იმ ოთახში, სადაც სარძლო ზის, შეაქვს მასთან ჭიქა ღვინო, პური და ხორცის ნაჭერი. ეს იმას ნიშნავს, რომ სარძლო დაუყოვნებლივ უნდა გაჰყვეს საქმროს. როგორც კი მოემზადება სარძლო, ის ამ მოტანილ პურ-ღვინოს უკანვე უბრუნებს მომტანს. კაცები და ქალები აცილებენ პატარძალს, მიჰყვებიან მას სიძის სახლამდე, სადაც მას ხვდებიან სარკით, ყურანით და სანთლებით. იწყება ოთხდღიანი ქორწილი. ამ დროის განმავლობაში სიძეს უძახიან „ნავრუზ-ბეკს“ (ნეფეს). ნეფე ირჩევს თამადათ და მერიქიფეებად ისეთ პირებს, რომლებმაც კარგად იციან ქორწილის წესები.

...მესამე დღეს პატარძალს ახსნიან ჩადრს და ქორწილის ყველა მონაწილე, ქმრის მხრიდან, ასაჩუქრებს მას. პატარძალი თავის მხრივ უმაგივრებს მათ სხვადასხვა ნივთებს.

ქორწილის დასრულების შემდეგ სიმამრი პატიჟობს სიძესა და ქალიშვილს თავისთან, სიძე მოვალეა მოემსახუროს ყველა სტუმარს.

მამაკაცის გარდაცვალების დროს ჭირისუფალის ოჯახში იკრიბებიან ქალები და კაცები; ქალები, რომლებსაც ტირილით ხვდე-

ბა გარდაცვლილის მეუღლე, თავმოპარსული, მისულები წივიან და კივიან, იხოკავენ თმებს, იკაწრავენ სახესა და გულმკერდს.

ცხედარს შეახვევენ თეთრ სამოსში, დასდებენ ოთხ საფეხურიან კიბეზე, აქედან მიასვენებენ სასაფლაოზე. ქალები ველურად კივიან, კივიან და იკაწრავენ სახეს. სასაფლაოზე მიტანის შემდეგ ქალები უკან ბრუნდებიან.

ლეკების ზოგიერთი საოჯახო ჩვეულება

1. ავადმყოფებს მარტო დილით ნახულობენ და არა საღამოთი.

2. ფულს ხარჯავენ მხოლოდ დილით და არა საღამოთი, ამას იმიტომ ჩადიან, რომ საღამოთი ფულის დახარჯვა უბედურებად მიაჩნიათ, რადგან ამით შეიძლება ოჯახის დაქცევა.

3. იმ შემთხვევაში, თუ სახლში ღვივის ცეცხლი სხვის სახლიდან ცეცხლის მოტანა არ შეიძლება, მაგრამ თუ ბუხარში საკმაოდ არ არის ცეცხლი შეშის დასანთებლად, მაშინ ცეცხლისათვის სხვაგან წასვლამდე უნდა ჩააქროს ის, რაც აქვს.

4. მკითხაობენ ცხვრის ბეჭზე და ცხრა კენჭზე, რომელთაგან თვითეულსა აქვს თავისი მნიშვნელობა.

5. თუ შინაური პირუტყვი ღამე დარჩებათ საბალახოზე, უძახიან შემლოცველს, რომელიც თოკს ნასკვავს და თან ულოცავს. სწამთ, რომ მგელი საქონელს ვეღარ შესჭამს, მას „კბილი შეეკვრის“.

6. როდესაც ლეკი მოისურვებს თავის დაჭრილ მეზობლის ნახვას, ის უნდა მივიდეს მასთან უიარაღოთ, შეიხსნას ყველა ლითონის ან ბრილიანტის (თუ ასეთი აქვს) ნივთი. თუ ამას არ გააკეთებს, ავადმყოფი უფრო ავად გახდება.

ქართული სამუზეუმო კომისიის სხდომის ჟურნალი

„14“ მარტი 1912 წ.

დაესწრნენ: კომისიის წევრები—ე. ს. თაყაიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი, დავით ჯორჯაძე. ხვიმონ კლდიაშვილი და მღვდელი კ. ციცქიშვილი.

თავმჯდომარე—წ. კ. გ. ს. გ. ნ. ყაზბეგი

თავმჯდომარის ამხანაგი—ა. ბ. მდივანი

წევრნი—ა. თ ყიფშიძე, დ. გ. კარიჭაშვილი, არ. რ. ჯაჯანაშვილი, იპ. ვართაგავა, ვ. ბ. მგელაძე, შ. ა. მიქელაძე

თავმჯდომარეობდა—ე. ს. თაყაიშვილი,

1. სჯა-ბაასი ქართული მუზეუმის შესახებ

ცნობა

ქართული მუზეუმს თავისი ისტორია აქვს.

1. 1891 წლის ანგარიშში ქართული მუზეუმის შესახებ წერია: „გამგეობას ჯერ კიდევ არ გაუხორციელებია თავისი აზრი, რომ ბიბლიოთეკისათვის ააშენოს შესაფერი სახლი. მიზეზი საშუალების უქონლობაა“.

2. 1893 წლის ანგარიშში წერია: „ძველ ნივთებს, ფულებს და წიგნებს გამგეობა აგროვებს იმ იმედით, რომ მოვა დრო, როცა „საზოგადოება მოახერხებს საკუთარი მუზეუმი ააშენოს და იქ დააწყოს როგორც წიგნები, ისე ფულები და სხვა არქეოლოგიური ნივთები. იმ მომავალი მუზეუმის გეგმა კიდეც შეადგენინა არქიტექტორს. და აპირებს იგი გაუგზავნოს იმ პირს, რომელიც დაპირებულია მუზეუმისათვის ადგილის შემოწირვას“.

3. 1894 და 1895 წლების ანგარიშში წერია: „წიგნთსაცავი ბინის სივიწროვე მეტად საგრძნობელია. ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ, რაც შეიძლება მალე, მოპოვებულ იქნას უფრო ფართო და უფრო უშიშარი ბინა წიგნსაცავისათვის. გამგეობის იმედი, რომ იგი იშოვიდა ადგილს მუზეუმის ასაშენებლად, ჯერ არ გამართლებულა“.

4. 1897 წლის 1 ივნისს საზოგადო კრებამ დაადგინა, რომ საგანგებო თანხებს ერთი რამე დანიშნულება მისცემოდა, რისთვისაც გამგეობა გაზეთის საშუალებით უნდა დაჰკითხებოდა შემომწირველთ.

როგორც გამოირკვა, უმრავლესობა ფონდების შეერთების მომხრე იყო მუზეუმის ასაშენებლად. ამის მიხედვით ღვინობისთვეს 1897 წელს გამგეობამ დაადგინა: „შეერთდეს მუზეუმის ასაშენებლად ყველა ფონდები, გარდა რაფ. ერისთავის სახელზე ქალთაგან შემოწირული სათავნოსი და სალიტერატურო სათავნოსი. ამგვარად შედგა სამუზეუმო ფონდი.

5. 1898 წელს „საზოგადოებამ ჩაიბარა განსვენებული როინაშვილის ნაანდერძევი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექციები და ამის გამო წიგნთსაცავი გადაიქცა ნამდვილ მუზეუმად.

6. 1900 წელს, 4 ივნისს, საზოგადო კრებაზე აღიძრა საკითხი წიგნთსაცავისა და მუზეუმისათვის საკუთარი შენობის აგების შესახებ. გამოირკვა, რომ ამ საქმის შესრულება წესდების შეუცვლელად არ შეიძლებოდა. ასე იყო საქმე 1907 წლამდე. სამუზეუმო თანხას კი თანდათან ემატებოდა.

7. 1907 წელს „საზოგადოების“ წესდებაში ცვლილება შეიტანეს და „საზოგადოებას“ ნება მიეცა უძრავი ქონების შეძენისა.

8. 1907 წელს, 9 დეკემბერს, საზოგადო კრებაზე აღიძრა კითხვა, რომ მუზეუმი და ძველი წიგნების ბიბლიოთეკა გადაცემოდა სპეციალურ ორგანოს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ამის შესახებ კრებამ აირჩია კომისია, კომისია, რომელსაც გამგეობასთან ერთად უნდა მოესაზრა და მომავალი კრებისათვის წარედგინა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყო საკვლავოთ „საზოგადოების“ ბიბლიოთეკისა და მუზეუმის საქმე. კომისიაში არჩეულ იქნა ე. ს. თაყაიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი და გრ. რცხილაძე. ამ კომისიამ და გამგეობამ შეერთებული კრება მოახდინა (დ. კარიჭაშვილი, ალ. ყიფშიძე, ალ. სარაჯიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი) უფრო სასარგებლოთ

ხდიდნენ, რომ ბიბლიოთეკა და მუზეუმი სპეციალურ ორგანოს გადასცემოდა, მაგრამ გამგეობის წევრების (და ხმის უმეტესობით) დადგენილ იქნა: „ბიბლიოთეკა და მუზეუმი ჯერ-ჯერობით დარჩეს ისევ წერა-კითხვის საზოგადოების ხელში და არ გადაეცეს საისტორიო საზოგადოებას, რადგან უკანასკნელს არ შესწევს ძალა უკეთესად უპატრონოს ბიბლიოთეკასა და მუზეუმს.

1908 წელს, 12 ოქტომბერს, საზოგადო კრება ეთანხმება ზემოხსენებულ აზრს და ადგენს, რომ ბიბლიოთეკა-მუზეუმი დარჩეს ისევ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ხელში.

9 20 დეკემბერს, 1909 წელს, გამგეობამ დიდი მოხსენება წარუდგინა საზოგადო კრებას მუზეუმის შესახებ, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნავს: „მუზეუმის აშენება შეიქმნა საზოგადოების გამგეობის ოცნებად და სანატრელად ამ უკანასკნელ 15 წელიწადს. გამგეობამ წინადადება მისცა კრებას, რომ მუზეუმი და ბიბლიოთეკა გადატანილიყო ილიასეულ სახლში, რომელიც შესაფერისად უნდა გადაეკეთებინათ. მაგრამ შემდეგ გამგეობა მიემხრო სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომ „აშენდეს საგანგებო სამუზეუმო სახლი და ამის განსახორციელებლად მუზეუმის თანხას უნდა შეუერთდეს ილიას ფონდი“. მამინდელმა საზოგადო კრებამ საკუთარი მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ა) „საზოგადო კრება საჭიროდ სცნობს ახლავე შეუდგეთ მუზეუმის აშენების საქმეს; ბ) ამისათვის შეეუერთოთ დროებით სამუზეუმო თანხას შემდეგი თანხები: ილიასი, რ. ერისთავისა და სასტამბო და ძველი წიგნებისა; გ) ამ აზრის განსახორციელებლად არჩეულ იქმნას სამუზეუმო კომისიაში სამი წევრი წ. კ. საზოგადოების გამგეობისა, სამი საისტორიო საზოგადოების საბჭოდან და ხუთიც საზოგადოების არჩევით.

კრებამ სამუზეუმო კომისიაში აირჩია ნიკოლოზ ელიავა, სიმონ კლდიაშვილი, დავით ჯორჯაძე, იპოლიტე ვართაგავა და ვახტანგ მუსხელიშვილი; მათ კანდიდატებად ვახტანგ ღამბაშიძე, მამა ქრისტეფორე ციცქიშვილი, ნიკ. ჭიჭინაძე და დავით დავითაშვილი. 23 დეკემბერს 1909 წელს წ. კ. საზოგადოების გამგეობამ თავის მხრით ამ კომისიაში მონაწილეობა დაავალა დ. გ. კარიჭაშვილს, ა. თ. ყიფშიძეს და პეტრე სურგულაძეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კომისიაში აირჩია ე. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და მღვდელი კალისტრატე ცინცაძე.

კომისიის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ე. თაყაიშვილი და კომისია შეუდგა მუშაობას. წევრებად კიდევ თვით კომისიამ მოი-

წვია დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი და ვასილ ზურაბის ძე ბერელაშვილი.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ აცნობა საზოგადოებას, რომ მუზეუმის აშენება იკისრა სრულის თავის ხარჯით პატივცემულმა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა, ხოლო თხოულობს ჩვენ ადგილი ვუშოვოთ, სადაც უნდა აშენდეს ქართული მუზეუმი.

ადგილისათვის კომისიამ მიმართა თბილისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, მოახსენა მნიშვნელობა და გარემოება მუზეუმის აშენებისა და სთხოვა მუზეუმის ასაშენებლად დაეთმო თავადაზნაურობას თავისუფალი ადგილი ფრეილინის ქუჩაზე და აგრეთვე ის ადგილი შენობითურთ, სადაც ეხლა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკია. დეპუტატთა საკრებულომ დიდი თათბირის შემდეგ დაადგინა, ადგილის დათმობაზე კომისიას უარი ეთქვას, მხოლოდ მის ნაცვლად და მუზეუმისათვის ადგილის შესაძენათ მიეცეს, წვრილ-წვრილათ ხუთი წლის განმავლობაში 50 ათასი მანეთი.

ამ ფულის ანგარიშში თავადაზნაურობამ უკვე მისცა კომისიას 5000 მანეთი.*)

შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ, მუზეუმის ამშენებელი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი გარდაიცვალა; მაგრამ მუზეუმის აშენება თავის ანდერძით უზრუნველჰყო. ამიტომ კომისია შეუდგა ადგილის შეძენის საქმეს და წერა-კითხვის საზოგადოებას წარმოუდგინა თავისი მოსაზრებანი „ფიქრის გორის“ შეძენის შესახებ მუზეუმის ასაშენებლათ.

შეერთებულმა კრებამ სამუზეუმო კომისიისა და გამგეობისა 19 ენკენისთვეს, 1911 წ. გადასწყვიტა შეიძინოს მუზეუმის ასაშენებლად ადგილი ვერაზე, რომელსაც „ფიქრის გორა“ ეწოდება, სივრცით 4656, 75; ოთხკუთხი საჟენი სამოცი ათას მანეთათ. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა.

10. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიმართა გამგეობას წინადადებით, რომ წ. კ. საზოგადოებამ თავის მუზეუმი და ბიბლიოთეკა გადაიტანოს ქართულ გიმნაზიის შენობაში, შეუერთოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს და წიგნთსაცავს, რომ ერთი ქართული მუზეუმი გახდეს.

ეს აზრი მოიწონა წ. კ. საზოგადოების გამგეობამ. ამგვარად ქართული მუზეუმი თანდათან ეწყობა ქართული გიმნაზიის შენობაში და მალე წესრიგში იქნება მოყვანილი.

---

* „5000 მან.“ წაშლილია და ფანქრით ზემოთ მიწერილია 10.000 მან.

შინაარსი

შესავალი.

1. სიყრმის წლები და ფოტოგრაფიული სახელოსნოს გახსნა.
2. ა. როინაშვილი კახეთში. მისი მოგზაურობა დაღესტანში.
3. მოგზაურობა რუსეთში „მოძრავი მუზეუმით“.
4. როინაშვილის სკოლა-სახელოსნო.
5. გარდაცვალება.
6. დ ა მ ა ტ ე ბ ა. ზოგიერთი საარქივო საბუთები და პრესის ცნობები როინაშვილის მოღვაწეობის შესახებ.
   ა) გაზ. „კავკაზის“ ნეკროლოგი პ. როინაშვილის გარდაცვლებაზე.
   ბ) როინაშვილის დღიურებისა და ეთნოგრაფიული ჩანაწერების ნაშთები.
   გ) ამონაწერი ქართული სამუზეუმო კომისიის სხდომის ჟურნალიდან.

მხატვარი გ. კასრაძე
ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი
კორექტორი ლ. სიხარულიძე

გადაეცა წარმოებას 16|I-1962 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13|IX-1962 წ., ანაწყობის ზომა 6X9½, ქაღალდის ზომა 60X84, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 7,75 პირობით ფორმათა რაოდენობა 5,79.

უე 03875. შეკვეთა 141 ტირაჟი 2000

ფასი 60 კაპ.

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии ул. Горького № 3.